

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი 2008 წ.
http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=21604

ქართული პარიამენტი

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. გაბაშვილი გიორგი
2. გოგორიშვილი ხათუნა
3. გოგუაძე გია
4. ვეფხვაძე ლევანი
5. თარგამაძე გიორგი (გივი)
6. თედორაძე რამაზი
7. ლალიაშვილი ნიკოლოზი
8. ლორთქიფანიძე დიმიტრი
9. მინაშვილი აკაკი

2008-11-25 21:49

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 25 ნოემბრის სხდომის სტენოგრაფია

I ნაწილი

(საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ერასტი კიწმარიშვილი)

სხდომას თავმჯდომარეობს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე პ. დავითაია.

თავმჯდომარე. მოგესალმებით. დიდ მადლობას მოგიხდით, ბატონო ეროსი, მობრძანებისათვის და იმისათვის, რომ, როგორც ცნობილია, თქვენთვის, შექმნილი არის დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც შეისწავლის აგვისტოს მოვლენებს და აგვისტოს მოვლენების შედეგად განხორციელებულ ქმედებებს. თქვენ როგორც საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში აგვისტოს მოვლენებამდე, საუბარი არის იმაზე, რომ როგორც აგრესია არ დაწყებულა მარტო აგვისტოს თვეში, ამაზე ძალიან დიდი პერიოდი აქვს. თქვენ როგორც საქართველოს ელჩი, ფლობდით ძალიან დიდ ინფორმაციებს ამ მიმართულებით, და ჩვენ გვინტერესებს, რა ინფორმაციებს ფლობდით თქვენ, რა ღონისძიებები გაატარეთ იმისათვის, და ვინ, ვის აყენებდით საქმის კურსში იმ მიმართულებით, თუ რა ხდებოდა, როგორ ხდებოდა სიტუაციის ესკალაცია. შესაძლებელი იყო თუ არა ამ პროვოკაციის, რომელიც მოხდა აგვისტოს თვეში ამის არიდება თავიდან და თქვენ, როგორც ელჩმა, რა ღონისძიებები გაატარეთ ამასთან დაკავშირებით. ჩვენ გვკონდა საუბარი ამ მიმართულებით, საგარეო საქმეთა მინისტრთან, თქვენ, არ ვიცი, ალბათ, უსმენდით, ან ნახეთ ის ჩანაწერი, რაც იყო და აქედან გამომდინარე, ჩვენ გვინტერესებს, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში ჩვენ გავგვსაუბროთ, და მე მინდა გთხოვოთ, თქვენ, მზად ხართ თუ არა, რომ კომისიას მიაწოდოთ ის ინფორმაცია, რასაც თქვენი კომპეტენციის ფარგლებში თქვენ ფლობთ.

ე.კიწმარიშვილი. აბსოლუტურად.

თავმჯდომარე. დიდი მადლობა. ჩვენთან მუშაობის წესი არის, კითხვების რეჟიმი და პასუხი. შეიძლება კითხვები, რამოდენიმე კითხვა იყოს ერთად დასმული და თქვენ გასცეთ პასუხი ამ მიმართულებით. ჩემი შეკითხვა თქვენ მოისმინეთ. საუბარი არის აგვისტოს თვემდე, რა ინფორმაციას ფლობდით თქვენ, როგორც ელჩი. მე შემძლია, თქვენი დანიშვნის, თუ არ ვცდები, თქვენ დანიშნული ხართ 2008 წლის 10 აპრილიდან, ხომ. აგრე მაქვს განკარგულება პრეზიდენტის. ამ კომპეტენციის ფარგლებში გთხოვთ, გვიპასუხოთ, რა ინფორმაციას ფლობდით თქვენ აგვისტოს მოვლენებამდე, რა ღონისძიებები გაატარეთ დამატებითი. კითხვა გნებავთ?

ხ.გაგორიშვილი. ბატონო თავმჯდომარე, უბრალოდ, ერთი დაზუსტება. მე გამოვითხოვე ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ბატონი ერასტი მოსკოვში იმყოფებოდა 2008 წლის 13 მაისიდან 10 ივლისამდე, ეს დანიშნვის ბრძანებაა, მოსკოვში იმყოფებოდა მაისიდან 10 ივლისამდე. მე მაქვს პირველ ბლოკში ორი შეკითხვა. პირველი, ესე იგი, ეს გახლავთ შემდეგი, რომ, თქვენი ელჩობის პერიოდში გქონდათ თუ არა რაიმე სახის ინფორმაცია, კონკრეტულად გამომდინარე თქვენი თანამდებობიდან იღებდით თუ არა ინფორმაციას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რომ ასე შეიძლება განვითარებულიყო მოვლენები, აცნობთ თუ არა ამის შესახებ ვინმეს, რომელიმე თანამდებობის პირს და თუ აცნობთ ვის. ეს არის პირველი შეკითხვა. მეორე შეკითხვა მდგომარეობს შემდეგში. მე შეგახსენებთ საზოგადოებასაც და ყველას, რა რთულ პერიოდს ემთხვევა ბატონი ერასტის ელჩობა. ეს გახლავთ 31, მე კონკრეტულ ფაქტებს მოვიყვან, რაზეც მაინტერესებს თქვენი აქტივობა საელჩოსი და პირადად თქვენი აქტივობაც, ეს გახლავთ შემდეგი. 2008 წლის 31 მაისს, როგორც ცნობილი არის, რუსეთს შეჰყავს დამატებითი ძალები აფხაზეთში, სარკინიგზო ჯარები, შემდეგ გახლავთ 3 და 4 ივლისი, ეს არის თავდასხმა დიმიტრი სანაკოვეის მიმართულებით, ასევე სასკოლო ავტობუსების დაცხრილვა ცხინვალის რეგიონში, ასევე 9 ივლისი, როდესაც რუსეთის მხრიდან 4 საჰაერო გამანადგურებელი არღვევს საქართველოს საჰაერო სივრცეს და ეს არ არის, პირველი ფაქტი. ადრეც იყო საჰაერო სივრცის დარღვევა, მაგრამ ეს არის პირველი, როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღიარებს ფაქტს, იგივე 9 ივლისი არის, როდესაც კოდორის ხეობაში მოხდა ქართველ პოლიციელებზე თავდასხმა. ყველა ეს ფაქტი მოხდა იმ პერიოდში, როდესაც თქვენ იმყოფებოდით მოსკოვში, ელჩის თანამდებობაზე და მე მაინტერესებს კონკრეტული აქტივობა, თქვენი მხრიდან ამ ფაქტებთან დაკავშირებით. ეს არის, ჯერჯერობით, ეს სამი შეკითხვა მაქვს. გმადლობთ.

გ.გაბაშვილი. თქვენი ელჩობის პერიოდის პირველივე დღეებში, თუ არ ვცდები, რუსეთმა მიიღო ის სამწუხარო გადაწყვეტილება, რომელმაც გამოიწვია ახალი ეტაპი ესკალაციისა. საუბარია 16 აპრილის გადაწყვეტილებაზე, როცა რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით მოხდა პირდაპირი ურთიერთობების დამყარება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, ფაქტიურად პოლიტიკური ანექსიის ნაბიჯი გადაიდგა. თქვენი მოღვაწეობის პერიოდში იყო თუ არა რაიმე სიგნალები რუსეთიდან იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი მზად არის უკან გაიწვიოს ეს გადაწყვეტილება. თქვენ შეგიძლიათ უპასუხოთ.

ე.კიწმარიშვილი. შემიძლია ვუპასუხო?

თავმჯდომარე. კი, კი, დიახ.

ე.კიწმარიშვილი. მე ბოდიშს გიხდით იმისთვის, რომ ვერ დაგეთანხმებით, ასე ვთქვათ, ვერც 13 მაისით და ვერც 10 აპრილის ჩემი, ასე ვთქვათ, ამ პროცესებში მონაწილეობის შემოფარგვლით, ამით მიინდა დავიწყო და მე მგონი, ქალბატონ ხათუნას მოეხსენება . . .

თავმჯდომარე. ბატონო ეროსი, მე იმიტომ გავუსვი 10 აპრილს ხაზი, მე მიკავია განკარგულება, მე არ ვიძახი თქვენს პროცესებში ჩართვას, მე ვიძახი თქვენს დანიშვნას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად. ეს არის ხელმოწერილი . . .

ე.კიწმარიშვილი. თუ უფრო ზუსტად გაინტერესებთ, მე 15 მაისს გადავეცი რწმუნებების სიგელების ასლები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგიძლია საერთოდ 15 მაისიდან დავიწყოთ საუბარი, მაგრამ თუ გვინტერესებს მიზეზები, რამაც მიგვიყვანა აგვისტოს ომამდე, უნდა წავიდეთ ცოტა უფრო უკან.

თავმჯდომარე. მე ვსაუბრობ, კიდევ ერთხელ მიინდა ხაზი გავუსვა, პრეზიდენტის განკარგულებაზე, მეტი არაფერზე მე არ ვსაუბრობ, იმაზე თუ....

ე.კიწმარიშვილი. მაქვს უფლება ვისაუბრო 15 აპრილამდე ან 10 აპრილამდე, ვადაზე ცოტა ადრე პერიოდზე.

თავმჯდომარე. თქვენ დაკავებული იყავით . . .

ე.კიწმარიშვილი. შეიძლება, აგიხსნით რატომ და მერე გავაგრძელოთ.

თავმჯდომარე. კი, ბატონო.

ე.კიწმარიშვილი. თუ ჩათვლის კომისია, რომ ეს არ არის, ვთქვათ, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, ჩემი, შეგიძლია მერე ამაზე ვიკამათოთ.

თავმჯდომარე. თქვენ შეგიძლიათ უპასუხოთ და მოგვიყვეთ იმ კომპეტენციის ფარგლებში, რა კომპეტენციაც გააჩნია კომისიას და საუბარია აგვისტოს მოვლენებზე და საუბარი არის თქვენს ელჩობის პერიოდზე. ის საკითხები, თუ თქვენ იყავით, კომისიისათვის უცნობია, მაგრამ თქვენ თუ იყავით ჩართული ამ

პროცესებში ელჩობამდე და ამაზე ფლობთ ინფორმაციას, შეგიძლიათ მოგვაწოდოთ. თქვენი პირადი აზრი, დავუშვათ, რაც თქვენ გაგაჩნიათ, როგორც მოქალაქეს, როგორც, რა ვიცი, პოლიტიკოსს, ეს თქვენი პირადი აზრია, თქვენ შეგიძლიათ მედიის საშუალებით ეს ყველაფერი თქვათ. მე მაინტერესებს, ცალსახად, ის ქმედებები, რაც არის დროებითი საპარლამენტო კომისიის შემსწავლელი. აქედან გამომდინარე, გისვამთ კითხვას, თუ თქვენს ელჩობის დანიშვნამდე თქვენ იყავით ჩართული ამ პროცესებში, თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ კომისიას მოახსენოთ ეს ყველაფერი.

ე.კიწმარიშვილი. გმადლობთ.

თავმჯდომარე. და, რა თქმა უნდა, რა სტატუსით, ბატონი ეროსი გაგვეცემს პასუხს.

ე.კიწმარიშვილი. გმადლობთ. მე დავიწყებ 2004 წლის პუტინ –საკავშილის პირველი შეხვედრით, რომელშიც ვიყავი ჩართული, როგორც მომზადების თვალსაზრისით. მე ამ შეხვედრის ორგანიზებაში ვიღებდი მონაწილეობას. მოსკოვში ჩემი ინიციატივით მოხდა ...

თავმჯდომარე. მე დავაზუსტებ. თქვენ, როგორც კერძო პირი თუ როგორც, მე არ ვიცი 2004–ში . . .

ე.კიწმარიშვილი. მე იმ მომენტში ვიყავი სავაჭრო–სამრეწველო პალატის პრეზიდენტი და სპეციალური წარმომადგენელი პრეზიდენტის დავალებით გაგზავნილი მოსკოვში, არა როგორც კერძო პირი, არამედ ადამიანი, რომელსაც ჰქონდა უფლებამოსილება ესაუბრა საქართველოს ხელისუფლების სახელითაც.

გ.გაბაშვილი. დავაზუსტებ. თქვენ გქონდათ მანდატი, რომ გესაუბრათ სავაჭრო–ეკონომიკურ ურთიერთობებზე, თუ ჰქონდათ პრეზიდენტისგან რაიმე სახის მანდატი, რომ გესაუბრათ კონფლიქტების თაობაზე.

ე.კიწმარიშვილი. მე მქონდა პრეზიდენტისგან სიტყვიერი შეთანხმება, გოკა დაგიზუსტებთ, მე მქონდა პრეზიდენტისაგან სიტყვიერი დავალება, იმის შესახებ, რომ განმეხორციელებინა მოსამზადებელი სამუშაო, იმისათვის, რომ პრეზიდენტების შეხვედრა ჩატარებულიყო მაღალ დონეზე.

გ.გაბაშვილი. კონკრეტული სფერო არ გქონდათ განსაზღვრული.

ე.კიწმარიშვილი. აბსოლუტურად არა. ეს იყო მოსამზადებელი სამუშაო, იმისათვის, რომ ჩვენ ელემენტარულად მიგველო კარგი შედეგი ამ შეხვედრისაგან.

მოგეხსენებათ, რევოლუციის შემდეგი პირველი თვეებია და ბუნებრივია, რომ, ასე ვთქვათ, პოსტრევოლუციური ხელისუფლება ბოლომდე არ არის, ასე ვთქვათ, სრულფასოვნად ჩამოყალიბებული და არის ძალიან ბევრი ნიუანსი, რომელიც იმ პროცესში, იმ მომენტისთვის, ასე ვთქვათ, ვითრდება.

2004 წელს პირველი ვიზიტი სააკაშვილის, რომლის დროსაც იქნა გამოწვეული საქართველოს ელჩი რუსეთში ზურაბ აბაშიძე. ამ ვიზიტის წინ სააკაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამოეწვია ზურაბ აბაშიძე. მე მქონდა მაშინ სატელეფონო საუბარი სააკაშვილთან, მე მქონდა მაშინ სატელეფონო საუბარი ზურაბ აბაშიძესთან და მე მქონდა სატელეფონო საუბარი მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრთან თედო ჯაფარიძესთან. მე ვუხსნიდი მათ, რომ ამ ვიზიტის პირობებში და რუსეთში ზურაბ აბაშიძის, ესე ვთქვათ, ურთიერთობისა და მისი კონტაქტების პირობებში ეს იყო დიდი შეცდომა.

პირველი, რითაც დაიწყო სააკაშვილმა თავისი ვიზიტი, ეს იყო კოტე კემულარიას დანიშვნა და გამოგზავნა, რომ მან ჩამოიყვანა საქართველოდან მისი უახლოესი თანამებრძოლი და წარადგინა, როგორც თავისი ახალი პოლიტიკური გუნდის ნაწილი. ამ მომენტიდან მოყოლებული 2004 წლიდან 2008 წლამდე ანუ დღემდე, საქართველოს ელჩების ცვლა რუსეთში ხორციელდებოდა ექვსთვიანი ინტერვალებით. ბოლოს ხანგრძლივი ვადით იყო ირაკლი ჩუბინიშვილი, რომლის მუშაობის შესახებ მე თქვენ დახურულ სხდომაზე მოგახსენეთ თუ გახსოვთ კომიტეტის მოსმენის დროს.

პირველი, ეს რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პირველი შეხვედრა სააკაშვილსა და პუტინს შორის იყო ძალიან, ასე ვთქვათ, კარგად ორგანიზებული არა მარტო იმიტომ, რომ, ვთქვათ, ეს იყო, ვთქვათ, ჩემი მონაწილეობით გამხორციელებული, უბრალოდ, მე ჩართული ვიყავი ამ პროცესებში. და ამ პროცესების ყველაზე დიდი მნიშვნელობა ის იყო, რომ პუტინსა და სააკაშვილს შორის იმ მომენტში გაჩნდა საკმაოდ კარგი ნდობითი ურთიერთობა, რომელიც დამყარებული იყო იმაზე, რომ ჩვენ ვაცხადებდით, რომ ჩვენ ვართ შევარდნაძის ის ხალხი, რომლებმაც, ასე ვთქვათ, შევარდნაძის მმართველობას დაუსვეს წერტილი, ჩვენ ვართ ის ხალხი, რომელსაც გვიანდა ახალი ენერგეტიკა შემოვიტანოთ ურთიერთობებში და ეს, ეგრეთ წოდებული, ასე ვთქვათ, გახანგრძლივებული პროცესი, ურთიერთდაპირისპირების რეჟიმში გადასული პროცესი, გადავიტანოთ ახალ სიბრტყეში.

და მოგეხსენებათ, სასტარტო მდგომარეობა იყო ძალიან კარგი. ესე იგი მონაწილეობას იღებდნენ ამ, რუსეთის მხრიდან, ყველა მაღალი რანგის როგორც ჩინოვნიკი, ვისაც რანგით ეხებოდა, ასევე ორგანიზებული იქნა ძალიან მაღალი რანგის შეხვედრა ბიზნესწრებთან, ძალიან მაღალი რანგის შეხვედრა სავაჭრო–სამრეწველო პალატის ხელმძღვანელთან. იყო შემდომ განხორციელებული საქართველოში ასევე, ძალიან მაღალი რანგის

ვიზიტები და ურთიერთობა დაიწყო. პირველი, რასაც ამ შეთანხმების დროს ადგილი ჰქონდა, ეს იყო რუსეთის მხრიდან გარკვეულ მოთხოვნებს იმის თაობაზე, რომ ჩვენ, როგორც რევოლუციით მოსულმა ხელისუფლებამ, ისე მოვიპოვეთ ეს წარმატება და მოგესხენებათ, რომ 2003 წლის ნოემბერში იგორ ივანოვი ჩამოსული იყო საქართველოში არა იმ დავალებით, რომ, ასე ვთქვათ, შევარდნამის გადაყენებისთვის ხელი შეეწყო, არამედ იმ დავალებით, რომ ამ კონფლიქტის კონსერვაცია მოეხდინა, რაც მაშინ რუსთაველის მოედანზე და ამ შენობის წინ ხდებოდა, და მათი მოთხოვნა იყო, რომ, მათი თხოვნა იყო თუ პოზიცია იყო, ისინი საუბრობდნენ იმაზე, რომ ჩვენ ვერანაირ შეთანხმებას ვერაფერზე ვერ მივალწიეთ თქვენთან, თქვენ ისე მოხვედით ხელისუფლებაში, რომ არანაირი ვალდებულება არ გაგაჩნიათ არავისთან, მათ შორის, არც ამერიკის შეერთებულ შტატებთან და არც რუსეთთან. და ეს იყო მართლაც ხალხის ემოციით, ხალხის ენერგეტიკით მოსული ხელისუფლება, რომელიც იწყებდა სუფთა ფურცლიდან. და ამ სუფთა ფურცლის პირობებში რუსეთს უნდოდა გარკვეული ძველი პრობლემატიკის გადმოტანა ამ ახალ რეალობაში. მთელი 2004 წლის განმავლობაში, მე გვულისხმობ აჭარის ისტორიას, მე გვულისხმობ ივნის-ივლის, ივლის-აგვისტოს მოვლენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ ოსეთში, რუსეთის მხრიდან, მათ შორის, რუსეთის ელჩის მხრიდან, ჩხიკვიშვილის მხრიდან ჰქონდა მცდელობას ადგილი, რომ გარკვეულ ფორმატებზე მომხდარიყო მორეგულირება ურთიერთობების და

თავმჯდომარე. მე დავაზუსტებ, თქვენთან ჰქონდათ მცდელობა

ე.კიწმარიშვილი. ბატონო პაატა, თუ შეიძლება.

თავმჯდომარე. დავაზუსტებ ერთ რაღაცას. არა, მე უნდა, მაწყვეტინებზე არის საუბარი, აქ არ არის ღია ეთერი და არ არის რაღაც გადაცემა. ამიტომ კითხვებია და ვსვამ. მე მაინტერესებს ის, რასაც თქვენ ხაზი გაუსვით, რომ რუსეთის ფედერაციის ელჩის მხრიდან თქვენ გქონდათ რაღაც, მას ჰქონდა რაღაც იმპულსები. თქვენთან საუბარი ჰქონდა თუ არა, ეს ერთი. თუ სხვას თქვენ ფლობთ ინფორმაციას იმ მიმართულებით, ვთქვათ, ვისთან ჰქონდა მას საუბარი, ამას ძალიან პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

-----ერთს დავაზუსტებ, ბატონო ერასტი. ვისი ინიციატივით შედგა ეს შეხვედრა. ეს იყო ქართული მხარის ინიციატივით, თუ ეს იყო რუსული მხარის ინიციატივით?

ე.კიწმარიშვილი. რომელ შეხვედრაზე ბრძანებთ?

----- აი პუტინი, მედვედევ...რომელსაც თქვენ ამზადებდით. პუტინ-საკაშვილის შეხვედრა, რომელზეც საუბრობთ ახლა, 2004 წლის შეხვედრა.

ე.კიწმარიშვილი. გმადლობთ. გავიგე კითხვა. ე.ი. პირველ ნაწილზე, თუ შეიძლება, დავიზუსტებთ, რომ ეს იყო შეხვედრა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მასსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შორის და რომელთანაც მე მქონდა მაშინ საკმაოდ მჭიდრო და აქტიური ურთიერთობა. მის სახელსა და გვარსაც მოგახსენებთ, ირაკლი ჩუბინიშვილია ეს ადამიანი.

რაც შეეხება თქვენს კითხვაზე პასუხს, ბოდიშს ვიხდი, ეგ შეგიძლიათ, ძაან მარტივი ახსნა აქვს ამას, ეს იყო პირველი ვიზიტი რუსეთის ფედერაციაში პრეზიდენტის. ვისი ინიციატივით უნდა შემდგარიყო ვიზიტი რუსეთის ფედერაციაში.

----- ვისი ინიციატივით იყო აი ამ შეხვედრის დაგეგმვა, ვისი იდეა იყო თავდაპირველი, ქართული მხარის თუ რუსული მხარის?

ე.კიწმარიშვილი. რა თქმა უნდა, ქართული მხარის ინიციატივით იქნებოდა.

-----ამას გეკითხებით. (ხმები დარბაზში)

ე.კიწმარიშვილი. შეიძლება გავაგრძელო? 2004 წლის მაისში აჭარის მოვლენების წარმატებით დამთავრების შემდეგ, ასევე იყო რუსეთის მხრიდან მცდელობა....

თავმჯდომარე. იმ კითხვაზე, ბატონო ერასტი, ჩხიკვიშვილთან დაკავშირებით თქვენ გქონდათ...

ე.კიწმარიშვილი. ირაკლი ჩუბინიშვილს...

თავმჯდომარე. ირაკლი ჩუბინიშვილს ჰქონდა მასთან კონტაქტი...

ე.კიწმარიშვილი. ირაკლი ჩუბინიშვილს ჰქონდა მასთან საუბარი, რომელთანაც მე მაგ პერიოდში, როგორც მოგესხენებათ, ვიყავი ძალიან ახლო ურთიერთობაში.

გ.გაბაშვილი. ანუ თქვენ რასაც საუბრობთ, მოგიყვით ბატონმა ირაკლიმ თავისი შეხვედრა ჩიკვიშვილთან?

ე.კიწმარიშვილი. დიახ. 2004 წლის მაისში აჭარის მოვლენების ირგვლივ, ასევე იყო რუსეთის მხრიდან მცდელობა, რაიმე ფორმით საქართველოსთან მოერეგულირებინა ძველად არსებული, წარმოშობილი პრობლემატიკა. ჩვენი მხრიდან ეს თემები გათვალისწინებული არ ყოფილა. პუტინ-საკაშვილის შეხვედრის მთავარი იდეა იყო ის, რომ პუტინის მხრიდან...

გ.გაბაშვილი. ბატონო ეროსი, დააზუსტეთ, ძაან ზოგადი იყო ახლა ეს, მათგან იყო რამე წინადადება და ჩვენი მხრიდან ეს გათვალისწინებული არ ყოფილა, რა წინადადება იყო და რა არ ყოფილა გათვალისწინებული.

ე.კიწმარიშვილი. თუ შეიძლება, დავამთავრებ აზრს და მერე გადავიდეთ შეკითხვებზე. (ხმები დარბაზში).

თავმჯდომარე. აქ საუბარი არის იმაზე, რომ, ფაქტიურად, ჩვენ ვსვამთ კითხვებს და თქვენ საუბრობთ და პასუხობთ ამ კითხვებზე კონკრეტულად იმიტომ, რომ თქვენ იმ კითხვებზე, რა კითხვებიც არის დასმული, ახლა, მე მაქსიმალურად ვცდილობ, რომ გქონდეთ თქვენ საშუალება, ისაუბროთ, მაგრამ ჯერ საუბარი რაც შეეხება აგვისტოს მოვლენებს, არ შეხებია და წინა პერიოდს. თქვენ საუბრობთ იმასთან დაკავშირებით, რომ ჩიკვიშვილი ელაპარაკა, ასე ვთქვათ, სხვა პიროვნებას, ის მოგიყვით თქვენ. ეგ არ არის შესწავლის საგანი. პირდაპირ, ცალსახად გვინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ვინ სად ილაპარაკა და რა, ჩაისთან თუ ყავის ჭიქასთან, აი ეს, აქ არ არის კონკრეტულად საუბარი და რაღაც, ვიღაცეების საუბრის გადმოცემის ადგილი. თქვენ თუ გაგაჩნიათ კონკრეტული ინფორმაცია იმ მიმართულებით და კონკრეტული შეთავაზებები, რაც იყო და თუ თქვენ, როგორც თანამდებობის პირი, იყო სავაჭრო პალატა, იყო პრეზიდენტის რწმუნება, იყო საქართველოს ელჩობა თუ რაღაც სხვა თანამდებობა, რომელიც თქვენ გაგაჩნდათ და თქვენთან კომპეტენციის ფარგლებში, მზად იყავით გადაგეწყვიტათ ესა თუ ის საკითხი და მიგეტანათ, ამაზე საუბარი და არა იმაზე, ვინ სად ილაპარაკა. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ის, რაზეც თქვენ საუბრობთ, რა თქმა უნდა, თქვენ გაქვთ უფლება ამაზე ისაუბროთ. თქვენ გაქვთ, ამაზე მოიწვიოთ პრესკონფერენცია და გააკეთოთ ყველაფერი და გააკეთოთ ნებისმიერი განცხადება. აქ არ არის განცხადებების ადგილი. აქ არის კონკრეტულად შესწავლის . . .

ე.კიწმარიშვილი. მე არანაირ განცხადებას არ ვაკეთებ.

თავმჯდომარე. არა, არა, ხაზს ვუსვამ ამას. მე სტილზე ვლაპარაკობ და არა თქვენს განცხადებებზე ვსაუბრობ, აქედან გამომდინარე, იმიტომ გისვამთ კითხვას, რომ კონკრეტულად აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით, თუ იყო რაიმე ინფორმაცია, რომელსაც ფლობდით თქვენ. თქვენ თქვით, რომ 2004 წლიდან დაიწყებთ საუბარს და იმიტომ, ჩვენ გისმენთ, მაგრამ ჯერ თქვენს მხრიდან საუბარი იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რა, კონკრეტულად არ ყოფილა და იმიტომ არის დამაზუსტებელი კითხვები.

————— ბატონო პაატა, თუ შეიძლება, უბრალოდ, ეხლა უცებ, ვთქვათ, შეიძლება ახალი ფიგურანტები ჩნდებიან აქ და შეიძლება ჩუბინიშვილის, ვთქვათ, ბატონი ეროსის ნალაპარაკების საფუძველზე ჩუბინიშვილის მოწვევა გახდეს საჭირო და იქნებ, მოვუსმინოთ. . .

თავმჯდომარე. არა, არა, პრობლემა არ არის. ჩვენ მაქსიმალურად შეიძლება ინფორმაცია მივიღოთ, საუბარია კონკრეტულად, იმიტომ მე, თქვენ სწორად აღნიშნეთ, იგივე ჩუბინიშვილის საკითხი, შეიძლება სხვა საკითხიც გამოიკვეთოს, რაზეც საუბარი, ოღონდ კონკრეტულის საკითხი არის . . .

გ.თარგამაძე. ბატონო ნიკა, აქ რაზეც ლაპარაკი ეხლა. სტილი არის დისკომფორტული, როგორც ჩანს, ბატონი ეროსისთვის. აქ არის ლაპარაკი იმაზე, რომ ესეთი სტილი გვაქვს ჩვენ მუშაობის. ჩვენ პასუხის მსვლელობისას, შეგვიძლია დამაზუსტებელი კითხვები მივცეთ, რაც ძან ბუნებრივია, რომ პასუხი იყოს ამომწურავი. ეხლა, გოკას კითხვა იყო აბსოლუტურად ზუსტი. როდესაც არის ლაპარაკი, რომ იყო რაღაც წინადადებები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული, უნდა ვთქვათ ზუსტად, რა წინადადებები იყო და არ იქნა გათვალისწინებული. ეს არის მნიშვნელოვანი, თორემ ჩვენ რიტორიკის სფეროში დავრჩებით თავიდან ბოლომდე, რასაც აზრი არა აქვს უბრალოდ.

გ.გაბაშვილი. ბატონო პაატა, მე ნამდვილად არ მინდა ვინმეს დარჩეს შთაბეჭდილება, რომ მე ვსვამ იმ სახის შეკითხვებს, რომ ბატონმა ეროსიმ რამე არ თქვას, პირიქით, მე დამაზუსტებლად იმ პერიოდთან დაკავშირებით, რომელზეც საუბრობდა, დამაზუსტებლად, ანუ ეს ძალიან საინტერესოდ მომეჩვენა, რომ იყო რაღაც წინადადებები, რომელიც ჩვენ იმ პერიოდში არ გავითვალისწინეთ, კონკრეტულად ვიკითხე, რა წინადადებები იყო და რა არ გავითვალისწინეთ, ანუ ამოგანა ის კი არ არის, რომ ბატონ ეროსის რაღაც არ ვათქმევინოთ, თუნდაც პირდაპირ ეთერში კომისიაზე, ანუ პირიქით, უფრო სიდრმისეულად გავიგოთ, რას გულისხმობს.

_____თქვენი თქმის არ იყოს, ბატონო პაატა, სწორედ შესაძლებელია ყავის სმის დროს წამოჭრილი რაღაც საკითხები და ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. და ესეც უნდა მოვისმინოთ. მე ამის თქმა მინდა. რაც უფრო დაზუსტებული იქნება, უკეთესია.

თავმჯდომარე. ამიტომ, ვითხოვ დაზუსტებას. მე ხომ არ ვიცი, დაზუსტებას ვითხოვ კონკრეტული წლების, ადგილების და ყველა, ეს არის პრინციპულად ჩემთვის, სხვა რაც შეიძლება იყოს, იმიტომ, რომ ხაზი მინდა გავუსვა, ჩვენ არ ვართ საგამომძიებლო კომისია, ეს ერთი. ამიტომ, ვეყრდნობით მხოლოდ და მხოლოდ იმ ინფორმაციას, რა ინფორმაციასაც ჩვენ ვლებულობთ, და თუ არის ამ ინფორმაციის დოკუმენტალიზაცია, და იქნება დოკუმენტები თან დართული, ყველაზე ადვილია, ...

ე.კიწმარიშვილი. ბოდიშს ვიხდი, ეხლა ძალიან ბევრ შემთხვევაში ჩვენ დოკუმენტებით საუბარს ვერ მოვახერხებთ. და თუ თქვენ თვლით, რომ ეს შეუძლებელია დოკუმენტების გარეშე . . .

თავმჯდომარე. დიახ. ამიტომ არის, რომ ვსვამ. შეიძლება არის...

გ.გაბაშვილი. ბატონო ეროსი, დავუბრუნდეთ, მე მგონი, თქვენს საუბარს. რა წინადადებები იყო 2004 წელს და რა არ მივიღეთ.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ, თუ შეიძლება აზრის დამთავრება დამაცადეთ ხოლმე, შეიძლება? გმადლობთ.

პირველი, ესე იგი, დავუბრუნდები ისევ იმ ნაწილში, რაც შეეხება ჩუბინიშვილისა და ჩხიკვიშვილის ურთიერთობის ასპექტებს. წინადადებები შეეხებოდა იმას, რომ რუსეთის მხრიდან იყო საუბარი ჩვენი მხრიდან, უფრო სწორად, იყო საუბარი იმაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტმა და ეს მას ჩემთან არაერთჯერაც აქვს განცხადებული, 2003-2004 წლების განმავლობაში, მიიღო გადაწყვეტილება, რომ მისთვის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად გახდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, პირველი შეხვედრა მისი პუტინთან, რომელიც გაიმართა 2004 წლის თებერვალში მოსკოვში, ამ საკითხთან დაკავშირებით, რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა, მე არ დავსწრებივარ ამ შეხვედრას, ეხლა გიყვებით უკვე პრეზიდენტ სააკაშვილის გადმოცემით, ირაკლი ოქრუაშვილის გადმოცემით, რომელიც ამ შეხვედრას ესწრებოდა, ბრძანა, რომ ის მზად არ არის გადაწყვიტოს აფხაზეთის პრობლემა, იმ მომენტისათვის, მაგრამ, ის მზად არის ეხლა დაიწყოს ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთის პრობლემის მორეგულირებასთან დაკავშირებით. საუბარია 2004 წლის თებერვალზე. აქედან გამომდინარე, მე, უბრალოდ, ლოგიკურად მინდა გავაგრძელო ჩემი საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტის ამ შეთანხმებებიდან გამომდინარე, რომელიც მაშინ ჩაითვალა ძალიან წარმატებულად და რომელთან დაკავშირებითაც მე მქონდა ჩემი გარკვეული შენიშვნები და ჩემი გარკვეული პოზიციები, მაგრამ, ეს ასე ვთქვათ, ეს ამ დისკუსიის ნაწილი არ არის, მე შევიწინააღმდეგე პრესკონფერენციისთვის. დიდი მადლობა რჩევისთვის, ქალბატონო ხათუნა. ამის შემდეგ აჭარის მოვლენებთან დაკავშირებით იყო ძალიან სერიოზული გაღიზიანება რუსეთის მხრიდან, იმიტომ, რომ აჭარის მოვლენების დროს და იმ კრიზისის დროს, რომელიც შეიქმნა მაშინ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის მაშინდელ ხელისუფლებას შორის, რუსეთი ასევე აქტიურად ცდილობდა მიეღო მათთვის საინტერესო, როგორც იტყვიან, პლატფორმა, იმისათვის, რომ მოევაჭრა თუ ევაჭრა აი ამ მიმართულებით, რა თემებზეც ეხლა ჩვენ ვისაუბრეთ. ასევე ჩვენი მხრიდან, რა თქმა უნდა, არ იყო არანაირი, მათთან დიალოგი გამართული, ეს არ არის პრეტენზიით ნათქვამი, ბოდიშს ვითხოვ იმისათვის, რომ რატომღაც ვგრძნობ გარკვეულ დამაბულობას კოლეგების, არა კოლეგების, უფრო სწორად, პარლამენტარების მხრიდან იმასთან დაკავშირებით, რომ რაღაცას ელოდებიან ჩემგან ისეთს, რომელიც აუცილებლად პრესკონფერენციაზე უნდა ვთქვა.

მე აქ მოვედი იმისთვის, რომ ჩვენ დავინახოთ ერთად პრობლემატიკა და გავცეთ პასუხი კითხვას, თუ რა მოხდა აგვისტოში, რამ მიგვიყვანა ამ შედეგებამდე და ამიტომ მე მგონია, რომ აქ სანერვიულო და გასაბრაზებელი არც ერთი მხრიდან არავის არა გვაქვს. აქ ჩვენ მივედით წერტილამდე, რომლის იქითაც დგას ასი ათასობით ლტოლვილის და ძალიან ბევრი ქართველის ბედი. შესაბამისად, მე არ ვფიქრობ, რომ ახლა აქ დისკუსიისთვის შევიკრიბეთ. აქ შევიკრიბეთ იმისთვის, რომ მე მოგახსენოთ ჩემი აზრი იმაზე, რაც მოხდა და ის ინფორმაცია, რაც მაქვს.

ხ.გოგორიშვილი. მოგვახსენეთ თქვენ შესავლის გარეშე, მოგვახსენეთ...

ე.კიწმარიშვილი. გავაგრძელებ. აჭარის მოვლენების შემდეგ, როცა აჭარის ტერიტორია და მისი მართვა მთლიანად ცენტრალურმა ხელისუფლებამ აიღო, იწყება ე.წ. აქტივიზაცია სამხრეთ ოსეთის მიმართულებით. ამ აქტივიზაციაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ვანო მერაბიშვილი, როგორც მაშინდელი უშიშროების მინისტრი, ალბათ, ან უშიშროების საბჭოს მდივანი. მე ახლა გამიჭირდება ვთქვა იმიტომ, რომ ისე სწრაფად ხდებოდა, კალიდოსკოპურად აი ამ ადამიანების თანამდებობების ცვლა, რომ იმ მომენტისთვის, რა თანამდებობა ეჭირა, გამიჭირდება ვთქვა, ზურაბ ადეიშვილი და ირაკლი ოქრუაშვილი. განსაკუთრებული, ასე ვთქვათ, - მე უწყებების

დონეზე ვსაუბრობ, ხელმძღვანელები იყვნენ ისინი უწყებების, - განსაკუთრებული მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც აქტიურად ეწეოდა ბატონ კოკოითთან მოლაპარაკებას და ეს მოლაპარაკებები ხორციელდებოდა სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, ე.წ. „ნადირობის ფორმატებში“. მე ვიცი ამის შესახებ იქედან, რომ მე ვმონაწილეობდი ამ შედეგების განხილვაში შავნაბადაზე სტატუსი იგივეა.

თავმჯდომარე. მე დავაზუსტებ, დავაზუსტებ ერთ საკითხს. ძალიან პრინციპულია ჩემთვის, როგორც დევნილისათვის, მე მიინდა ვთქვა. თქვენ გინდათ ხაზი გაუსვათ იმას, რომ მაშინდელი მინისტრი, მე არ ვიცი, რა თანამდებობა ეკავა ირაკლი ოქრუაშვილს, ნადირობდა კოკოითთან?

ე.კიწმარიშვილი. დიახ. მაშინდელი მინისტრი ან გენერალური პროკურორი ან შინაგან საქმეთა მინისტრი ან თავდაცვის მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი არ იყო, ნადირობდა კოკოითთან ერთად და მოლაპარაკებებში იყო მასთან ერთად, რაშიც არაფერი კრიმინალური არ არის, ჩემი აზრით. მე ამას არ ვამბობ, როგორც პრეტენზიას მასთან იმიტომ, რომ ის, შეიძლება, აწარმოებდა მოლაპარაკებას ზუსტად იმისათვის, რომ პრობლემა სამხრეთ ოსეთში გადაწყვეტილიყო და ამის შესახებ პრეზიდენტს და ბატონებს, რომლებიც ხვალ გყავთ თუ ზეგ დაბარებული, ექნებათ საშუალება, მოგახსენონ. ამის შესახებ ინფორმაცია მე გამაჩნია, ინფორმაცია გამაჩნია იქედან, რომ ვმონაწილეობდი ამ შეხვედრების შედეგების განხილვაში რამდენჯერმე, ე.წ. შავნაბადას სპეცრეზიდენციაში პრეზიდენტის.

თავმჯდომარე. თქვენ მონაწილეობდით, როგორც...

ე.კიწმარიშვილი. სტატუსი იგივეა. სტატუსი იგივეა.

თავმჯდომარე. სავაჭრო პალატის...

ე.კიწმარიშვილი. არა, არა, სტატუსი იგივეა, ადამიანი, რომელიც მონაწილეობდა ამ ყველაფერში, იყო მიწვეული პრეზიდენტის მიერ. არა როგორც სავაჭრო პალატის პრეზიდენტი, არამედ მიწვეული პრეზიდენტის მიერ. 2004 წლის ივლისის, აგვისტოს დასაწყისში, ბოდიშს ვიხდი, მოგეხსენებათ იმ პერიოდში, უფრო სწორად, შინაგან საქმეთა მინისტრი ამ დროს არის ბარამიძე, არა, თავდაცვის მინისტრია ბარამიძე. 2004 წლის ივლის-აგვისტოში როცა კრიზისმა მიადგინა პიკს და ამ მოლაპარაკებების შედეგად, ამ მოლაპარაკებების შედეგად ბატონი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც აცხადებდა, რომ მას ჰქონდა კოკოითთან უკვე მიღწეული შეთანხმება იმის თაობაზე, რომ კოკოითი რამდენიმე მილიონის საფასურად, ასე ვთქვათ, მზად იყო საქართველოსთან დაეწყო აქტიური კონსულტაციები, ასე ვთქვათ, ხელისუფლების ჩაბარებაზე, შემდეგ ხდება რაღაც ინციდენტი, მასა და კოკოითს შორის და ამის შემდეგ იწყება ესკალაცია ასევე მასა და კოკოითს შორის. ასევე ბატონი ირაკლი ოქრუაშვილი, ძალიან აქტიურად მონაწილეობდა იმ პერიოდში ეგრეთ წოდებულ სამშვიდო ინიციატივებში, რომლის უკანაც საბოლოო ჯამში ადგილი ჰქონდა გარკვეული, ასე ვთქვათ, მიმოსვლითი გზების გადახვნას, გადაკეტვას და შემდგომ რაღაც ერთი შემოვლითი გზის გაჩენას, რომელსაც როგორც შემდეგ პერიოდი გვიჩვენებს საკმაოდ აქტიური კონტრაბანდისტული ხაზის ადგილი ჰქონდა. თუმცა ეს მნიშვნელოვანი არ არის ამ მომენტისათვის, მნიშვნელოვანია ის, როცა კრიტიკულ წერტილში მივიდა ეს ურთიერთობა და რამდენიმე ათეული ჩვენი ჯარისკაცი იქნა მოკლული სნაიპერების მიერ ერთ-ერთი სიმაღლიდან, სიმაღლის სახელწოდება აგერ ბატონ გივი ბარამიძეს ექნება, გივი თარგამაძეს ეცოდინება, ალბათ, შემდეგ ჩატარდა სპეცოპერაცია, ბატონო...

გ.თარგამაძე. ალბათ, წვერიახოზე საუბრობთ.

ე.კიწმარიშვილი. ბატონო! არ ვიცი, ჩატარდა სპეცოპერაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა მაშინდელი ირაკლი ოქრუაშვილი და ამ სპეცოპერაციის შედეგად როგორც მაშინ მან გამოაცხადა ლიკვიდირებულ იქნა 8 კაზაკი, თუმცა შემდეგ პრესას წარუდგინეს ერთი მოკლულის გვამი. იმ საღამოს პრეზიდენტთან შავნაბადაზე იქნა შეკრებილი ჩემს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანები: ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადგიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, ირაკლი ჩუბინიშვილი, მაშინდელი გვარდიის მეთაური გოგი თავთუხაშვილი, ბატონი ზურაბ ჟვანია – მაშინ ბრძანდებოდა თავის კაბინეტში, ის პრემიერი იყო ამ მომენტში. ამ საუბრის დროს პრეზიდენტმა დასვა კითხვა, იმის თაობაზე და იყო დისკუსია იმის თაობაზე, მომხადიყო თუ არა სამხედრო ოპერაციის დაწყება და განხორციელება შეტევისა ცხინვალზე. ეს ხდება 2004 წლის, ზუსტ დღეს და საათს მოგახსენებთ თუ აუცილებლობა იქნება ამისი.

თავმჯდომარე. თქვენ ესწრებოდით ამ შეხვედრას?

ე.კიწმარიშვილი. მე ვესწრებოდი ამ შეხვედრას. მე ვესწრებოდი ამ შეხვედრას. რომლის დროსაც საერთო განწყობა არ იყო ომის სასარგებლოდ, თუმცა იყვნენ ადამიანები, რომლებიც იყვნენ ამ ომის მომხრე და ამ ოპერაციის დაწყების მომხრე. ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადგიშვილი, ირაკლი ჩუბინიშვილი იყვნენ წინააღმდეგნი ამ ოპერაციის დაწყებისა, თუმცა ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ მაშინ ამ ოპერაციების

მსვლელობისას და დადიოდნენ სამხედრო ფორმაში. ამის შემდეგ, ჩვენ და პირადად მე ვკითხე გოგი თავთუხაშვილს, რომ მას ჰქონდა თუ არა საშუალება რამდენიმე დღის განმავლობაში, იმ შემთხვევაში თუ განხორციელდებოდა სამხედრო ოპერაცია, გაეკონტროლებინა ეს ტერიტორია და საერთოდ მიეღწია იმისათვის, რომ, ვთქვათ, იზოლაციაში მოექცია სეპარატისტები, მე ვვულისხმობ სეპარატისტები, სამხედრო ძალები და არა მოსახლეობა. გოგი თავთუხაშვილმა ამაზე პასუხი დადებითი ვერ გაგვცა, თავი დახარა. თუმცა იმ მომენტისათვის გადაწყვეტილების მიღებასთან ძალიან ახლოს ვიყავით. იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, ირაკლი ოქრუაშვილი მაშინ გახლდათ ბატონი პრეზიდენტის ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული ადამიანი.

თავმჯდომარე. ბატონი ირაკლი ოქრუაშვილი მომხრე იყო ამისა?

ე.კიწმარიშვილი. რა თქმა უნდა. ამის შემდეგ ბატონი პრეზიდენტი მიბრძანდება კანცელარიაში, უკვე ეს ვიცი მე, ბატონი ზურაბ ჟვანიას გადმოცემით და ირაკლი ჩუბინიშვილის გადმოცემით, ასევე მეორედ დავაზუსტებ ამ ადამიანს და, მე ვიცი, განსაკუთრებული პოზიცია ზურაბ ჟვანიას ამასთან დაკავშირებით, მისი კატეგორიული პოზიცია ამ ომთან დაკავშირებით და მისი კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, იმის შემდეგ, რაც შედგა სატელეფონო საუბარი ერთ-ერთი უცხოური ქვეყნის დედაქალაქთან, სადაც, საიდანაც ასევე იყო ძალიან აქტიურად მიღებული სერიოზული გამაფრთხილებელი მესიჯები, დახურულ სხდომაზე მოგახსენებთ კონკრეტულ ადამიანს, თუ გაინტერესებთ, როცა დავხურავთ, რაღაც თემები შესაძლებელია, რომ ვახსენოთ სხვა შემთხვევაში. იქნა ომი თავიდან აცილებული, მაგრამ დაიწყო, ანუ მიიღეს გადაწყვეტილება და მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ სამხედრო მოქმედებები არ გამართულიყო. ამის შემდეგ მე ვწყვეტ, ასე ვთქვათ, ჩემს ურთიერთობას 2004 წლის შემოდგომიდან მოქმედ ხელისუფლებასთან და არ გამაჩნია ინფორმაცია ისევე, როგორც სხვა დანარჩენ საქართველოს მოქალაქეს იმის თაობაზე, თუ რა მოქმედებებს ახორციელებს საქართველოს ხელისუფლება.

თავმჯდომარე. დამატება, დაზუსტება უნდათ სანამ გადახვალთ.

გ.გაბაშვილი. რომ დავაზუსტოთ, ესე იგი, თქვენს მიერ აღწერილი მოვლენები 2004 წლის, მდგომარეობს შემდეგში, რომ სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა და ხელისუფლების შიგნით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ სამხედრო გზით არ მოხდეს ჩვენი მხრიდან ამ სიტუაციის გადაწყვეტა. საერთო

ე.კიწმარიშვილი. ეგრე ლამაზად არ იყო, ბატონო გოკა, რა.

გ.გაბაშვილი. არა, ლამაზად არა. საერთო ჯამში როგორი გადაწყვეტილება იყო.

ე.კიწმარიშვილი. სიტუაცია კი არ დაიძაბა, განწყობა იყო ხელისუფლების მხრიდან სამხედრო ოპერაციის განხორციელების. სიტუაცია არ დამაბულა, სიტუაცია დაიძაბა იმის შემდეგ, რაც ოქრუაშვილმა და, ეგრეთ წოდებული, სამხრეთ ოსეთის, ეგრეთ წოდებულმა, პრეზიდენტმა კოკოითმა ვერ მოილაპარაკეს, აი, ამის შემდეგ იძაბება ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლების, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. რაც შეეხება

გ.გაბაშვილი. მაინტერესებს, უფრო დეტალურად მაინტერესებს, რახან თქვენ ამბობთ, რომ ესწრებოდათ ამ შეხვედრას შავნაბადაზე, ეს შეხვედრა შავნაბადაზე როცა გაიმართა, იმ რიცხვში გვქონდა თუ არა ჩვენ უკვე მსხვერპლი, აი, იმ პოზიციებზე, რომელიც თქვენ ბრძანეთ, როცა ოსური მხრიდან აგვისტოს თვეში იყო გახსნილი ცეცხლი.

ე.კიწმარიშვილი. ე.ი. მსხვერპლს ადგილი ჰქონდა რამდენიმე კვირის განმავლობაში ანუ ერთი წერტილიდან ხდებოდა . . .

გ.გაბაშვილი. ანუ შავნაბადაში შეხვედრა...

ე.კიწმარიშვილი. შავნაბადაში შეხვედრა ხდებოდა რეგულარულად. მე, უბრალოდ, ეს არის მთავარი საკვანძო დღე . . .

გ.გაბაშვილი. არა, ის შეხვედრა, რომელიც თქვენ თქვით, რომ იქ იყო დისკუსია, დაგვეწყო თუ არა სამხედრო . . .

ე.კიწმარიშვილი. ასეთი შეხვედრა იყო ძალიან ბევრი, მაგრამ საკვანძო შეხვედრა, როცა გადაწყვეტილება, მე, უბრალოდ, თქვენი და მაყურებლის დრო რომ დავზოგო . . .

გ.გაბაშვილი. ბატონო ეროსი, ნუ ბრაზობთ, მართლა დეტალები მაინტერესებს.

ე.კიწმარიშვილი. არ ვბრაზობ, გელაპარაკებით, ბატონო გოკა, არ ვბრაზობ არანაირად, გელაპარაკებით. უბრალოდ, მე მინდა, რომ დავაზუსტო...

გ.გაბაშვილი. ანუ შეხვედრა საკვანძო შავნაბადაში გაიმართა მას შემდეგ, რაც ჩვენ უკვე გვექონდა მსხვერპლი?

ე.კიწმარიშვილი. დიახ.

გ.გაბაშვილი. გასაგებია.

ე.კიწმარიშვილი. შავნაბადაზე შეხვედრა იმართებოდა რეგულარულად, ყოველ საღამოს. უბრალოდ, მე გიყვებით კულმინაციურ დღეს, კულმინაციურ მომენტს, როცა შავნაბადის შეხვედრის შემდეგ ჩვენ ახლოს ვიყავით იმასთან, რომ დაწყებულიყო ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია საქართველოს მხრიდან ამ ტერიტორიაზე კონტროლის აღსადგენად.

----- ბატონო ერასტი, ერთი დამაზუსტებელი კითხვა, რის საფუძველზე ასკვნით თქვენ, რომ განწყობა ხელისუფლების იყო საომარი. თუ, როგორც თქვენ განაცხადეთ, უმრავლესობა ხელისუფლების ამ ომის წინააღმდეგი იყო, წევრების, იყო ომის წინააღმდეგი, პრემიერ-მინისტრი, ძალოვნები, გარდა თავდაცვის მინისტრისა ანუ აბსოლუტური უმრავლესობა იყო ომის (ხმა ადგილიდან) ჰო, შინაგან საქმეთა მინისტრი იყო იმ დროს. უმრავლესობა აბსოლუტური იყო საომარი მოქმედებების წინააღმდეგ.

ე.კიწმარიშვილი. აბსოლუტური უმრავლესობა ნიშნავს ყველას, ბოდიშს გიხდით.

----- არა, არ ნიშნავს ყველას, მაგაზე შეიძლება ვიდავოთ, მაგრამ რის საფუძველზე ასკვნით აი ამ საომარ განწყობას, თუ შინაგან საქმეთა მინისტრის მეტი ამ ოპერაციას არავინ უჭერდა მხარს.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, მე ვასკვნი ამას იმის საფუძველზე, რომ იქ იყო სერიოზული დისკუსია. უბრალოდ, საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების დროს ჩამოყალიბდა ასეთი აზრი. რაც შეეხება...

გ.გაბაშვილი. კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ, თუ შეიძლება. ამ დისკუსიაში ე.ი. იმდროინდელი უშიშროების საბჭოს მდივანი შემდგომ, თქვენი ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი, უშიშროების საბჭოს მდივანი და, თუ არ ვცდები, იუსტიციის მინისტრი, იყვნენ წინააღმდეგები სამხედრო ოპერაციის დაწყებისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე ამ მომენტისთვის გვექონდა მსხვერპლი. დავაზუსტოთ, რაც თქვენ თქვით ასეა?

ე.კიწმარიშვილი. იუსტიციის მინისტრი არა, იმ მომენტისთვის გენერალური პროკურორი. (ხმა ადგილიდან)

გ.გაბაშვილი. ადგიშვილი.

ე.კიწმარიშვილი. ადგიშვილს რაც შეეხება...

გ.გაბაშვილი. ადგიშვილი, მერაბიშვილი და ჟვანია იყვნენ წინააღმდეგი?

ე.კიწმარიშვილი. ადგიშვილი, მერაბიშვილი და ჟვანია იყო წინააღმდეგი იმის, რომ იმ დღეს მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება. ეს იყო დიდი დისკუსიის შედეგი და საიდან ვასკვნი მე იმას, რომ, მე ვერ ვხედავ ვერაფერს სასაცილოს, ბოდიშს ვიხდი.

თავმჯდომარე. ვინ იცინის. არა, ვინ იცინის ახლა? არავის არ გაუცინია აქა! (ხმები დარბაზში)

გ.გაბაშვილი. ხელოვნურ დამაბულობას ნუ შექმნით, თქვენ მოყვეთ საინტერესო საკითხები.

გ.თარგამაძე. ვერ გავიგე, ვინ გაიცინებს, ვინ არ გაიცინებს, ეს არ არის თქვენი შესაფასებელი. თქვენ მოყვეთ, რაც მოსაყოლი გაქვთ. ზოგი გაიცინებს, ზოგი დაამთუნარებს, ზოგი, როგორც პიროვნულად გადაწყვიტავს, ისე მოიქცევა. თქვენ აქ ხართ მოსული იმისათვის, რომ თქვენ არაერთხელ თქვით, მათ შორის, პრესაში, რომ გაქვთ ბევრი რამე სათქმელი. თქვით ეს სათქმელი ყოველგვარი კომენტარების გარეშე.

ე.კიწმარიშვილი. შემოდია გავაგრძელო?

თავმჯდომარე. დიახ.

ე.კინმარიშვილი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ იმისათვის, რომ დავაზუსტოთ, ესე იგი, იმ დღეს, იმ საათზე, შავნაბადაზე, იყო შესაძლებლობა მიღებულიყო გადაწყვეტილება სამხედრო ოპერაციის დაწყებისა ამ ტერიტორიის წინააღმდეგ, ამ გადაწყვეტილების მიღება არ მოხდა. უბრალოდ, მე ხაზს ვუსვამ, რომ კონფრონტაცია იმ მომენტისათვის და ის შესაძლებლობები, როცა ჩვენ იმ მომენტისათვის გვქონდა მშვიდობიანი გადაწყვეტის რეჟიმის გზა, იქნა ჩაკეტილი, იმ მომენტისათვის. ამის შემდეგ ხაზს ვუსვამ 2004 წლის ოქტომბრიდან მე არ ვმონაწილეობ არანაირ, ესე ვთქვათ, სახელისუფლებო თუ არა სახელისუფლებო . . .

გ.გაბაშვილი. ბატონო ერასტი, ეს უნდა დავაზუსტოთ ესე არ გამოვა. თქვენ ეხლა თქვით, რომ მშვიდობიანი გადაწყვეტის გზა იქნა ჩაკეტილი, ანუ ის რომ ჩვენ . . .

ე.კინმარიშვილი. იმ მომენტისათვის.

გ.გაბაშვილი. არ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დაგვეწყოს საომარი მოქმედება ეს ნიშნავს მშვიდობიანი მოქმედებებისთვის გზის ჩაკეტვას თუ პირიქით, არჩევანის გაკეთებას მშვიდობიანი მოქმედებების შესახებ.

ე.კინმარიშვილი. კიდევ ერთხელ ვიტყვი, ჩვენ ივლის-აგვისტოს მოვლენებით ჩაკეტეთ ის მშვიდობიანი განვითარების მექანიზმი, რომლის საშუალებაც გაჩნდა თებერვალში. კიდევ ერთხელ გავიმეორებ თებერვალში პუტინ-სააკაშვილის შეხვედრის შემდეგ გაჩნდა შესაძლებლობა იმისა, რომ ძალიან სწრაფად დარეგულირებულიყო სამხრეთ ოსეთის პრობლემა. შემიძლია გავაგრძელო ეხლა?

თავმჯდომარე. ბატონო, შეგიძლიათ, თქვენ გააგრძელოთ, მინდა ცალსახად ხაზი გავუსვა, ერთ მომენტს, რომ ფაქტიურად სახელმწიფოში ყოველთვის მიმდინარეობს მსჯელობა. ფაქტია, რომ იმ მოვლენების დროს სასჯელმოქმედებები არ დაწყებულა. თქვენ, ჩვენ თქვენგან მივიღეთ ის ინფორმაცია, რა ხდებოდა დეტალებში ამ სხდომასთან დაკავშირებით. ეს გასაგებიცაა, მაგრამ მთავარია შედეგი, რაც მაშინ დადგა. აქედან გეუბნებით, თქვენ შეგიძლიათ გააგრძელოთ ის საუბარი . . .

ე.კინმარიშვილი. ზუსტად მე ამ შედეგიდან გამომდინარე ვამბობ, რომ შედეგი დადგა საკმაოდ უსიამოვნო იმიტომ, რომ ჩვენ რაღაც პირველ ეტაპზე წარმატების მექანიზმი იმ მომენტისათვის დაგვეკეტა, შემიძლია გავაგრძელო, ეხლა?

გ.გაბაშვილი. ბატონო ერასტი, აი ერთი დამაზუსტებელი შეკითხვა მაქვს, კიდევ იმიტომ, რომ ეს გამომდინარეობს პრეზიდენტის საჯარო განცხადებიდან, რომელიც მან პრესკონფერენციაზე გაახმოვანა სექტემბრის თვეში. თქვენ ვინაიდან, ეხლა ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატუსი მაშინ არ გქონდათ და თქვენ თვითონ ბრძანებთ, რომ სავაჭრო – სამრეწველო პალატის უფროსი იყავით, ესწრებოდით მნიშვნელოვანი შეხვედრებს იქიდან გამომდინარე, რომ იყავით ერთ-ერთი ორგანიზატორი პრეზიდენტების პირველი შეხვედრისა ხომ. პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე ბრძანა, რომ რუსების, რუსეთის მხრიდან ძალიან მწვევე რეაქცია მოჰყვა ჩვენი იურისდიქციის აღდგენას აჭარაში და მაშინ პრეზიდენტმა პუტინმა, უკვე მაშინ პრეზიდენტმა პუტინმა თქვა, რომ შემდგომი ნაბიჯები, ანუ შემდგომი ესე ითქვა, მაშინ „პადარკი“, საჩუქრები, ჩვენგან აღარ იქნება. თქვენ ეს მაშინ იცოდით, თუ ეხლა, ვთქვათ სექტემბერში, პრესკონფერენციაზე მოისმინეთ, თუ ამის შესახებ, საერთოდ არ გსმენიათ.?

ე.კინმარიშვილი. 11, სექტემბერს, პრესკონფერენციაზე პირველად მოვისმინე.

_____ ერთი დამაზუსტებელი კითხვა, თქვენ თქვით, რომ თებერვალში, გაჩნდა შანსი ამ ტერიტორიაზე კონფლიქტის მოგვარების შანსი, შეხვედრის დროს, პრეზიდენტების შეხვედრის დროს. კონკრეტულად, რა შემოთავაზებები იყო რუსეთის მხრიდან, მაგალითად, დევნილების დაბრუნებაზე იყო საუბარი, სტატუსზე ლაპარაკის დაწყებაზე იყო საუბარი, კონკრეტულად, რა შემოთავაზებები იყო რუსეთის მხრიდან, რაზეც ქართულმა მხარემ უარი განაცხადა, ანუ სად გაწყდა ეს ხაზი.

ე.კინმარიშვილი. რაც შეეხება თებერვლის შეთანხმებას, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, საუბარი ეხებოდა სამხრეთ ოსეთში, სადაც ჩვენ დევნილები იმ მომენტისათვის, ასე ვთქვათ, ყველაზე აქტუალურ თემად არ მიგვაჩნდა და არც ითვლებოდა იქ დევნილების დაბრუნება იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, რომ დიდი ნაწილი ქართული მოსახლეობის აგრძელებდა ცხოვრებას ამ ტერიტორიაზე და ცოტა ბუნდოვანია, რა კითხვას მისვამთ თქვენ, რასთან იყო რუსეთის მოთხოვნა საკითხების გადაწყვეტასთან?

_____ რა შემოთავაზება იყო, კონკრეტული გეგმა. . .

ე.კინმარიშვილი. არა, არა, უკაცრავად რა, არანაირ კონკრეტულ გეგმაზე საუბარი, არანაირზე არ ყოფილა. საუბარი იყო იმაზე, რომ თებერვლის შეხვედრის დროს, რომელიც გაგრძელდა 55 წუთი, საათი, ვთქვათ,

ამ ერთი საათის განმავლობაში, ვერ იქნებოდა განხილული დეტალურად ახალ მოსული პრეზიდენტის მხრიდან, მის მიერ ჩამოყალიბებული ხედვები, ვთქვათ, კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება თქვენს კითხვაზე პასუხს, ესე ვთქვათ, რაში იყო შემოთავაზება რუსეთის მხრიდან. საქმეც ზუსტად ამაში იყო, რომ რუსეთის მხრიდან იყო მცდელობა იმისა, რომ აი ამის სანაცვლოდ, საუბარია სამხრეთ ოსეთის ტერიტორიულ მთლიანობის, ესე ვთქვათ, საქართველოს იურისდიქციაში შემოტანის თაობაზე, დაბრუნების თაობაზე იყო შესაძლებლობა, მათი მხრიდან იყო მცდელობა იმისა, რომ დაეწყოთ მოლაპარაკება ჩვენთან რაიმე სანაცვლო შთანხმებაზე, რაიმე შეთანხმებაზე. იმ მომენტისათვის, თებერვალში, ეს შთანხმებები, რა თქმა უნდა, არ განხილულა. ზუსტად ამას ვუსვამ მე ხაზს, რომ ჩხიკვიშვილის მხრიდანაც და ივანოვის მხრიდანაც იყო საუბარი ზუსტად აი ამ შეთანხმებაზე, რომ თუ ჩვენ რაღაცის გადაწყვეტა გვინდა, ბუნებრივია, რომ ჩვენ რაღაცა რაღაცაში უნდა ელემენტარულად გავცვალოთ. ეს რაღაც რა იქნებოდა, მე ამის შესახებ, როგორც ბატონმა გოკამ ბრძანა, პრეზიდენტის სექტემბრის განცხადების თაობაზე, ასევე გავიგე, რომ პრეზიდენტს თურმე, ესე ვთქვათ, პუტინისაგან მიუღია, რომ არანაირი საჩუქარი მას აღარ ექნება. ეს ჩემთვისაც ახალი იყო, გავიგე სექტემბერში, ბატონო გოკა. შემიძლია გავაგრძელო ?

გ.თარგამაძე. აქვე რომ ამოვწუროთ, ალბათ, ეს თემა, თქვენ თვითონ როგორ მიგაჩნიათ, რა შეიძლება იყო ესეთი სანაცვლო სამხრეთ ოსეთისა და გამომდინარე ნუ, იმ წინა . . .

ე.კიწმარიშვილი. აქ ჩემი აზრებისთვის არა ვარ მოსული, აქ მე ინფორმაციის მოსაწოდებლად ვარ მოსული. მე მგონი, ეს, მთელი ამ ხნის განმავლობაში. . .

გ.თარგამაძე. ანუ, თქვენ არც, მათ შორის, არც ჩუბინიშვილისგან, არც სხვა პირადი შეხვედრებიდან არ გამოგიტანიათ დასკვნა, რა წინადადება შეიძლება ყოფილიყო სანაცვლო სამხრეთ ოსეთში ჩვენი იურისდიქციის აღდგენისა. ესეთი ინფორმაცია თქვენ არ გაგაჩნიათ, უფრო კონკრეტულად რაზე . . .

ე.კიწმარიშვილი. ამ თემაზე დასკვნა არ გამომიტანია, ბატონო გივი.

ლ. ვეფხვაძე. ბატონო ეროსი, თქვენ ახსენეთ რუსეთის ელჩისა და ბატონი ჩუბინიშვილის შეხვედრა. ამ შეხვედრაზე თუ იყო საუბარი რაიმე სანაცვლო სექტემბრზე, თქვენ სექტემბრის სიტყვა ახსენეთ, ანუ თუ რაიმე, მაგალითად, პრეზიდენტმა ამას წინათ, ამას წინათ არა, ზაფხულში ბრძანა, აგვისტოს ბოლოსკენ, რომ ჩეჩნეთი იყო ის საკითხი, რომელსაც რუსეთი ითხოვდა, ანუ ჩვენი მხრიდან მათი საჭირო, ასე ვთქვათ, ობიექტების გატარებას და ა.შ. იყო თუ არა ეს სანაცვლოდ მათი მხრიდან მოთხოვნილი ...

ე.კიწმარიშვილი. არ გამაჩნია ინფორმაცია.

თავმჯდომარე. შეგიძლიათ გააგრძელოთ საუბარი.

ე.კიწმარიშვილი. გმადლობთ. 2005 წელს შევხებები, 2005 წლის განმავლობაში, 2004 წლის შემოდგომიდან და 2005 წლის განმავლობაში მე არ მქონია, ასე ვთქვათ, ინფორმაციულად არ ვიყავი, ასე ვთქვათ, ჩართული ამ პროცესებში, თუმცა მქონდა შეხება ისეთ ადამიანებთან, რომლებიც იმ მომენტში წარმოადგენდნენ და კონტაქტები ისეთ ადამიანებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ, ასე ვთქვათ, სერიოზული ინფორმაციის მატარებლები იყვნენ ერთი თვალსაზრისით და მეორე მხრივ, ეს ადამიანები, ასე ვთქვათ, მსჯელობდნენ იმაზე თუ რა პერსპექტივა ექნებოდა რუსულ-ქართულ ურთიერთობას. 2004-2005 წლების, ესე ვთქვათ, მიჯნა ხასიათდება და ამის შესახებ მე უკვე შემიძლია დადასტურებულად გითხრათ, ინფორმაციის, ესე ვთქვათ, არსებობა. 2008 წლის ივნისში მე მქონდა შეხვედრა, იყო მინისტრ იაკობაშვილის ვიზიტი მოსკოვში და ამ შეხვედრის დროს მე მქონდა საუბარი და ჩვენ გვქონდა შეხვედრა ორ საგანგებო დავალებათა ელჩთან რუსეთში, ერთი არის პაპოვი, მეორეა – კინიაკინი. და იმ საგანგებო დავალებათა ელჩის, კინიაკინის მხრიდან იყო ნათქვამი, რომ 2005 წლის დასაწყისისთვის, იმ მომენტამდე სანამ ჟვანია ცოცხალი იყო, არსებობდა ძალიან კარგი პერსპექტივა სამხრეთ ოსეთის პრობლემის მორეგულირების და ეს პრობლემატიკა იქნა დავიწყებული, ბატონო!

თავმჯდომარე. რომელ წელს?

ე.კიწმარიშვილი. 2008 წლის ივნისში მქონდა შეხვედრა მე უკვე მოსკოვში. იყო ძალიან კარგი პერსპექტივები და ანუ ეს შეგიძლია ჩვენ იმითაც, ასე ვთქვათ, გადავამოწმოთ, რომ ამ პერიოდისათვის კოკოითისა და საკმაოდ აქტიურად მზადდებოდა კოკოითი-ჟვანიას შეხვედრა და ა.შ. და ა.შ. თუმცა მისივე განცხადებით ჟვანიას სიკვდილის შემდეგ ამ შეთანხმების და სამშვიდობო აქტივობის საკითხი იქნა, ესე ვთქვათ, დავიწყებული და ჩვენ კვლავ ადგილი გვაქვს იმასთან, რომ, ვთქვათ, პროცესი მიდის იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც გრძელდებოდა მთელი 2005-2006-2007 წლები. ანუ ადგილი ჰქონდა, ასე ვთქვათ, რბილად რომ ვთქვათ, ესკალაციას რუსულ-ქართული ურთიერთობების.

დავუბრუნდები ახლა 2008 წელს, დავანებებ თავს, ასე ვთქვათ, იმ ინფორმაციას, რომელიც საჯაროდ ყველასთვის ცნობილია, 2004-2007 წლების, ასე ვთქვათ, აგრესიულ რიტორიკას, ჩვენი ხელისუფლების მხრიდან,

როგორც რუსეთთან მიმართებაში, ისე რუსეთის ხელისუფლებასთან მიმართებაში და პირდაპირ გადავიდეთ 2008 წელზე, როცა მე უკვე ვუდგები სამუშაოს, როგორც ელჩი რუსეთის ფედერაციაში.

პირველ რიგში მე მინდა ხაზი გავუსვა, რომ შემოთავაზება იმასთან დაკავშირებით, რომ გავმხდარიყავი რუსეთში ელჩი, მე მივიღე 2007 წლის ნოემბერში და ეს შემოთავაზება ჩემთვის იყო...

თავმჯდომარე. პრეზიდენტისაგან, თუ საგარეო საქმეთა მინისტრისაგან?

ე.კიწმარიშვილი. არც ერთისაგან და არც მეორისაგან.

თავმჯდომარე. აბა ვისგან?

ე.კიწმარიშვილი. ვანო მერაბიშვილისაგან, რომლის კომპეტენციაში ნამდვილად არ არის ასეთი ტიპის შემოთავაზებების გაკეთება.

თავმჯდომარე. შემოთავაზება დიალოგის საფუძველზე იყო თუ ოფიციალურად?

ე.კიწმარიშვილი. ოფიციალურად ვერ შემომთავაზებდნენ.

თავმჯდომარე. დიახ, იმიტომ ვუსვამ ხაზს.

ე.კიწმარიშვილი. დიალოგის საფუძველზე.

თავმჯდომარე. დიახ, დიახ.

ე.კიწმარიშვილი. და თვითონ პრეზიდენტისაგან ეს შემოთავაზება მე მივიღე 2008 წლის 11 იანვარს. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მე მქონდა ძალიან აქტიური კონტაქტები უკვე ისევე მქონდა აქტიური კონტაქტი, უფრო სწორად, დეკემბრის თვის განმავლობაში მე მქონდა აქტიური კონტაქტი დღევანდელი საქართველოს, დღევანდელ ხელისუფლების ხელმძღვანელობასთან. და მე შემექმნა შთაბეჭდილება იმ მომენტისათვის, რომ თვითონ პრეზიდენტის მხრიდან, ამ შემოთავაზების გაკეთების დროს, იყო გულწრფელი საუბარი რუსულ – ქართული ურთიერთობების დარეგულირებაზე. და მე სრულიად გულწრფელად მივიღე მისი შემოთავაზება და გამოვთქვი თანხმობა ამ პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღების. სიტყვა-სიტყვით თუ გაინტერესებთ, ეს შეხვედრაც შედგა შავნაბადაზე. სიტყვა-სიტყვით თუ გაინტერესებთ, მისი შემოთავაზება იყო, რომ მას აქვს სურვილი და ის აპირებს, რომ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში მოხდეს ძალიან ინტენსიური გარღვევა და ამ ურთიერთობების დარეგულირება. ჩემი პირველი ვიზიტი ელჩად წარდგენის შემდეგ და არა დამტკიცების შემდეგ, პარლამენტის დამტკიცების შემდეგ, უკაცრავად, შედგა მოსკოვში უკვე არაფორმალურ რანგში, უფრო სწორად, ოღონდ პრეზიდენტთან ერთად, რომელიც ასევე იმყოფებოდა შეხვედრაზე რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტ პუტინთან.

თავმჯდომარე. მინდა ერთი რაღაც გთხოვოთ: როდესაც თქვენ ყვებით, ის არაფორმალური შეხვედრა როდის იყო, რა იყო იქ თარიღებით, თუ შეიძლება..

ე.კიწმარიშვილი. 11 იანვარი. არაფორმალური შეხვედრა, რომელი არაფორმალური შეხვედრა.

თავმჯდომარე. თქვენ ბრძანეთ მერე არაფორმალური შეხვედრა რაც გვქონდა, სტატუსით, სტატუსზე ვსაუბრობ. აი დააზუსტეთ, იგივე შეხვედრა.

ე.კიწმარიშვილი. ე.ი. მე შემოთავაზება მივიღე, წარდგენილი ვიქენი მე იანვარში, პრეზიდენტმა წარმადგინა პარლამენტში და თებერვალში მოხდა ჩემი დამტკიცება. მე მგონი, ზუსტად ვამბობ.

თავმჯდომარე. არა, თქვენ თქვით, რომ შეხვედრაზე ვიყავითო, ამას ვაზუსტებ, ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ.

ე.კიწმარიშვილი. მე ვიმყოფებოდი არაფორმალურ . . .

თავმჯდომარე. ვერვ გაიგეთ.

ე.კიწმარიშვილი. მოგახსენებთ, რომ დიპლომატი, ასე ვთქვათ, ელჩი, დანიშნული, სანამ არ მიიღებს აგრემანს მას არა აქვს უფლება, ასე ვთქვათ, განახორციელოს რაიმე სახის მოქმედება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელშიც ის არის წარგზავნილი. შესაბამისად . . .

თავმჯდომარე. ბატონო ეროსი, აგრემანის საკითხი ძალიან კარგად ვიცით. თქვენ თქვით სიტყვასიტყვით არაფორმალური შეხვედრა. მე გთხოვთ . . .

ე.კიწმარიშვილი. აქედან გამომდინარე . . .

თავმჯდომარე. გთხოვთ თარიღის დაზუსტებას.

ე.კიწმარიშვილი. ბოდიშს გიხდით, იქნებ გამაგრძელებინოთ, ბატონო პაატა.

თავმჯდომარე. არა, თქვენ ღიზიანდებით იმაზე ე.ი. გეკითხებით, რომ კონკრეტულად გვითხარით, როდის? თორემ თქვენ ლაპარაკობთ, მაგრამ როდის მიანტერესებს იმიტომ, რომ ეს უნდა ავსახო დასკვნაში, ხომ სწორეა და რა გიკვიროთ, ვერ გავიგე.

ე.კიწმარიშვილი. მოსკოვში პრეზიდენტ სააკაშვილისა და პრეზიდენტ პუტინის შეხვედრა, რომელსაც ადგილი ჰქონდა, ზუსტი დღე გაინტერესებთ? მოგახსენებთ ეხლავე, თებერვალში.

გ.გაბაშვილი. ბატონო ეროსი, მე მინდა დავაზუსტო სანამ გააგრძელებდეთ. ანუ, თქვენ როცა მიიღეთ შემოთავაზება პრეზიდენტისგან, თქვენ ბრძანეთ, რომ თქვენ დაგრჩათ შთაბეჭდილება, ყოველ შემთხვევაში მაშინ, რომ პრეზიდენტს გულწრფელად სურდა ურთიერთობის დარეგულირება და გარღვევის მიღწევა . . .

ე.კიწმარიშვილი. მე ის ვთქვი, რაც ვთქვი, დიახ, ბატონო გოკა, მე ვერაფერს ვერ ვხედავ ამაში . . .

გ.გაბაშვილი. 2008 წელს, ხო?

ე.კიწმარიშვილი. 2008 წლის 11 იანვარს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, 11 იანვარს 2008 წლის, მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილს გულწრფელად უნდოდა რუსულ-ქართული ურთიერთობის დარეგულირება. მე დამრჩა ეს შთაბეჭდილება.

—————. ბატონო ეროსი, ერთი დამაზუსტებელი კითხვა. მანამდე, დეკემბერსა და იანვრის დასაწყისში რას საქმიანობდით თქვენ?

ე.კიწმარიშვილი. დეკემბრის და იანვრის დასაწყისში ვიყავი პრეზიდენტ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის, საარჩევნო კამპანიის პიარის ნაწილის ხელმძღვანელი.

—————. და, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს გარკვეული მაღლიერების გამოხატულება იყო მისი მხრიდან?

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ ვამბობ, მე პირველი შეთავაზება მივიღე 2 ნოემბერს. 2 ნოემბერს, ხაზს ვუსვამ, 2007 წლის. რაც შეეხება მაღლიერების საკითხს, ამ თემაზე ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ ჩემს აზრს, თუ საინტერესოა, რა თქმა უნდა, კომისიისთვის ეს აზრი.

შემიძლია გავაგრძელო, ასე ვთქვათ, მოსკოვის ვიზიტის შესახებ? მოსკოვის ვიზიტის დროს მე არ მქონია საშუალება, როგორც არაფორმალურად რეჟიმში მყოფ ადამიანს, იმიტომ, რომ მე არ მქონდა მაშინ, ასე ვთქვათ, სტატუსი, მონაწილეობა მიმელო ამ მოლაპარაკებებში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სააკაშვილსა და პუტინს შორის, მაგრამ მე ვიმყოფებოდი პრეზიდენტის თვითმფრინავში ორივე მიმართულებით. ეს არის მარტი, თებერვლის ბოლო მარტის დასაწყისი. ზუსტი თარიღი, ბოდიშს ვიხდი, ამ წუთისთვის, გუშინ ვაკეთებდი ამ ჩანაწერს ზუსტად. სამწუხაროდ, მე არა მაქვს საშუალება, ასე ვთქვათ, იმ დოკუმენტებთან მქონდეს ურთიერთობა, რომელიც სამინისტროშია. ამ შეხვედრაზე საუბრის თემა ჩემთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია, ასე ვთქვათ, იმ დიალოგის სახით, რომელიც გაიმართა თვითმფრინავში. მაგრამ მთავარი ჩემთვის, ასე ვთქვათ, ყველაზე შემაშფოთებელი, რითაც იწყება, ვთქვათ, ჩემი ელჩობა არის ის, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2008 წლის მარტში, თვითმფრინავში, მოსკოვიდან თბილისში გამოფრენის დროს განაცხადა, რომ აგვისტოში ის დედაქალაქს გადაიტანს სოხუმში. ამ საუბარს ესწრება გელა ბეჟუაშვილი, ამ საუბარს ესწრება გრიგოლ ვაშაძე, ამ საუბარს ესწრება ეკა შარაშიძე, ამ საუბარს ვესწრები მე. მე მქონდა ძალიან, ასე ვთქვათ, ხისტი რეაქცია ამ თემაზე და ვუთხარი მაშინ, რომ, ასე ვთქვათ, საერთოდ რაზეა საუბარი თუ ჩვენ ესეთი მიმართულებით ვაპირებთ ურთიერთობის განვითარებას, საერთოდ რა მოლაპარაკებებზეა საუბარი და საერთოდ რა ურთიერთობის რეგულაციაზეა საუბარი, როცა ესეთი აზრებითა ვართ. იმიტომ, რომ . . .

თავმჯდომარე. ბატონო ეროსი . . .

ე.კიწმარიშვილი. 2008 წლის 9 აგვისტოს, დავამთავრებ, 2008 წლის

თავმჯდომარე. არა, დავაზუსტებ და მერე დაამთავრეთ, თავმჯდომარე სვამს აქ კითხვას. ეს ერთი. მეორე. საუბარია დედაქალაქის გადატანაზე სამართლებრივად თუ სოხუმის ადგილზე სამხედრო გზით.

ე.კიწმარიშვილი. რატომ ყვირით, ბატონო პაატა? კიდევ ერთხელ გავიმეორებ.

თავმჯდომარე. მე ვსვამ კითხვას და

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ.

თავმჯდომარე. კომისიის ფორმატი მუშაობაში მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვსვამთ კითხვას და თქვენ გვპასუხობთ და არა აკეთებთ თქვენ კომენტარებს.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ.

თავმჯდომარე. ეს არ არის ყვირილი, ეს არის საუბარი

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ.

თავმჯდომარე. იმ კითხვებთან დაკავშირებით რაც არის.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, თქვენთვის კიდევ ერთხელ გავიმეორებ. მე აგვისტოს, 2008 წლის აგვისტოში, ანუ 4 თვეში საქართველოს დედაქალაქის გადატანა სოხუმში მშვიდობიანი გზით ვერანაირი ფორმატით შესაძლებელი ვერ იქნებოდა. ეს იყო მხოლოდ, ხაზს ვუსვამ, ეს იყო მხოლოდ, ეს უკვე ჩემი ვარაუდია, ერთი გზით.

თავმჯდომარე. შეიძლება თუ არა საქართველოს კონსტიტუციაში ყოფილიყო ჩანაწერი, რომ საქართველოს დედაქალაქი არის სოხუმი. მე იმით ვუსვამ ამას ხაზს, სამართლებრივ გზას და არ ვუსვამ სამხედრო, იყო გაკეთებული განცხადება, რომ

ე.კიწმარიშვილი. არა.

თავმჯდომარე. ჰო, აი, ეს მინდა გავიგო, იყო გაკეთებული განცხადება თუ არა.

_____ თქვენ დამაზუსტებლად არ გიკითხავთ პრეზიდენტისთვის, რას გულისხმობდა ამ ფრაზაში.

ე.კიწმარიშვილი. ის გულისხმობდა იმას, რაც ყველამ გავიგეთ და რაც იგულისხმება, რაც იგულისხმება იმაში, რომ გადავიტანთ დედაქალაქს სოხუმში.

გ.გაბაშვილი. ბატონო ეროსი, თქვენ როდესმე გსმენიათ ასეთი განცხადება პოლიტიკური, ვთქვათ, ნებისმიერი ფორმატით, იქნება ეს რამე შეხვედრა, იქნება ეს რამე თათბირი, იქნება ეს პრესკონფერენცია, იქნება ეს ბრიფინგი თუ რაიმე სხვა დიპლომატიური ფორმატით. თუ ეს მოისმინეთ მხოლოდ როცა თვითმფრინავში მოფრინავდით უკანა გზაზე, კერძო საუბარში და აქედან გამოგაქვთ დასკვნა, თუ რაიმე სხვა ფორმატში მოგისმენიათ ეს აზრი?

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ ვამბობ, საჯარო ფორმატში, მე მგონი, ესეთ საუბარს ადგილი არ ჰქონია. შემიძლია გავაგრძელო? ამის შემდეგ, აპრილში, მისი, პრეზიდენტის კანცელარიაში, როცა მე შევიტყვე იმის თაობაზე, რომ იყო გარკვეული მოლოდინები და გარკვეული მხარდაჭერების მოლოდინი, ასე ვთქვათ, მხარდაჭერის მოლოდინი დასავლეთიდან, რასაც ხშირად იმეორებდა ხოლმე ჩვენი პოლიტიკური, ასე ვთქვათ, ელიტა, იმის თაობაზე რომ მათ აქვთ ბევრ თემაში დიდი საერთაშორისო და დასავლური მხარდაჭერა, აპრილის მეორე ნახევარში ჩემთვის ცნობილი ხდება ინფორმაცია, რომ სააკაშვილის უახლოესი გარემოცვა აცხადებს, რომ მათ მხარდაჭერა მიიღეს დასავლეთიდან, ასევე ქვეყნებს და მიმართულებებს დავაზუსტებ როცა დავხურავთ ტრანსლაციას, იმის თაობაზე, რომ სამხედრო ოპერაციაზე არის სრული მხარდაჭერა.

თავმჯდომარე. ეს საჯარო ინფორმაცია თქვენ შეგიძლიათ ღია ეთერში თქვათ, არანაირი პრობლემა არ არის.

ე.კიწმარიშვილი. კი, ბატონო, გმადლობთ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ჩვენი „ლიდერშიპი“ აცხადებდა, რომ მათ ჰქონდათ მხარდაჭერა ამერიკისგან...

გ.გაბაშვილი. ვინ არის „ლიდერშიპი“, ვინ აცხადებდა და რა ფორმატში მიიღეთ თქვენ ეს ინფორმაცია?

ე.კიწმარიშვილი. იმისათვის რომ მე დავრწმუნებულიყავი ამ ინფორმაციის, ესე ვთქვათ, სიზუსტეში, ..

თავმჯდომარე. არა, „ლიდერშიპი“ ბატონო, არ ვიცი.

ე.კიწმარიშვილი. ზუსტად მაგას ვამბობ „ლიდერშიპი“ არის კონკრეტული ადამიანები, რომლებიც საუბრობდნენ ამ თემაზე, რომლებსაც ჰქონდათ ასევე საუბარი ჩემთან. შემდეგ იმითაც, რომ დამეზუსტებინა ეს ინფორმაცია და რამდენად შეესაბამებოდა ეს ინფორმაცია, ესე ვთქვათ, სინამდვილეს, რამდენად იყო მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოს ხელისუფლებისათვის სამხედრო ოპერაციის დაწყებაზე აფხაზეთის მიმართულებით, მე მქონდა შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან საქართველოში, რომელსაც პირდაპირ დავუსვი ეს შეკითხვა, რამდენად იყო ესეთი ფორმით მიღებული მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. მისი პასუხი იყო კატეგორიულად უარყოფითი და მან დანარჩენ თემაზე, ახლა, ბუნებრივია, რომ მე ვერ გავვრცელდები. ამის შემდეგ...

თავმჯდომარე. კონკრეტული ადამიანები, ვინ გითხრათ თქვენ, რომ საქართველოს „ლიდერშიპმა“ მიიღო მხარდაჭერა ამერიკისაგან სამხედრო ოპერაციის დასაწყებად...

ე.კიწმარიშვილი. ძალიან კონკრეტული ადამიანია.

თავმჯდომარე. ძან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ჩვენ შეიძლება მოგვიჩიოს იმ ადამიანთან კითხვის დასმა.

ე.კიწმარიშვილი. შეიძლება გავაგრძელო? არ შემიძლია ამ ადამიანების უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

თავმჯდომარე. ბატონო ეროსი, თქვენ ბრძანდებით საპარლამენტო კომისიაზე, ერთი წუთით, სადაც აკეთებთ ...

გ.გაბაშვილი. არიან თუ არა ეს ადამიანები უშიშროების საბჭოს წევრები?

თავმჯდომარე. ძალიან მნიშვნელოვანია, ერთი წუთით, ბატონო ბესო, კოკა, ერთ წუთას, ერთი წუთით, თქვენ ხართ საპარლამენტო დროებით საპარლამენტო კომისიაზე, სადაც აკეთებთ, ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდით, და თქვენ არ საუბრობთ იმ პიროვნებებზე, თუ ვისგან გაქვთ ეს ინფორმაცია. ეს არის, ძალიან ...

ე.კიწმარიშვილი. არა, არა, მე კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ დამამთავრებინეთ ფრაზა და მოისმენთ იმას, რაზეც ვსაუბრობ.

თავმჯდომარე. არა, აქ იყო დასმული კონკრეტული საკითხი და ამიტომ გვარების დასახელება. თქვენ შეგიძლიათ დამამთავროთ ფრაზა. კი, ბატონო.

ე.კიწმარიშვილი. გაგცემთ აუცილებლად პასუხს. მე არ გავურბივარ ამ პასუხისმგებლობას, კიდევ ერთხელ ვამბობ და დამამთავრებინეთ თუ შეიძლება ფრაზა, მე მგონი, ვსაუბრობ სრულიად გასაგებ თემაზე და გაუგებარი აქ არაფერი არ არის. რაც შეეხება ადამიანების საკითხს, ამის შემდეგ, როცა მე მივიღე კატეგორიულად უარყოფითი პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისაგან, მე მივიღე სახელმწიფო კანცელარიაში უკვე, ახალ კანცელარიაში და შევდივარ პრეზიდენტთან და ვითხოვ შეხვედრას. ამ შეხვედრას ესწრება პრეზიდენტი, მაშინდელი საპარლამენტო სიის პირველი ნომერი, დღევანდელი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი. ამ შეხვედრაზე მე კატეგორიულად დავაყენე საკითხი იმის თაობაზე, რომ თუ საქართველოს ხელისუფლება მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას და თუ ეს ოპერაცია იქნებოდა განხორციელებული, ჩვენ ყველაფერს დავაყენებდით სერიოზული დარტყმისა და სერიოზული დანგრევის ქვეშ. ეს იყო ძალიან ხანგრძლივი დისკუსია. ახლაც მოგიყვებით დეტალურად ამ დისკუსიის შინაარსს. როცა მე განსხვავებით, 2004 წელი შემთხვევით არ მიხსენებია, 2004 წლის შავნაბადას შეხვედრა, როცა მე მოვუტრიალდი და ვკითხე გოგი თავთუხაშვილს, ჰქონდა თუ არა მას საშუალება გაეკონტროლებინა, ესე ვთქვათ, ის ტერიტორია, რომლის დაკავების მცდელობაზეც იყო მაშინ დისკუსია და მაშინ, ეხლა მოვუტრიალდი მე დღევანდელ თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს და ვკითხე, ბატონო დავით, თქვენ გაქვთ, ესე ვთქვათ, ბატონო დავით, არა, დავითი ვუთხარი, უბრალოდ, ჩვენ, ესე ვთქვათ, ესეთი ურთიერთობა გვაქვს დახურულ ფორმატში, მან განაცხადა, განსხვავებით გოგი თავთუხაშვილისაგან, რომ ასეთი ძლიერი არმია, როგორც არის დღეს, ასეთი მომზადებული მას არ ეყოლება უახლოესი მომავალი 4 წლის განმავლობაში და რომ ის სრულიად მზად არის და რომ პირიქით, ყოველდღე ...

თავმჯდომარე. დააზუსტეთ თვე მაშინ, რომ ზუსტად ...

ე.კიწმარიშვილი. 2008 წლის აპრილის ბოლო და რომ ეს სამხედრო ოპერაცია უნდა განხორციელებულიყო აფხაზეთის მიმართულებით. და ამ სამხედრო ოპერაციაში, სხვათა შორის, ეს ღია რესურსებიდანაც ბევრი შეგვიძლიათ მივიღოთ, ამას არ სჭირდება, ვთქვათ, პირდაპირი კონტაქტები ამ ადამიანებთან, მონაწილეობდნენ ისრაელიდან ჩამოყვანილი ინსტრუქტორები, რომლებიც ამზადებდნენ ქართულ შეიარაღებულ ძალებს იმისათვის, რომ განხორციელებულიყო ეს ოპერაცია. ეს იყო რამდენიმე საათიანი დისკუსია მათთან იმის თაობაზე, რომ ეს იქნებოდა შეუძლებელი, ამის შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა, პირიქით, დარტყმის ქვეშ დადგებოდა როგორც ამ ხელისუფლების მდგრადობა, ისე ქვეყნის მდგრადობა. და მე ვიყავი კატეგორიული წინააღმდეგი იმისა, რომ ეს ოპერაცია დაწყებულიყო. იმ საუბრის დროს მე ვუთხარი დავით ბაქრაძეს.

_____ ბატონი ბაქრაძის პოზიცია როგორი იყო.

ე.კიწმარიშვილი. დავით ბაქრაძეს. კითხვა გაქვთ რამე?

თავმჯდომარე. საუბარი იყო დახურულ ფორმატზე, რაზეც მე ვთქვი, რომ ღია ეთერში იყოს, არანაირი დახურული ფორმატი.

_____ არა კითხვა მე მაქვს, ბატონი დავით ბაქრაძის პოზიცია როგორი იყო?

ე.კიწმარიშვილი. მე ვუთხარი დავით ბაქრაძეს, რომ იმ მომენტში, მე ვუთხარი დავით ბაქრაძეს, რომ ის როგორც მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი არა იმ მომენტში, როცა მას შეეხვედოდა უკვე პრეზიდენტის კაბინეტში, არამედ იმ პერიოდში, როცა ის იმყოფებოდა ვიზიტად შეერთებულ შტატებში, იყო თუ არა საუბარი იმაზე, რომ ამერიკული ადმინისტრაციის მხრიდან არის მხარდაჭერა ამ სამხედრო ოპერაციის. ბაქრაძის პასუხი იყო უარყოფითი. კეზერაშვილის პასუხს ხაზს ვუსვამ, ისევე კიდევ ხელახლა, არ დამიშვებია კეზერაშვილთან დაკავშირებით, ბატონო გოკა, მოვისმენ ინტერესით თქვენს შეკითხვასაც, კეზერაშვილის პასუხი იყო შემდეგ თემაზე, რომ ჯერ ერთი, რომ მას ჰყავს ყველაზე ძლიერი არმია, რომელიც შეიძლება ჰყავდეს მომავალი 4 წლის განმავლობაში, და მეორე, რომ რუსეთი, რომელიც არის ძალიან კორუმპირებული არმიის, ასე ვთქვათ, პირობებში, რომლის 58-ე არმიას ჯერ არ მიუღია, ასე ვთქვათ, გამამდიერებელი ზომები და ბოლომდე არ მომზადებულან, და იმ პირობებში, როდესაც რუსეთის მხრიდან, ასე ვთქვათ, შემოჭრის მცდელობა იქნება

გ.გაბაშვილი. ერთი წამი, უკაცრავად, ბატონო ეროსი, თქვენ აპრილში უკვე საუბრობთ 58-ე არმიაზე, კონკრეტულად?

ე.კიწმარიშვილი. 58-ე არმიაზე საუბრობს კეზერაშვილი.

გ.გაბაშვილი. აპრილში,

ე.კიწმარიშვილი. აპრილის ბოლოს.

გ.გაბაშვილი. ანუ, აპრილის ბოლოს, რაიმე სახის ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტულად 58-ე არმია არის,

ე.კიწმარიშვილი. ხვალ კითხავთ კეზერაშვილს, მე არ ვიცი.

თავმჯდომარე. არა, 58-ე არმია აფხაზეთის მიმართულებით დგას.

გ.გაბაშვილი. აპრილში შედგა ეს საუბარი,

ე.კიწმარიშვილი. საუბარი შედგა აპრილის ბოლოს. ამის შემდეგ ის აზუსტებს ასევე, რომ ჩვენ სანამ მომზადება მოხდება, სანამ გადაჯგუფება მოხდება, უნდა განვახორციელოთ და გადაწყვეტილება მიღებულია მაისის დასაწყისში, ყოველ შემთხვევაში, ბოლო ვადად განსაზღვრულია თოვლის გადნობა უღელტეხილებზე.

თავმჯდომარე. ეს აფხაზეთის მიმართულებაზეა.

ე.კიწმარიშვილი. ეს არის აფხაზეთის მიმართულება. ეს გადაწყვეტილება არ იქნა სისრულეში მოყვანილი ასევე, და ბოლო მომენტში იქნა გადაფიქრებული. თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, მე ვესწრებოდი ამ შეხვედრას, და ამის შემდეგ მე წავედი ელჩად 15 მაისს აი ამ განწყობით. ეხლა დავუბრუნდები, ასე ვთქვათ, რომ არ გამოვიდეს, რომ მე, ვთქვათ, მარტო ქართულ ...

გ.გაბაშვილი. ბატონო ეროსი, რამენაირად თქვენს განწყობაზე ხომ არ უმოქმედია, მაისის ბოლოს რუსებმა შემოიყვანეს საქართველოსთან შეუთანხმებლად 500-ზე მეტი წარმომადგენელი ე.წ. სარკინიგზო ჯარების. ამასთან დაკავშირებით ხომ არ გქონდათ შეხვედრა, საუბარი მაგ პერიოდში?

ე.კიწმარიშვილი. შეიძლება გავაგრძელო?

გ.გაბაშვილი. მე შეკითხვა დაგისვით. თუ მიპასუხებთ ამის გათვალისწინებით და გააგრძელებთ, მაძლავებელი ვიქნები.

გ.თარგამაძე. და კიდევ, აუცილებლად, იმის გათვალისწინებით, რამდენჯერმე დავსვით ერთი და იგივე შეკითხვა, პასუხს არ იძლევი. იმ ადამიანების გვარები, ვინც თქვენ მოგაწოდებდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოს პოლიტიკა თუ როგორც „ლიდერშიპი“ „როგორც თქვენ ბრძანებთ, საუბრობს, რომ ამერიკისგან არის ომის მხარდაჭერა. ეს გვინტერესებს ეხლა უსაფრთხოების თვალსაზრისით და თუ არ ამბობთ მაშინ ჯობდა საერთოდ არ გეთქვათ იმიტომ, რომ . . .

ე.კიწმარიშვილი. კარგით, ჩათვალეთ, რომ ჯობდა საერთოდ არ მეთქვა. დანარჩენი რაც . . .

გ.თარგამაძე. ნუ, არა, ჩათვალეთ. კარგით, ჩავთვლით აუცილებლად, მაშინ ეს ერთი. და მეორე კითხვა მაქვს მაშინ კიდევ, ძალიან მნიშვნელოვანი, მე ვფიქრობ, ეხლა მე ვხედავ, რომ, სამწუხაროდ, ჩამოყალიბდა ასეთი სამწუხარო ტრადიცია იმისი, რომ თანამდებობიდან მოხსნის მერე, კერძო საუბრების მოყოლის სურვილი უჩნდებათ ყოფილ თანამდებობის პირებს, მაგრამ მიუხედავად . . .

ე.კიწმარიშვილი. ბატონო პაატა, მე ვითხოვ, რა, ეს, ასე ვთქვათ, საერთოდ კავშირში არ არის იმ თემასთან, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ . . .

გ.თარგამაძე. თქვენ აქ იმდენი რამე მოყვით, რაც საერთოდ არანაირ კავშირში არ იყო. ერთი წუთით, კითხვას გისვამთ.

ე.კიწმარიშვილი. თუ შეიძლება დამამთავრებინეთ ჩემი თხრობა.

გ.თარგამაძე. კითხვას გისვამთ, რომელიც არის ამ კონტექსტში, კონკრეტული კითხვაა . . .

ე.კიწმარიშვილი. ამიტომ დაანებეთ შეფასებას თავი.

გ.თარგამაძე. კითხვა მდგომარეობს შემდეგში, რომ თუ თქვენ ეს ყველაფერი ნახეთ და ჯერ არ გქონდათ ის აგრემანი მიღებული, რატომ მიიღეთ მაინც ის აგრემანი, თქვენ თუ ნახეთ, რომ ამხელა საფრთხის წინაშე იდგა ქვეყანა,

ე.კიწმარიშვილი. ზუსტად მაგიტომ.

გ.თარგამაძე. რატომ არ მიმართეთ საზოგადოებას, რატომ არ დატოვეთ ეს თანამდებობა მაშინვე, რატომ წახვედით რუსეთში, რისი იმედი გქონდათ, რომ რუსეთში თქვენი წასვლით რაღაცნაირად სიტუაციას შეცვლიდით?

ე.კიწმარიშვილი. ზუსტად იმის, ბატონო გივი, რაც მოხდა 2004 წელს, ზუსტად იმის, რაც მოხდა 2008 წლის აპრილში, რომ ეს აქცია არ იქნებოდა განხორციელებული, ზუსტად ამის. თუ შეიძლება გავაგრძელო.

გ.გაბაშვილი. ბატონო ეროსი, კიდევ ერთხელ დავაზუსტებ, თქვენ რაც ეხლა თქვით ეს შთაბეჭდილება, მე მინდა დავაზუსტო, თქვენ დაგრჩათ მხოლოდ და მხოლოდ კერძო საუბრების ფორმატში, არანაირი, ვთქვათ, ოფიციალური გადაწყვეტილების მიღებას, თათბირს ან დიპლომატიურ ინსტრუქციას ან რაღაცას არ ეყრდნობა, ეს არის კერძო საუბრები, თქვენი, სხვადასხვა, როგორც თქვენ ამბობთ, „ლიდერშიპის“ წარმომადგენლებთან, ხომ?

ე.კიწმარიშვილი. რომელ საკითხზე მელაპარაკებით? პრეზიდენტთან საუბარი კერძო საუბრად არის პრეზიდენტის კაბინეტში. რას გულისხმობთ ბატონო გოკა, ვერ გავიგე.

გ.გაბაშვილი. უკაცრავად. არა, თქვენ პრეზიდენტის კაბინეტში გითხრეს, რომ ჩვენ გვაქვს მწვანე შუქი ამერიკელებისგან?

ე.კიწმარიშვილი. დიახ.

გ.გაბაშვილი. პრეზიდენტის კაბინეტში მოხდა?

ე.კიწმარიშვილი. დიახ, ესეც იყო. (ხმა ადგილიდან). არა, არა, მე იმ სამ ადამიანზე არ ვსაუბრობ. გავაგრძელო, შეიძლება?

თავმჯდომარე. კი, ბატონო.

ე.კიწმარიშვილი. მე მგონი, გაგეცით პასუხი იმ კითხვაზე, ბატონო გივი, რაც ბრძანეთ იმის თაობაზე, რომ რატომ მივიღე გადაწყვეტილება, ზუსტად მაგიტომ მივიღე გადაწყვეტილება, რომ წავსულიყავი და მეორე მხრივ, ჩვენ ასევე უკვე ქართულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ისევე, როგორც ძალიან ბევრი რუსი, ჩვენი მეგობრის ინფორმაციით, ძალიან კარგად ვიცოდით და გვქონდა ბევრი ინფორმაცია, აქ უკვე დავთანხმები ჩემამდე დაკითხულ ადამიანებს, რომ რუსეთის მხრიდან იყო სრული მზადყოფნა იმისათვის, რომ განხორციელებულიყო სამხედრო ოპერაცია აგვისტოში აფხაზეთში კოდორის მიმართულებით იმისათვის, რომ გაესუფთავებინათ კოდორი, ე. წ. ქართული ფორმირებებისაგან. ეს იყო გარკვეული, აბსოლუტურად დადასტურებული იმ მომენტისათვის ჩვენთვის ინფორმაცია და 16 აპრილის გადაწყვეტილებას, რაც შეეხება პუტინის და რაც შეეხება, იმ 500 ჯარისკაცის შეყვანას, ამ 500 ჯარისკაცის გარდა, ჩვენზე დადასტურებული ინფორმაციით, ჩვენ გვქონდა უფრო სერიოზული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იყო ძალიან, ბევრად აღმატებული რაოდენობა სამხედრო ნაწილების განლაგებული აფხაზეთის ტერიტორიაზე და აფხაზეთის მხრიდან იყო სრული მობილიზაცია, ანუ, არა აფხაზების მხრიდან, არამედ აფხაზეთში რუსეთის მხრიდან იყო სრული მობილიზაცია იმასთან დაკავშირებით, რომ აგვისტოს განმავლობაში, მათ უნდა განეხორციელებინათ სამხედრო ოპერაცია კოდორის გასაწმენდად.

გ.გაბაშვილი. ბატონო ეროსი, მამ ჩვენ ვგეგმავდით კოდორის მიმართულებით მოქმედებას თუ რუსები? აი ეს ვერ გავიგე.

ე.კიწმარიშვილი. საქმეც მაგაშია, რომ ორივე და მაგას ვსაუბრობ. მე არა კოდორის მიმართულებით ვსაუბრობ, ჩვენ კოდორის მიმართულებით არაფერს არ ვგეგმავდით, იმიტომ, რომ კოდორს ჩვენ მთლიანად ვაკონტროლებდით.

თავმჯდომარე. საუბარი არის რუსეთის გეგმაზე კოდორის მიმართულებით განხორციელდეს სამხედრო ოპერაცია.

ე.კიწმარიშვილი. რომელიც გადაიდო, რომელიც გადაიდო აფხაზური მხარის დაჟინებული თხოვნით და ეს თხოვნა უკავშირდებოდა, ე. წ. ტურისტულ სეზონს.

თავმჯდომარე. ბატონო ეროსი, ერთ რაღაცას დავაზუსტებ, თქვენ აი ამ საკითხთან დაკავშირებით, თქვენ, როგორც უკვე ელჩზე საუბარი, ხომ სწორია?

ე.კიწმარიშვილი. დიახ.

თავმჯდომარე. თქვენ, როგორც ელჩმა, ეს უკვე იცოდით. „ვისიო“, მეტი არაფერი.

ე.კიწმარიშვილი. და ეს ვიცოდი, როგორც ღია წყაროებიდან და ისე ეს წყაროები არის ქართული მედიისთვის ძალიან ცნობილი რუსი ჟურნალისტები, ისევე საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები და პოლიტოლოგები.

გ.გაბაშვილი. ბატონო ეროსი, ჩვენ კიდევ გვექნება შეხვედრა კეზერაშვილთანაც და მერაბიშვილთანაც და პრეზიდენტმაც გამოთქვა მზადყოფნა აქ მოსვლისა. თქვენ უშუალო ურთიერთობა, როგორც თქვენ ჰყვებით, გქონდათ ყველაზე უმაღლეს ხელმძღვანელობასთან, პრეზიდენტთან გქონდათ უშუალო შეხება. თუ ვინმე სხვამ „ლიდერშიპიდან“ გითხრათ, რომ ჩვენ გვაქვს მწვანე შუქი ამერიკელებისგან საომარ მოქმედებებზე, გადაამოწმეთ თუ არა ეს ინფორმაცია თქვენ პრეზიდენტთან და ჰკითხეთ თუ არა მას, არის თუ არა ეს სიმართლე.

ე.კიწმარიშვილი. ზუსტად ეს საუბარი, რომელიც აღვიწერეთ, ბატონო გოკა, იყო აი ამ გადამოწმების მცდელობა და აი ამ გადამოწმების შედეგად დადასტურებულად მე მივიღე პოზიცია, რომ საქართველოს ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა განეხორციელებინა ეს ოპერაცია აფხაზეთის მიმართულებით. შეიძლება გავაგრძელო?

ხ.გოგორიშვილი. არა, უკაცრავად, მაპატიეთ, თქვენ შეგაწყვეტინეს და ბრძანეთ, რომ რაღაცა გადაიდო ტურისტული სეზონის გამო და იქნებ, აი ეგ წინადადება გააგრძელოთ, რა გადაიდო, ვერ მოვისმინე.

თავმჯდომარე. საბრძოლო მოქმედებები, თუ არ ვცდები.

ბ.გოგორიშვილი. ვისი მხრიდან, ვერ მივხვდი.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ. ე.ი. აფხაზეთის მხარის დაჟინებული თხოვნით იყო ინფორმაცია, რომ აფხაზეთის მხარემ დაჟინებით სთხოვა რუსეთს, რომ არ განხორციელებულიყო ეს ოპერაცია აგვისტოს თვეში და განხორციელებულიყო მოგვიანებით როცა დამთავრდებოდა ე.წ. ტურისტული საზღვაო, ზღვის სეზონი აფხაზეთში. ანუ, მე ამითი იმისი თქმა მინდა, ბატონო თავმჯდომარე და პატივცემულო წევრებო, . . .

ბ.გოგორიშვილი. უკაცრავად. ე.ი. ის საკითხი, რომ დავამთავროთ თუ შეიძლება. ბატონო პაატა, რომ ამოვწუროთ იმ შეხვედრის შესახებ, მე რომ მქონდეს ინფორმაცია, თუ რაზეც თქვენ ბრძანებით პრეზიდენტის კაბინეტში, ეხლა რასაც ჰყვებოდით, თქვენ იქ როდესაც მიხვედით და ბაქრამე და კეზერაშვილი დაგხვდათ, თქვენ თქვით, რომ ეს იყო მცდელობა თქვენი მხრიდან გადაგემოწმებინათ იყო თუ არა მწვანე შუქი საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით და...

ე.კიწმარიშვილი. არა მარტო მცდელობა გადაგემოწმებინა, არამედ დამეფიქსირებინა ჩემი პოზიციაც ამასთან დაკავშირებით.

ბ.გოგორიშვილი. მაპატიეთ. მე თქვენი ციტირება მოვახდინე. თქვენ თქვით, რომ თქვენი მხრიდან ეს იყო მცდელობა გადაგემოწმებინათ ეს ინფორმაცია და ერთადერთი, რაც ბრძანეთ ამასთან დაკავშირებით თქვით, რომ ბაქრამემ უარყო, დავით ბაქრამემ თქვა, რომ ასეთი რამე არ ყოფილა. ამის გარდა სხვა რამე იყო?

ე.კიწმარიშვილი. ვისი მხრიდან, ბაქრამის მხრიდან?

ბ.გოგორიშვილი. არა, ბაქრამემ, ბაქრამის პოზიცია გავიგეთ და სხვა.

ე.კიწმარიშვილი. კეზერაშვილის პოზიცია რასთან დაკავშირებით გაინტერესებთ?. მე ვთქვი კეზერაშვილის პოზიცია ომთან დაკავშირებით და მისი ...

ბ.გოგორიშვილი. ანუ, სხვანაირი პასუხი ამ შეხვედრაზე.

ე.კიწმარიშვილი. ამერიკელებისგან მწვანე შუქი აქვთ თუ არა, კეზერაშვილმა რა გითხრა.

ბ.გოგორიშვილი. ... ბაქრამის გარდა ვინმესგან მიიღეთ ინფორმაცია?

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ. მე ვიყავი პრეზიდენტის კაბინეტში. ესწრებოდა საუბარს სამი ადამიანი და ამ საუბრის შინაარსი მოგიყვით. მეტი იმ საუბრიდან დასკვნა თუ თქვენ ვერ გამოიტანეთ, რომ, ასე ვთქვათ, მზადყოფნა იყო ომთან დაკავშირებით.

----- ბატონო ეროსი, ჩვენ, რომ შეიარაღებულ ძალებს ვამზადებდით და ყოველწლიურად ხდებოდა შეიარაღებული ძალების მზადება სავარაუდო საფრთხეებისთვის და თავდაცვის მინისტრს, რომ სჯეროდა, რომ მას ჰყავს ძლიერი არმია. ეს კი არ გვაინტერესებს ეხლა ჩვენ. ჩვენ გვაინტერესებს მაგ საუბარზე, ბაქრამეზე გავიგეთ, რომ მან უარყო, რომ მწვანე შუქია ამერიკელებისგან. პრეზიდენტმა ან კეზერაშვილმა გითხრა თუ არა თქვენ სიტყვასიტყვით და გარკვევით, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამერიკელებისგან აქვს მწვანე შუქი სამხედრო ოპერაციის განხორციელებაზე. ჯარზე რა გითხრათ კეზერაშვილმა და რისი იმედი აქვს, ამას კეზერაშვილს ცალკე ვკითხავთ.

ე.კიწმარიშვილი. არ უთქვამს, იმიტომ, რომ ამ თემაზე კეზერაშვილთან არ ...

----- გასაგებია. ანუ პრეზიდენტი, კეზერაშვილი და ბაქრამე არ არიან ის „ლიდერშიპი“ ვისზეც თქვენ საუბრობთ. ვინ არის ის „ლიდერშიპი“, რომლის პოზიციაც თქვენ უნდა გადაგემოწმებინათ პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და თავდაცვის მინისტრთან.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ, ბოდიშს ვიხდი. თქვენ დასკვნებს ჩემამდე ნუ გააკეთებთ. მე გითხარით, რომ კეზერაშვილთან ამ თემაზე საუბარი არ მქონია. მე მქონდა საუბარი სამ ადამიანთან, კეზერაშვილთან საუბრის ნაწილი მოგახსენეთ. ბაქრამესთან საუბრის ნაწილიც მოგახსენეთ, რაც შეეხება პრეზიდენტთან საუბრის ნაწილს, პრეზიდენტთან საუბრის ნაწილი ძალიან ჰგავს თქვენს შეკითხვას. ვინ მითხრა მე ეს ამბავი, საიდან გავიგე და კონკრეტული გვარიც დაასახელა ვისგანაც ის თვლიდა, რომ ეს გავიგე, რაზეც მე ვუთხარი, რომ ეს ის ადამიანი ნამდვილად არ არის.

_____ პრეზიდენტმა თქვენგან გადაამოწმა, საიდან გაქვთ თქვენ ეს ინფორმაცია.

ე.კიწმარიშვილი. და მე ვუთხარი, რომ ეს ის არ არის. მას შემდეგ დისკუსია ამ თემაზე არ გაგრძელდებოდა.

თავმჯდომარე. ანუ მან არ გითხრათ, რომ ეს სიმართლეა.

ე.კიწმარიშვილი. პრეზიდენტი დაკმაყოფილდა ამ პასუხით.

_____ ბატონო ეროსი, მაინტერესებს, თქვენ ეხლა კომისიის სხდომაზე ხართ და ჩვენ დეტალები გვაინტერესებს. მან არ გითხრათ, რომ

ეს ინფორმაცია სიმართლეა

ე.კიწმარიშვილი. ბატონო

_____ არ გითხრათ, რომ ეს ინფორმაცია ტყუილია. ანუ ამაზე კომენტარი არ გააკეთა?

თავმჯდომარე. მე ცალსახად მინდა ხაზი გავუსვა, როგორც თავმჯდომარემ, მე მესმის ბატონი ეროსის, რომელიც არ საუბრობს, კონკრეტულად. მე მესმის თქვენი პოზიციის, ეს ჩვენს ფორმატს სცილდება. ეს, რა თქმა უნდა, დასკვნაშია ასახული.

_____ ბატონო თავმჯდომარე, მე მინდა

თავმჯდომარე. ერთი წუთით.

_____ მე, ბატონო, თქვენ, თქვენ მინდა გითხრათ, რა. აქ რაღაც წინასწარი დამაბულობაა, გვესმის ჩვენ, მაგრამ

თავმჯდომარე. არა, არა, არა.

გ.გაბაშვილი. აქ ისეთ მნიშვნელოვან დეტალებზეა საუბარი, რომ ჩადიება და დამატებითი შეკითხვის

თავმჯდომარე. არა.

გ.გაბაშვილი. დასმა არის აუცილებელი. როცა ბატონი ეროსი ბრძანებს, ბატონო თავმჯდომარე, რომ „ლიდერშიპთან“ ჰქონდა მას საუბარი, უფრო მეტი „ლიდერშიპი“ ვიდრე არის პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრი, ამ საკითხში, არ არსებობს. ეხლა ის ამბობს, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს და კუჩერაშვილს ეს არ უთქვიათ და პრეზიდენტსაც ეს არ დაუდასტურებია. პრეზიდენტი მხოლოდ დაინტერესდა იმით, ვისგან აქვს ინფორმაცია ბატონ ეროსის.

თავმჯდომარე. ბატონო

გ.გაბაშვილი. და ამ დეტალების გარკვევა მინდა მე.

თავმჯდომარე. გასაგებია.

გ.გაბაშვილი. სხვა არაფერი.

ე.კიწმარიშვილი. პროტოკოლისთვის გჭირდებათ, შეგიძლიათ ჩაწეროთ, რომ ბაქრადის მხრიდან იყო არც დასტური და არც უარყოფა. თუ პროტოკოლის მხრიდან გაინტერესებთ, კუჩერაშვილთან ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა. თუ სააკაშვილის მხრიდან გაინტერესებთ მისი მხრიდან იყო ფიქსირებული, რომ ის დაეთანხმა ამ ინფორმაციის ფაქტს. უბრალოდ, მას დაინტერესა წყარო. მას აინტერესებდა, ვინ იყო წყარო და კონკრეტულად, ვისგან შეიძლება ყოფილიყო. ისევე როგორც ბატონ გოკას აინტერესებს წყარო. წყაროდ, კიდევ ერთხელ გეუბნებით, მე ვუთხარი, რომ ის, ვისაც ის თვლიდა წყაროდ, ის წყარო არ იყო. რაც შეეხება სხვა ადამიანს მისთვის ისევე როგორც, ბატონო გოკა, თქვენთვის მე მისთვის არ მიცნობებია.

გ.გაბაშვილი. ბატონო ეროსი, მე წყარო მაინტერესებს ... როგორც ამათ ყველას, ჩვენ კომისიის წევრები ვართ და დეტალებში შევდივართ, მაგრამ მე მაინტერესებს ზუსტად ის, რაზეც თქვენგან ეხლა მივიღე პასუხი. რომ გქონდათ საუბარი „ლიდერშიპსაც“ თქვენ ეძახით, ალბათ, ეს არის ყველაზე მეტად „ლიდერშიპი“ ამ შემთხვევაში. პირდაპირი დადასტურება თქვენი იმის შესახებ, რომ ამერიკელებისგან მწვანე შუქი არ მიგიღიათ. ამ სამი ადამიანისგან. სხვებზე მე არ გეკითხებით.

ე.კიწმარიშვილი. მე გაგვცით ამაზე პასუხი.

ხ.გოგორიშვილი. უკაცრავად, დავაზუსტებ. თქვენ როდესაც დაიწყეთ ამ შეხვედრის მოყოლა, თავდაპირველად ბრძანეთ, რომ ე.ი. ბაქრაძემ უარი განაცხადა, მას შემდეგ, რაც ბატონმა გოკამ დააზუსტა და მოითხოვა დაზუსტება, თქვენ ასევე გაინმეორეთ, რომ დავით ბაქრაძემ უარი განაცხადა და ეხლა 5 წუთის შემდეგ კიდევ ერთი დაზუსტების შემდეგ, თქვენ შეცვალეთ და ბრძანეთ, რომ ბაქრაძეს არც დაუდასტურებია და არც უარი უთქვამს. რას ნიშნავს ეს? ესე იგი 5 წუთის წინ

ე.კიწმარიშვილი. ბაქრაძეს, ასე ვთქვათ,

ხ.გოგორიშვილი. იქნება დაგვიკონკრეტოთ, ბატონო ეროსი.

ე.კიწმარიშვილი. დაგვიკონკრეტებთ.

ხ.გოგორიშვილი. ჩემთვის ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. თქვენ თუ 5 წუთის განმავლობაში, 5 წუთის წინ ნათქვამი შეიძლება შეცვალოთ და სრულიად საწინააღმდეგო პასუხი გაგვცეთ იგივე შეკითხვაზე, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ იგივე ალბათობით შეიძლება სხვა შეკითხვებზე რა პასუხებიც მივიღეთ მანამდე, ასევე შეცვალოთ თქვენ 5 და 10 წუთის მერე თქვენი პოზიცია.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ...

ხ.გოგორიშვილი. თქვენ, მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე არამარტო ჩემი მეხსიერებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ამის ძალიან მარტივი მოწოდება სტენოგრაფის საშუალებით, თქვენ ორჯერ ბრძანეთ, რომ ბაქრაძემ უარი თქვა და ახლა, მესამეჯერ თქვით, რომ არც უარი თქვა და არც დათანხმდა. იქნებ, გაგვაგებინოთ.

ე.კიწმარიშვილი. მე კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ბაქრაძის მხრიდან თანხმობა იმის თაობაზე, რომ მან ეს მონაწილეობა, ასე ვთქვათ, ამაზე იყო თუ არა ამერიკის თანხმობა, ბაქრაძეს ამის თაობაზე არ უთქვამს, მაგრამ როცა საუბარია იმაზე, რომ მე გითხარით, რომ პროტოკოლში როგორ გნებავთ, რომ ჩაწეროთ, მე ვთქვი, რომ ბაქრაძეს სიტყვიერად არც „ჰო“ უთქვამს, არც „არა“. მან თავი დახარა, თუ სცენა გაინტერესებთ და მე ეს სცენა აღვწერე. უბრალოდ, არ მინდოდა ასეთი ფორმით აღმეწერა. ე.ი. ბაქრაძემ თავი დახარა და რეაქცია არ გაუკეთებია და რეაქცია არ გაუკეთებია და თავი გააქნია. (დაილოფი. არ ისმის)

ხ.გოგორიშვილი. ..თქვენ თქვით, რომ უარი თქვა...უარი არ უთქვამს?

ე.კიწმარიშვილი. ქალბატონო ხათუნა, თავი დახარა და გააქნია. (ხმაური) თუ მან გაინტერესებთ, როგორი აღწერილობა შეიძლება მივცეთ ამას, შეიძლება.....

თავმჯდომარე. ბატონო ეროსი, გასაგებია ყველაფერი.

ე.კიწმარიშვილი. არც „ჰო“, არც „არა“, მაგრამ მე ვთვლი, რომ ბაქრაძის პოზიცია ამ სიტუაციაში აი ასეთი პირველი ვარიანტი აღვწერე, მაგრამ რადგანაც დაზუსტება მოითხოვეს პროტოკოლისთვის, კიდევ ერთხელ დაგიზუსტებთ მაშინ ამ სცენას. სცენა მდგომარეობდა შემდეგში...(ხმები ადგილიდან)

გ.თარგამაძე. კიდევ ერთხელ დავაზუსტებ, უბრალოდ. თქვენ მთელი ახლა ეს პერიოდი ყველამ, რომ 2004-დან დაწყებული ამ „ლიდერშიპთან“ სუყველასთან გქონდათ ძალიან უშუალო ურთიერთობა. რა პრობლემა გქონდათ ასეთი, რომ პირდაპირ გეკითხათ თითოეული მათგანისთვის, რომ არის თუ არა ასეთი თანხმობა და მიგელოთ რაღაც პასუხი, აი ყოველგვარი ვიზუალური დაკვირვებების გარეშე, თავი დახარა თუ აი რა ქნა. პირდაპირ გეკითხათ თითოეული „ლიდერშიპის“ წარმომადგენლისთვის...

ე.კიწმარიშვილი. და, გივი, აბა, რა გავაკეთე, ვერ გავიგე! მე გავაკეთე ის, რაც გავაკეთე, მე მივიდი და ვკითხე იმ „ლიდერშიპს“...

გ.თარგამაძე. არა, მე მაინტერესებს, რატომ არ გააკეთეთ ის, რაც არ გააკეთეთ (ხმაური დარბაზში).

თავმჯდომარე. არა, ძალიან გთხოვთ, ერთი წუთით. (ხმა ადგილიდან). ბატონო ეროსი, გათიშულია მიკროფონი, ერთი წუთით, ერთი წუთით. მე, გასაგებია ჩემთვის, საკითხები აქ იყო დასმული და მან ვთხოვ კომისიის წევრებს, სიტყვა შეუთანხმონ თავმჯდომარეს. ეს ერთი. ვისაც სურს კითხვის დასმა. პირველი, ის დასმული შეკითხვები, რაც შეეხება „ლიდერშიპთან“ დაკავშირებით, თქვენ კონკრეტულად არ გაეცით პასუხი და მესმის, თქვენ რატომ არ გაეცით პასუხი და აღნიშნეთ ეს, ამასთან დაკავშირებით. ის, რაც შეეხება სხვა მიმართულებებს, რაც იყო დასმული, ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას ვგებულობთ თქვენგან, მაგრამ

რადგანაც თქვენ არ აზუსტებთ კონკრეტულად გვარებს, ამას ძალიან პრინციპული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. მე ცალსახად მინდა ხაზი გავუსვა, როგორც კომისიის თვმჯდომარე, მე აუცილებლად მოვითხოვ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ამ ფაქტთან დაკავშირებით, რომ საერთოდ დაიწყოს, თუ ვინ ურევს ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებში და როგორ ხდება გვარების, ვთქვათ, გვარებით მანიპულირება და შემდგომ, ვთქვათ, თუ ვინ არიან ის პიროვნებები, რომელიც ახორციელებენ ზეწოლას სახელმწიფო მოხელეებზე, რაღაც ინფორმაციით და ამასთან დაკავშირებით რომ დაიწყოს გამოძიება. ეს საკითხები მოხსნილია, ის სცილდება კომისიის კომპეტენციას, ამიტომ ეს იქნება დასკვნებში ასახული და ამ საკითხთან დაკავშირებით, თქვენ, ცალსახად მოვითხოვ გამოძიების დაწყებას. ახლა თქვენ შეგიძლიათ გააგრძელოთ. დიახ.

ხ.გაგორიშვილი. ბატონო პაატა, მე თქვენ მოგმართავთ ამ შემთხვევაში, მე მესმის ის ყველაფერი, რაც მოხდა აქამდე, მაგრამ უბრალოდ, როდესმე ჩვენ დასმულ შეკითხვებზე მივიღებთ პასუხს?

ე.კიწმარიშვილი. თქვენთვის, ქალბატონო ხათუნა, ეს კითხვები არ არის? ეს საკითხები არ იყო მნიშვნელოვანი? სადაც აპრილთან მოვედით და შემდეგ იწყება უკვე თქვენი შეკითხვების ქრონოლოგია მაისის ბოლოდან.

თავმჯდომარე. დიახ.

ე.კიწმარიშვილი. ამავე პერიოდში, როგორც მოგეხსენებათ, ადგილი ჰქონდა ძალიან ისეთ აქტივობას, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან და საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირის მეთიუ ბრაიზას ვიზიტი იყო აფხაზეთში, მეორე დღეს იყო ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი, ამის შემდეგ იყო ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი ირაკლი ალასანიას შეხვედრა ბაღაბშთან, ამ შეხვედრის შემდეგ შედგა ეგრეთ წოდებული ალასანიას დოკუმენტი, ...

თავმჯდომარე. დააზუსტეთ, რამოდენიმე დოკუმენტი ჰქონდა ალასანიას და ამიტომ...

ე.კიწმარიშვილი. არა, საუბარი არის აპრილის ბოლოს გაფორმებულ, ასე ვთქვათ, შეთანხმებაზე, რომელიც ალასანიასა და ბაღაბშს შორის იქნა მომზადებული და რომელიც შემდეგ გახდა ერთ-ერთი ძირითადი საკითხი უკვე ჩემი ელჩობის პერიოდში რუსეთის მხრიდან, დასავლეთ ევროპის მხრიდან და ამერიკის შერთებული შტატების მხრიდან, ჩვენთვის, ასე ვთქვათ, დაყენებულ საკითხთა შორის. იმის თაობაზე...

თავმჯდომარე. თქვენ დოკუმენტს იცნობთ?

ე.კიწმარიშვილი. კი, საუბარი არის.

თავმჯდომარე. მანახეთ ის დოკუმენტი, ხო, აი, მოყევით.

ე.კიწმარიშვილი. კი, საუბარი არის საბოლოო ჯამში, ალბათ, ორ ფურცელზე, აქ არ არის დიდი დოკუმენტი. ძირითადი საკითხი ამ დოკუმენტის, თემა ამ დოკუმენტისა მდგომარეობდა შემდეგში – რომ ეს იყო ე. წ. თავდაუსხმელობის შესახებ შეთანხმება. ანუ იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლებას უნდა აეღო, მოეწერა ხელი შეთანხმებაზე აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერებთან, ე. წ. ძალის არგამოყენების შესახებ, რომელიც, სხვათა შორის, მუდმივად ფიგურირებს შემდეგ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ჩვენთან მოლაპარაკებების დროს. ეხლა, რაც შეეხება, ე.ი. უბრალოდ, აზრს დავამთავრებ. მე ...

გ.გაბაშვილი. მხოლოდ ეს იყო ამ დოკუმენტში?

ე.კიწმარიშვილი. ძირითადი აზრი ეს იყო.

გ.გაბაშვილი. შეგიძლიათ გავაცნოთ მთლიანად, აზრი ამ დოკუმენტის?

ე.კიწმარიშვილი. არა, კიდევ ერთხელ გეუბნებით. დოკუმენტის ძირითადი არსი მდგომარეობდა შემდეგში, რომ ჩვენ გვექონდა საშუალება ძალიან ბევრი მიმართულებით დაგვეწყო ფართომასშტაბიანი მოლაპარაკება აფხაზეთთან, ოღონდ, ასე ვთქვათ, მთავარი, ასე ვთქვათ, საკვანძო საკითხი ამ დოკუმენტისა, მდგომარეობდა შემდეგში, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელია განვითარდეს და დაიწყოს იმ პირობებში, როცა მოხდება აი ამ შეთანხმებაზე ძალის არგამოყენების შეთანხმებაზე, ხელის მოწერა.

თავმჯდომარე. დაზუსტება

გ.თარგამაძე. გაგახსენებთ ყველას, მათ შორის, რომ ეს არა მხოლოდ მერე ფიგურირებდა, არამედ ყოველთვის, როცა არსებობდა პირველი ომის მერე აფხაზეთთან, ყველა მოლაპარაკებები ფიგურირებდა ეს

მოთხოვნა აფხაზეთის მხრიდან და ყოველთვის ამას წინ ედგა ქართული მოთხოვნა ლტოლვილების უპირობო მთლიანი და, ასე ვთქვათ, ნორმალური პირობებში ღირსეულად დაბრუნებასთან დაკავშირებით. ეს 2 მოთხოვნა იყო ყოველთვის ერთმანეთზე გადაბმული და ვერასდროს ვერ ხერხდებოდა სწორედ ამ ორივეს ერთად ხელმოწერა. თორემ, ეს არ იყო ახალი ამაში არაფერი, ხოლო ლტოლვილების მოთხოვნის გარეშე, ვთქვათ, ამ ასეთ დოკუმენტზე ხელის მოწერა, ეს ნიშნავდა ყოველთვის, უბრალოდ, აფხაზეთის ჩაბარებას, მეტი არაფრის.

გ.გაბაშვილი. ბატონო ეროსი, მე ამიტომ გვითხეთ, სხვა რა იყო ამაში. იმიტომ, რომ ჩვენ ისედაც დაგომისის ხელშეკრულებაში ვიყავით

გ.თარგამაძე. მეც მიმიღია მონაწილეობა ესეთ შეხვედრებში, ამიტომ ძან კარგად ვიცი, როდის რა მოთხოვნა იდგა. ეს მოთხოვნა იყო ძალიან ბუნებრივი და ჩვენ ყოველთვის ვიყავით მზად, ხელი მოგვეწერა რაღაც თავდაუსხმელობაზე, თუ იქნებოდა აფხაზეთის მხრიდან ხელი მოწერილი ლტოლვილების დაბრუნებაზე. ეს არ ეხლა დამდგარა ეს საკითხი და არც არის მოხსნილი. ეს ყოველთვის იყო ჩვენი...

გ.გაბაშვილი. ბატონო გივი და ბატონო ეროსი, მაგიტომ დავინტერესდი მე ზუსტად, რომ ბატონმა ეროსიმ ბრძანა, რომ ამ დოკუმენტის ძირითადი არსი იყო იარაღის არგამოყენება ერთმანეთის წინააღმდეგ, მე შეგახსენებთ რომ ჩვენ ისედაც ვიმყოფებოდით დაგომისის ხელშეკრულების რეჟიმში, რომელიც გულისხმობდა ძალის არგამოყენებას ცეცხლის შეწყვეტას, მაგრამ, იმავე დოკუმენტში იყო დაფიქსირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი და ლტოლვილთა ღირსეული დაბრუნების აუცილებლობა. ამ დოკუმენტში, რომელიც დამატებით შეიქმნა, რა იყო გარდა იმისა, რაზეც არის ლაპარაკი ცეცხლის გამოუყენებლობის შესახებ.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ამ დოკუმენტის მთავარი ასპექტი, რომელიც მთელი ამ მოლაპარაკებების პერიოდში, რაშიც მე ვმონაწილეობდი იყო მთავარი საკითხი, იყო აი ეს საკითხი, ყველა მხრიდან და დოკუმენტი მე მგონი ხელმისაწვდომია თქვენთვის და შეგიძლიათ გამოითხოვოთ.

თავმჯდომარე. დააზუსტეთ, დააზუსტეთ.

ხ.გაგორიშვილი. თქვენ ბრძანეთ, რომ მოლაპარაკებებში, რომელშიც თქვენ მონაწილეობდით, რა მოლაპარაკებებს გულისხმობთ? რაში მონაწილეობდით?

ე.კიწმარიშვილი. მე ვმონაწილეობდი პრეზიდენტ სააკაშვილის და პრეზიდენტ მედვედევის შეხვედრაში 4 ივნისს. მე ვმონაწილეობდი მინისტრის მოადგილეებისა და მინისტრების ვიზიტის დროს მოლაპარაკებებში რუსულ მხარესთან. კონკრეტულად ეს არის გრიგოლ ვაშაძის, კონკრეტულად ეს არის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კარასინის ვიზიტი საქართველოში, კონკრეტულად ეს არის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის ზუბაკოვის ვიზიტი საქართველოში, შეხვედრები მასთან, ასევე ეს არის შეხვედრები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ევროკავშირის ოფისში, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოსკოვში ოლონდ, ხაზს ვუსვამ.

ხ.გაგორიშვილი. და ყველა ამ შეხვედრაზე, უკაცრავად, ალასანიაც . . .

ე.კიწმარიშვილი. ამ შეხვედრაზე ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ითვლებოდა იმისათვის, რომ მოხსნილიყო დამაბულობა ითვლებოდა, რომ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი საკითხი, მე, უბრალოდ, ამ მიზნით ვახსენე ალასანიას თემა და ალასანიას შეხვედრა, იყო ეს საკითხიც. მე მაშინ და ამას ხაზს ვუსვამ რატომ ვახსენებ კიდევ ამ ისტორიასაც, რომ ამ შეხვედრაზე . . .

თავმჯდომარე. ბატონო ეროსი, დაზუსტება, რომელი . . .

ე.კიწმარიშვილი. ერთ შეკითხვას პასუხი იქნებ გავცე და მერე გადავიდეთ მეორე შეკითხვაზე. პირველი, რომ ხაზი გავუსვი ამას იმიტომ, რომ ზუსტად იმ დღეებში, როცა საუბარი მიდიოდა იმაზე, რაზეც მე მოგახსენეთ, პრეზიდენტთან, როცა საქართველოს ლიდერშიპს მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, რომ კონკრეტული თარიღიც კი დადგენილი ექნებოდათ, თუ ჰქონდათ, იმისათვის, რომ განეხორციელებინათ რაღაც ოპერაციები, ამ პერიოდში მიდიოდა ამ თემის პედალიზაცია და ამ თემის დაყენება, როგორც ერთ-ერთი მთავარი თემისა იმიტომ, რომ ტემპერატურის დაწევა მომხდარიყო. გისმენთ.

—————. მე მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით, ცეცხლის გამოუყენებლობის შესახებ. იმიტომ, რომ დაახლოებით 15 წუთის წინ თქვენ ახსენეთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას, მათ შორის, თქვენ, მათ შორის, რუსი მეგობრებისაგან გქონდათ სანდო ინფორმაცია, რომ რუსეთი აპირებდა კოდორზე შეტევას და, უბრალოდ, ეს შეტევა გადაიდო აფხაზეთის თხოვნით სეზონის გამო, დასასვენებელი სეზონის გამო. ანუ, ამ კონტექსტში და გავითვალისწინოთ აფხაზეთის პირველი ომის გამოცდილება, როდესაც 3-ჯერ დაირღვა ასეთი ხელშეკრულება აფხაზეთის მხრიდან, რა იყო თქვენი

დამოკიდებულება ამ შემთხვევაში ამ დოკუმენტთან, გქონდათ თუ არა ნდობა ამ დოკუმენტის და ზოგადად მეორე მხარის?

ე.კიწმარიშვილი. რაც შეეხება ამ დოკუმენტის ნდობას, ეს იყო ადამიანების შეხვედრა, რომელიც, ასე ვთქვათ, ამ შეხვედრის ორგანიზებას ახორციელებდა აშშ და მანამდე იყო განხორციელებული ბალაფშთან დიალოგი, ანუ წინა დღით გაიმართა შეხვედრა ბალაფშის და ბრაიზას. ამავე დროს ვიცოდით რა და ნუ, ეს ჩემთვის ბევრჯერ არის, ასე ვთქვათ, ფაქტოლოგიურად ცნობილი და მე ამას მოსკოვშიც რამდენჯერმე შევხვდი, რომ აფხაზური დიასპორის, თვითონ აფხაზეთის არსებული დე ფაქტო ხელისუფლების, ასე ვთქვათ, მხრიდან, ირაკლი ალასანიას განიხილებოდა ადამიანად, რომელთანაც მათ ჰქონდათ გარკვეული ადამიანური ნდობის მომენტი. განსხვავებით, საქართველოს არსებული ხელისუფლების, ძალიან ბევრი თანამდებობის პირისაგან და ბუნებრივია, რომ როცა ამ თემაზე, მიდიოდა დისკუსია და მიდიოდა, როგორც ტემპერატურის დაწვევის ერთადერთ ან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ალტერნატივაზე საუბარი, ბუნებრივია, რომ ჩემი მხრიდანაც ამ თემის მიმართ მიდგომა იყო პოზიტიური.

ანუ საუბარი იმაზე, რომ ჩვენ გვაქვს ინფორმაცია ერთი მხრივ რუსეთი აპირებს კოდორში განახორციელოს სამხედრო ოპერაცია. მეორე მხრივ, გვაქვს ინფორმაცია, რომ ჩვენი ხელისუფლება გეგმავს რაღაც ოპერაციის დაწყებას და განხორციელებას. ერთადერთი მექანიზმი იმ პირობებში, როცა ეს ორივე ინფორმაცია აქვს, კარგად მოეხსენებოდათ, როგორც დასავლეთის, ისე, ასე ვთქვათ, ძალიან ბევრი ქვეყნის დიპლომატებს და ეს ცნობილი იყო, ძალიან ბევრისთვის. სამწუხაროდ საქართველოში საიდუმლოებების საკითხი საკმაოდ ისეთ დონეზე დგას და ძალიან ხშირად შარდენის ქუჩის, ესე ვთქვათ, დისკუსიების საგანია ხოლმე ბევრი ისეთი თემა, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს ხოლმე.

მე ვთვლიდი, რომ და ეხლაც ვთვლი, რომ თუ ეს შეთანხმება იქნებოდა მოწერილი იმ ჩარჩოებში, რომელიც ალასანიას დოკუმენტში არის, ჩამოყალიბებული ე.წ. ალასანიას დოკუმენტში არის ჩამოყალიბებული, ეს იქნებოდა ძალიან სერიოზული პოზიტიური ნაბიჯი ურთიერთობების ნორმალიზაციისათვის. და რაც შეეხება რუსეთის მხრიდან, ჩვენ საუბარი გვქონდა იმაზე, რომ რუსეთის მხრიდან პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად, პირველ რიგში, უბრალოდ, საშუალება მინდა მომეცეს, რომ აზრი ჩამოვყალიბო იმიტომ, რომ ეხლა კონტექსტიდან ამოგლეჯილი ინფორმაციით ვერ შეიქმნება სურათი იმისა, თუ რაზე ვსაუბრობ. ამიტომ თუ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ჩვენ, ორივე მხარეს, ესე ვთქვათ, გვქონდა სამზადისი ურთიერთსაწინააღმდეგო, როგორც ბატონი გოკა ბრძანებს ამაში არანორმალური არაფერი არ არის, ეს არის ბუნებრივი, ესე ვთქვათ, სახელმწიფოს ბუნებრივი რეაქცია ჩემი მხრიდან, ადამიანების მხრიდან, რომელიც 2003 წლიდან იყო ამ ხელისუფლებასთან დაახლოებული სხვადასხვა მიზეზების გამო. თქვენთვის ცნობილი ყოველთვის იყო ერთი მკვეთრი პოზიცია, რომ ჩვენი ურთიერთობა აფხაზეთთან და ოსებთან მიმართებაში, ჩვენი ურთიერთობა ამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, უნდა განხორციელდეს მხოლოდ მშვიდობიანი, მხოლოდ მოლაპარაკებით, მხოლოდ ურთიერთხელსაყრელი და ურთიერთსაინტერესო გეგმის პირობებში. შესაბამისად ჩემი დამოკიდებულება, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ამ დოკუმენტის მიმართ იყო ძალიან პოზიტიური თუ გაჩნდებოდა მექანიზმები და ამ მექანიზმების გაჩენაში აქტიურ მონაწილეობას გეგმავდნენ დასავლეთის ბევრი წამყვანი დიპლომატი.

გ.თარგამაძე. ზუსტად ამ თემაზე მინდა, რომ დავამატო, უბრალოდ, მინდა, მაინტერესებს თქვენ გვითხრათ, ხომ, გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, ...

ე.კიწმარიშვილი. ქალბატონო ხათუნა, ბოდიშს ვიხდი, მაისის 31 –მდე, ჯერ ვერ ჩავედი.

გ.თარგამაძე. ეს ფორმატი, ამ ფორმატით მუშაობა გაგრძელდა და სწორედ ალასანიას, დოკუმენტზე დაყრდნობით მოხდა შეხვედრა სტოკჰოლმში, ქართულ – აფხაზურ მხარეებს შორის, სადაც სამწუხაროდ აფხაზურმა მხარემ ბალაფშის მეთაურობით, ყველა ეს წინადადება უარყო და საერთოდ გამოირიცხა რაიმე საუბრის გაგრძელება ქართულ მხარესთან. ეს ... იყო აი, სწორედ ამ ფორმატის გაგრძელების მცდელობა და გაქვთ თუ არა ამაზე ინფორმაცია და მე, ჩემის მხრივ, მინდა გითხრათ, რომ, მათ შორის, მეც, ვთქვათ, ბატონ გიგა ბოკერიასთან ერთად და ცალკეც მქონდა არაერთხელ შეხვედრები აფხაზური მხარის წარმომადგენლებთან, რაზეც, სხვათა შორის, ყოველთვის ვიყავი კონტაქტში ბატონ ირაკლი ალასანიასთან და ის დამეთანხმება თუ ამაზე იქნება მასთან შეკითხვა. ასე რომ, ეს თემა ყოველთვის იყო ცოცხალი და, ასე ვთქვათ, მცდელობები ამ თემის მაქსიმალურად განხორციელებისა, ყოველთვის იყო. ამიტომ აქ არ იყო რაღაც ახალი, სამწუხაროდ სტოკჰოლმის შეხვედრაზე, რომელიც გამომდინარეობდა სწორედ ალასანიას იმ დოკუმენტიდან და ვთქვათ დასავლელი ჩვენი პარტნიორების იმ მცდელობებიდან აფხაზურმა მხარემ, პრაქტიკულად, ჩაჭრა ყველა მოლაპარაკებების მცდელობა. გმადლობთ.

ე.კიწმარიშვილი. შეიძლება პასუხი გავცე? ბატონო გივი, ზუსტად იმაშია საქმე, რომ სტოკჰოლმის შეხვედრამდე სანამ მივიდოდეთ თუ თქვენ მონაწილეობდით აფხაზებთან დიალოგის საკითხში, მე ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ აფხაზების დარწმუნებას ვერ მოახერხებდით იმ პირობებში, რა პირობებშიც როგორი პოზიციონირებაც თქვენს იმიჯს გააჩნია. იმიჯი, როგორი იმიჯიც გააჩნიათ, ვთქვათ, როგორც ქართულ საზოგადოებაში, ისე იმედი ცოტაა, რომ აფხაზურ საზოგადოებაში დიდად განსხვავებული იყოს. ამიტომ

ზუსტად ამაშია საქმე, რომ სტოკჰოლმის შეხვედრა ჩაიშალა არა იმიტომ, რომ აფხაზური მხარე იყო კატეგორიულად წინააღმდეგი რაიმე შეთანხმების, არამედ იმიტომ, რომ აი, ასეთი პოზიციის მქონე ადამიანებისაგან დაკომპლექტდა მაშინდელი ამ შეხვედრის ფორმატი.

გ.თარგამაძე. ვინ ესწრებოდა ქართული მხრიდან მაშინ.

ე.კიწმარიშვილი. ბატონი რურუა, ბატონი იაკობაშვილი, ბატონი ალასანია, ბატონი ლომაია.

გ.თარგამაძე. და თქვენ როგორ თვლით, ...

თავმჯდომარე. ტელევიზია გაითიშა ერთ წუთას სიგნალი და აღადგინეთ ტექნიკური მხარე რა, რომ არ იყოს, რომ არ თქვან მერე, რომ რაღაცა...

გ.თარგამაძე. ჩემი იმიჯის გამო...

ხ.გოგორიშვილი. გივი, შენი ... ტელევიზიის გათიშვა ერთი იყო.

თავმჯდომარე. ტექნიკური მხარე, მაცნობეთ რა, რა ხდება პირდაპირ ეთერთან დაკავშირებით.

გ.თარგამაძე. შეგვიძლია, ალბათ, რომ გავაგრძელოთ. მე ორი საკითხი მაინტერესებს. ერთი, ჯერ ეს ერთი. მე ვიღებდი მონაწილეობას აფხაზურ მხარესთან საუბრებში, მაშინ, როდესაც მათი მოთხოვნა იყო ეს. და მეორე. ვინ, ე.ი. თქვენ როგორ თვლით, გამომდინარე, ასე ვთქვათ, აფხაზების შეხედულებებიდან იმიჯთან დაკავშირებით, ჩვენ ქართული „ლიდერშიპი“ უნდა შეგვეცვალა იმიტომ, რომ ამ მოლაპარაკებებში, კონკრეტულად, რანგის მიხედვით ეკუთვნოდა კონკრეტულ ადამიანებს მონაწილეობა და რა იმიჯის მიხედვით. ამიტომ ის დელეგაცია დაკომპლექტდა იმ ადამიანებისგან, ვისაც ეხებოდა უშუალოდ ეს საკითხები. თქვენ თვლით, რომ ეს ადამიანები სახელდახელოდ ამ შეხვედრასთან დაკავშირებით უნდა ჩანაცვლებულიყვნენ თავის პოსტებზე იმ ადამიანებით, რომელთა იმიჯი აფხაზების შეხედულებებს შესაბამებოდა თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ეს?

ე.კიწმარიშვილი. შემძლია ვუპასუხო?

გ.გაბაშვილი. - არა....

ე.კიწმარიშვილი. კითხვა დამისვა, ბატონო ... „არა“ რას ნიშნავს?!

გ.გაბაშვილი. ბატონო ეროსი, ვამატებ შეკითხვას. თქვენ არ განსაზღვრავთ აქ საუბრის ფორმატს. ჩაიწერეთ ჩემი შეკითხვაც და ერთად გვიპასუხეთ ორივეს.

თავმჯდომარე. აქ ბლოკების მიხედვითაც ხდება...

გ.გაბაშვილი. ბლოკების მიხედვით ხდება შეკითხვების დასმა და ვამატებ შეკითხვას. მე მრჩება შთაბეჭდილება, იქედან გამომდინარე, რაც ეხლა თქვენ თქვით და მაინტერესებს, დამიდასტუროთ ან უარყოთ. ჩემი შთაბეჭდილებაა, რომ თქვენ, თქვენი ელჩობის პერიოდში დაგრჩათ შთაბეჭდილება, რომ აფხაზები და რუსები მზად იყვნენ ჩვენთან გარკვეულ სამშვიდობო შეთანხმებებზე და ეს იქნა დაბლოკილი ჩვენი, ასე ვთქვათ, პოზიციის გამო. ეს შთაბეჭდილება მე დამრჩა, ან დამიდასტურეთ, ან უარყავით. გმადლობთ.

ე.კიწმარიშვილი. არა. აბსოლუტურად განსხვავებული შთაბეჭდილება, ბოლოდან დავიწყებ, რაც ბატონმა გოკამ დასვა....

-----ერთს დავამატებ, ძაან მოკლე კითხვა მაქვს და ერთი ტექნიკური საკითხი. ვინ იყო სტოკჰოლმის მოლაპარაკებაზე მეორე მხარეს, აფხაზების მხრიდან და როგორია მათი იმიჯი?

ე.კიწმარიშვილი. ვისთან?

----- ვინც წარმოადგენდა აფხაზებს სტოკჰოლმის შეხვედრაზე, მათი იმიჯი. თქვენ თქვით, რომ ჩვენს შემთხვევაში იმიჯი იყო არასამშვიდობო, ასე ვთქვათ, უფრო კონფრონტაციული ტიპის ადამიანები იყვნენ ჩვენი მხრიდან. ვინ იყო აფხაზების მხრიდან და მათი იმიჯი მაინტერესებს თქვენზე შეფასებით.

და ერთი ტექნიკური საკითხი. აქ საუბარია რაღაც გეგმებზე. ჩვენ, სამწუხაროდ, ამის შემდეგ არა გვაქვს შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და ხომ არ არის საჭირო, რომ ამ შეხვედრის მერე მოვიწვიოთ საგარეო საქმეთა მინისტრი....

თავმჯდომარე. ჩვენ ვფიქრობთ, არა, მე ვეთანხმები თქვენს აზრს...

----- გავარკვიოთ, რაღაც მან ბევრი კითხვა დამიგროვდა ახლა....

თავმჯდომარე. ახლა ორგანიზაციულ მხარეს დავეუკავშირდეთ და თუ არის მინისტრი, თუ მინისტრი არ არის, მინისტრის პირველი მოადგილე ვინც არის, რაზე ვთქვამთ ვინც მოდის, რომ მზად იყოს იმასთან დაკავშირებით, რომ შეხვედრის დამთავრების შემდგომ, როდესაც ამოწურული იქნება ინფორმაციის მიღება ბატონი ეროსისაგან, რომ ჩვენ გააგრძელოთ მუშაობა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან, რომ არ გადავდოთ ეს საკითხი. მინდა საორგანიზაციო მხარეს, დავეუკავშირდეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს. თუ არის მინისტრი, მობრძანდეს ქალბატონი ეკა. თუ არ არის მინისტრი, მაშინ მინისტრის მოადგილე.

ე.კიწმარიშვილი. კო, რაც შეეხება თქვენს კითხვას, ზუსტი სია მე არ გამაჩნია. ამიტომ არ მინდა, რომ უზუსტობა დავეშვა. შესაბამისად...

რაც შეეხება ბატონი გოკას კითხვას იმის თაობაზე, ასე ვთქვათ, ჩემი პოზიცია რა იყო ამასთან დაკავშირებით. ჩემი პოზიცია ამასთან დაკავშირებით, რაც თქვენ დასვით, ბატონო გოკა, არის შემდეგი, რომ აფხაზეთთან და რუსეთთან მიმართებაში, ჩვენ გვქონდა უმძიმესი, ვიხმარ სხვა სიტყვასაც, მოწამლული, ძალიან ხანგრძლივი უნდობლობის პირობებში, ურთიერთობა და, ჩემი აზრით, ეს იყო ურთულესი ამოცანა, რომ ეს ურთიერთობა დარეგულირებულიყო. რაც შეეხება სურვილს აფხაზეთის და რუსეთის მხრიდან, მე ვფიქრობ, რომ იყვნენ ერთი და მეორე იდეის მატარებლები. იყვნენ ადამიანები, რომლებიც იყვნენ დარეგულირების მომხრე, იყვნენ ადამიანები, რომლებიც იყვნენ წინააღმდეგი, რა თქმა უნდა, დარეგულირების.

გაბაშვილი. ბატონო ეროსი, მე მინდა შეგახსენოთ, თქვენ ლაპარაკობთ პერიოდზე, როცა რუსებს, დამატებით, სადესანტო ნაწილები შეჰყავთ ოჩამჩირის რაიონში, გამალეხული ტემპებით ახდენენ მშენებლობას გზებისა და კომუნიკაციებისა, მათ შორის, რკინიგზისა ოჩამჩირემდე იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ძალიან სწრაფი ტემპით მიმე ტექნიკის გადასროლა და ასევე ტყვარჩელის რაიონში შეჰყავთ დამატებითი ძალები. ეს არის ის ფაქტები, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ანუ ეს არის რეალური მოქმედება რუსეთის მხრიდან საომარი ესკალაციის მიმართულებით. თქვენ, მეორეს მხრივ, ამბობთ, რომ საქართველოს მხრიდან თქვენ მხოლოდ პირად საუბრებში მოგისმენიათ ერთგვარი განწყობა, ფიქრი იმისა, რომ საქართველოც მზად უნდა იყოს გარკვეული საომარი მოქმედებისთვის. გაქვთ თუ არა თქვენ, რაიმე სახის ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ პარალელურად, აი თქვენ ეხლა ალასანიას გეგმა ახსენეთ, ახსენეთ გეგმა სხვადასხვა ფორმატებით მათთან საუბრისა, ბატონმა გივიმ და მერე თქვენც ახსენეთ, სტოკჰოლმის ხელშეკრულება, გარდა სამშვიდობო ფორმატებში მუშაობისა. გქონდათ თუ არა თქვენ რაიმე სხვა სახის შეხება რუს დიპლომატებთან, სადაც პირდაპირ იყო საუბარი ჩვენს შორის საომარი დაპირისპირების რისკზე.

ე.კიწმარიშვილი. თუ მომეცემა საშუალება გავაგრძელო იმიტომ...

რომ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ეგ უკვე ამ ბლოკის გარეთ გასულია შეკითხვა იმიტომ, რომ შეეხება ზუსტად იმ პერიოდს, სადაც ქალბატონ ხათუნას ძალიან აინტერესებს, მისის პერიოდი. რაც შეეხება დიალოგს რუს დიპლომატებთან, რა თქმა უნდა, მქონდა და, რა თქმა უნდა, ბევრ თემაზე მქონდა. გამაღობთ. შეიძლება გავაგრძელო უკვე? ბოდიშს ვიხდი, თუ, ესე ვთქვათ, ვერ გაგვიცოთ კონკრეტულად ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი. რაც შეეხება რუსულ-ქართული ურთიერთობების, უფრო სწორად, რუსულ სიტუაციას, შეგახსენებთ, რომ ერთი მხრივ, ე. ი. ჩვენ გვაქვს საქმე ახლად არჩეულ პრეზიდენტთან, რომლის ინაუგურაცია არის მისის დასაწყისში დაგეგმილი და, მეორე მხრივ, არის პრეზიდენტი, რომელიც ასრულებს მოვალეობას, პრეზიდენტი, პუტინი. ბუნებრივია, რომ გარდამავალ პერიოდს ახასიათებს თავისი სერიოზული, ესე ვთქვათ, ცვლილებები და რუსეთში არის და რუსეთის საზოგადოებაში არის დიდი მოლოდინი ცვლილებების. ეს ის მომენტი, ეს ის დროა. ჩემი მცდელობა სააკაშვილთან საუბრის, აი ამ საუბრის დროს, რომელზეც მე თქვენ გესაუბრებოდით, და შემდგომ და მთელი ამ დროის განმავლობაში, რაც მე ელჩად ვიმუშავე, იყო დაკავშირებული იმ შესაძლებლობასთან, რომ მისი და პრეზიდენტ პუტინის პირადი, ძალიან გართულებული ურთიერთობა, რომელიც ძალიან სერიოზულ გავლენას ახდენდა, როგორც სააკაშვილის მოქმედებებზე, ისე პრეზიდენტ პუტინის მოქმედებებზე, შესაძლებელი იყო შეცვლილიყო ახალი, სრულიად რაციონალური და წარმატებული ურთიერთობებით იმ შემთხვევაში, თუ და ამის გარკვეული მესიჯები მე რუსეთის მხრიდანაც მქონდა, იმ შემთხვევაში თუ მოხერხდებოდა არგაფუჭება სასტარტო მდგომარეობაში აგრესიული რიტორიკით როგორც ერთი ისე მეორე მხრიდან, ეს იყო მთავარი სასტარტო მოცემულობა. ამ მოცემულობის საფუძველზე ჩემი შეთავაზების შედეგად, სანამ ჩემს შეთავაზებაზე გადავალ, იქ არის მოსალოდნელი ცვლილებები, როგორც პოლიტიკურ გუნდში, იქ არის მოლოდინები იმისა, რომ შეიცვლება მართვის მიმართულებები და ძალიან სერიოზულად, აქტიურად მიდის დისკუსია თემებზე იმისა, რომ რუსეთი თავისი განვითარების ამ გზით, რომელიც პუტინის განვითარებას ახასიათებდა, შედის ჩიხში და ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც თავს თვლის ე.წ. ლიბერალად რუსეთში, მათ შორის, ესენი არიან საინფორმაციო სივრცის წამყვანი ჟურნალისტები, ესენი არიან ლიბერალური პოლიტოლოგები, ესენი არიან სერიოზული ექსპერტები, ესენი არიან სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები პოლიტიკაში თუ ბიზნესში ისინი ცდილობდნენ და ეს იყო დიდი დისკუსიის საგანი რუსულ პრესაში, თუ მათი-ინისის პერიოდს დააკვირდებით, იმისა, რომ შექმნილიყო, ახალი რეალობის დიდი მოლოდინი იყო, ყოველ შემთხვევაში, რუსეთში.

—————. ბატონო ეროსი დავაზუსტებ. დამაზუსტებელი შეკითხვები ნუ გაგაღიზიანებთ, დავაზუსტებ. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი მედვედევი გახდა რუსეთის პრეზიდენტი ან საგარეო პოლიტიკურ ან შიდა პოლიტიკურ მოვლენებში, რომლებსაც თქვენ აკვირდებოდით, როგორც ელჩი, რამემ დაგიდასტურათ თუ არა ის მოლოდინი, რომ მედვედევი იქნებოდა უფრო ლიბერალური პოლიტიკის გამტარებელი ქვეყნის გარეთ ან ქვეყნის შიგნით, რაიმე კონკრეტულმა . . ., მათ შორის, ქმედებებმა საქართველოს მიმართებით დაგიდასტურათ თუ არა ეს მოლოდინები?

ე.კიწმარიშვილი. კი, ბატონო. ზუსტად ჩემი საუბრის გაგრძელებაა და სიამოვნებით გავაგრძელებ ამ ნაწილს. რაც შეეხება, ასე ვთქვათ, ურთიერთობის ნორმალიზაციის პირველ ნიშნებს, ასე ვთქვათ, ჩემი წინადადებით პირველი დიდი სასტარტო ურთიერთობის გახსნისთვის მოძრაობა დაიწყო იმ მიმართულებით, რასაც ჰქვია მედია და მოგეხსენებათ, მაისის დასაწყისში თბილისში ჩამოვიდა საკმაოდ დიდი დელეგაცია რუსი ჟურნალისტების, რომელშიც შედიოდნენ წამყვანი საინფორმაციო საშუალებების წამყვანი ჟურნალისტები. ეს ვიზიტი მომზადდა ძალიან სწრაფ რეჟიმში. ანუ, მე ხაზს ვუსვამ, რომ აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში სააკაშვილი იღებს გადაწყვეტილებას, ასე ვთქვათ, რომ აი ეს იდეა, რომელსაც მე ვთავაზობ მას და არა მარტო მე ვთავაზობ, არამედ სთავაზობს ის გუნდი, რომელსაც ჩააბარა და დაევალა რუსულ მიმართულებაზე მუშაობა და ამ გუნდს ხელმძღვანელობს იმ მომენტისათვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ ვაშაძე. ჩვენი საერთო პოზიცია იყო, რომ უნდა მომხდარიყო, ასე ვთქვათ, ყველა რესურსის ამოწურვა იმისათვის, რომ, გამოწურვა და გამოყენება იმისათვის, რომ მიგველო მაქსიმალური ეფექტი ამ ურთიერთობის ანუ გვეცადა ყველა რესურსი რაც კი შეიძლება ყოფილიყო. ჩამოყვანილი იქნენ რამდენიმე დღით წამყვანი ჟურნალისტები, მათ ჰქონდათ ძალიან საინტერესო შეხვედრა პრეზიდენტთან, იყო ძალიან ბევრი საინტერესო სტატია, რომელიც ამ თემას მოჰყვა, იყო შეხვედრა საქართველოს პატრიარქთან, იყო ძალიან ბევრი, ასე ვთქვათ, საინტერესო მასალა, რომელიც გამოქვეყნდა რუსულ პრესაში და აი, ამ მომენტიდან დაწყებული, ამ მომენტიდან მოყოლებული ჩვენ საქმე გვაქვს უკვე, ასე ვთქვათ, რუსულ მედიაში გარკვეულ დათბობასთან აგრესიის ტემპერატურის დაწვევის მიმართულებით. ასევე შეგახსენებთ, რომ ასევე ჩემი დაჟინებული თხოვნით სააკაშვილის მხრიდან და მისი „ლიდერშიპის“ მხრიდან აგრესიული რიტორიკა მაისის და აპრილის, მაისის და ივნისის დასაწყისში, როგორც რუსეთის მიმართულებით, ისე კონკრეტულად, ასე ვთქვათ, რუსეთის ხელმძღვანელობის მიმართულებით არ განხორციელებულა. და ჩვენ მივდივართ, ასე ვთქვათ, იმ მიმართულებით, რომ ვეძებთ რაღაც შეხების წერტილებს და ვეძებთ ძალიან ზუსტ, რა თქმა უნდა, შეხების წერტილებს ერთი მარტივი მიზეზის გამო. როგორც მოგახსენეთ, 4 წლის განმავლობაში საქართველოს და რუსეთის ურთიერთობები იმდენად იყო გაცივებული, რომ არც ერთმა საქართველოდან მინისტრმა, არც ერთმა მათმა მოადგილემ ბოლო, ვთქვათ, 2–3 წლის განმავლობაში თავისი კოლეგის მამის სახელიც არ იცოდა იმიტომ, რომ ეს შეხვედრები დაყვანილი იყო ფაქტიურად გაცივებამდე.

გ.გაბაშვილი. ბატონო ეროსი, თქვენ შეგიძლიათ, შეგიძლიათ გაიმეოროთ ეს კიდევ ერთხელ, რომ 4 წლის განმავლობაში არც ერთ ქართველ მინისტრს თავის რუს კოლეგასთან ურთიერთობა არ ჰქონია.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ.

გ.გაბაშვილი. თქვენ როგორც ელჩი, ...

ე.კიწმარიშვილი. ბოლო 2–3 წლის განმავლობაში....

გ.გაბაშვილი. ასეთ ინფორმაციას ფლობთ თუ არა. ეს ჩემთვის საინტერესოა, თქვენ ფლობთ თუ არა კომპეტენტურ ინფორმაციას.

ე.კიწმარიშვილი. ბოლო 2–3 წლის განმავლობაში. საუბარია 2006 წლის ცნობილი გაცივებიდან ურთიერთობების, დამთავრებული

გ.გაბაშვილი. მამ ბოლო 2–ის თუ ბოლო 4–ის, ბატონო ეროსი?

ე.კიწმარიშვილი. 2–3 წლის განმავლობაში. ვბრძანებ კიდევ ერთხელ, ბოლო 2–3 წლის განმავლობაში. იმ პირობებში, როცა იყო დამაბული ურთიერთობა და დაწყებული ცნობილი ისტორიით 2006 წელს ამ პერიოდიდან მოყოლებული, მე ხაზს ვუსვამ, ეს არ ეხება საგარეო საქმეთა მინისტრების ურთიერთობას, ჩვენი და რუსეთის სამთავრობო დონეებზე კონტაქტები არის მინიმუმის მიხედვით. და მე ფიგურალურად ვამბობ, რომ მინისტრებმა და მათმა მოადგილეებმა თავიანთი უშუალო კოლეგის შეიძლება მამის სახელიც არ იცოდნენ. ანუ ამას ხაზს ვუსვამ იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ საკმაოდ გართულებული, საკმაოდ მძიმე და მძიმედ დასაწყები პერსპექტივა ამ ურთიერთობის.

გ.თარგამაძე. და აქაც მაინც დავაზუსტოთ, ბატონო ეროსი, თქვენ რა ინფორმაცია გქონდათ ეს არარსებობა კონტაქტების, ვისი ინიციატივით იყო უფრო, ქართული მხარის, თუ რუსულის? იმიტომ, რომ მე...

ე.კიწმარიშვილი. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ორივეს მხრიდან, ბატონო გივი. რაც შეეხება მასშტაბებს ორივეს მხრიდან, ჩვენი, ასე ვთქვათ, ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ, ჩვენ აქტივობაზე უნდა ვისაუბრო. მე ვერ ვისაუბრებ რუსეთის მხარის

გ.თარგამაძე. არა, უბრალოდ, მე რაც მაქვს, ასე ვთქვათ, გამოცდილება, რაც ნანახი მაქვს, იქ იყო პირდაპირი უარები, უბრალოდ, ყველანაირ კონტაქტებზე, მათ შორის, საპარლამენტო დონეზეც. იმიტომ გეუბნებით, ჩვენ გვქონია ასეთი ინიციატივები და იყო უბრალოდ, უარი, არ გვინდა თქვენთან ლაპარაკი. ეს ინფორმაცია გქონდათ თუ არა, მე ეს მაინტერესებდა.

ე.კიწმარიშვილი. მე შემოდელია გითხრათ, რომ მე ასეთი შთაბეჭდილება მაის-ივნისში რუსეთში არ გამჩენია. პირიქით, მე შემოდელია გითხრათ ასევე, რომ ჩემი მხრიდან იყო ძალიან ბევრ, მათ შორის, ეკონომიკურ თემაზე საუბარი, როგორც საქართველოს ხელისუფლებასთან, კონკრეტულად „პრეზიდენტთან. მე შემოდელია ერთი მარტივი მაგალითი მოგიყვანოთ, მე პირადად ვუკავშირდებოდი, ერთი კვირის განმავლობაში ვერ ვახერხებდი მოსკოვიდან დაკავშირებას ეკა შარაშიძესთან, მარტივი მიზეზის გამო, რომ მე მჭირდებოდა, რომ აი ის ჩართული ყოფილიყო რაღაც ეკონომიკურ ასპექტებში, რომელიც ძალიან მნიშვნელოვნად ჩანდა იმ მომენტისათვის. საუბარი იყო როგორც მიმართულებაზე, ასე ვთქვათ, სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებით, ისევე საუბარი იყო კიდევ სხვა ასპექტებზე. მე ერთი კვირის განმავლობაში სპეციალურ ...

თავმჯდომარე. თქვენ ვერ დაუკავშირდით ...

ე.კიწმარიშვილი. მე ერთი კვირის განმავლობაში სპეციალური სერვისით ვურეკავდი ეკა შარაშიძეს, ანუ იმ სპეციალური დახურული სერვისით ვურეკავდი შარაშიძეს და პასუხს ვიღებდი, რომ ან არ არის, ან გადმორეკავს ან გასულია, ან წასულია. ასეთი ისტორია მანიშნებელია იმის, რომ დამოკიდებულება რუსეთთან მიმართებაში ან ზოგადად დამოკიდებულება, ეს უკვე მეორე ასპექტია, ამიტომ, მე არ გავლრმავდები ამ მიმართულებით. რაც შეეხება, ამის შემდეგ მე ამ თემაზე მქონდა, სხვათა შორის, პრეზიდენტთან საუბარი და პირდაპირ ვუთხარი რომ იქ იყო რამდენიმე ისტორია, რომლის დროსაც მე ასეთ საკითხს და ასეთი ფორმით დავეჯახე და მისი მხრიდან იყო, ასე ვთქვათ, გარკვეული, დაკავებულია და ნუ რა ქნას. ანუ, მან დაადასტურა, რომ ეკა შარაშიძე იმ მომენტში დაკავებულია უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით. შესაბამისად, მე ვამბობ, იყო პასუხად, ბატონო გივი, თქვენს შეკითხვაზე, რომ მე დავინახე ცოტა უფრო სხვა მოლოდინები რუსეთში. და ამ მოლოდინებს ერქვა არა ის, რომ რუსული სამხედრო მანქანა თუ რუსული, ასე ვთქვათ, ომის პარტია იყო მზად საქართველოსთან ფართომასშტაბიან დამეგობრებაზე, არამედ იმაზე, რომ რუსული საზოგადოების დიდი ნაწილი იყო დაინტერესებული, რომ დარეგულირებულიყო ეს ურთიერთობა და ამის ნაწილს, საზოგადოების „ერთე წოდებულ, ნაწილს, ამ ნაწილს, წარმოადგენდნენ საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპერტები, და...

გ.გაბაშვილი. რომელი პოლიტიკოსები, თუ შეგიძლიათ კონკრეტულად თქვენი მუშაობის დროს რუსეთში, რომელი მაღალი რანგის, ან უმაღლესი რანგის პოლიტიკოსებისგან თქვენ გქონიათ, თქვენ დაგრჩათ ასეთი შთაბეჭდილება, რომ ისინი, ვთქვათ, ან ქართულ პროდუქციაზე ემბარგოს მოხსნით, ან აფხაზეთის, ან ოსეთის მიმართულებით სიტუაციის დარეგულირებით არიან. ჩვენ მივალთ, ბატონო ეროსი, დამასმევიანეთ შეკითხვა, ჩვენ უფრო ვიცით ის მეორე მხარე, რომ დამატებითი სადესანტო ნაწილები შემოჰყავდათ და სამხედრო ინფრასტრუქტურას აგებდნენ და ქართველების დეპორტაციას ახდენდნენ და ჩვენს პროდუქტებზე ემბარგო შემოიღეს, მაგრამ აი ის ფარული მხარე, როცა შეიძლება თქვენ ფლობდეთ ინფორმაციას, რომ იქ რაღაცა მშვიდობის პარტია იყო რუსეთში, ვინ არიან ეს მშვიდობის პარტია, მათი სახელები და გვარები მართლა გვაინტერესებს და გისვმთ ამ კითხვას.

ე.კიწმარიშვილი. ეხლა, პირველ რიგში, რაც შეეხება...

ხ.გოგორიშვილი. ახლა ამ თემასთან დაკავშირებით კიდევ თქვენ ბრძანეთ, რომ ერთი კვირის განმავლობაში ვერ უკავშირდებოდით ეკონომიკის მინისტრს, თუმცაღა, ალბათ, ძალიან ლოგიკურია, რომ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ქვეყნის ინტერესს თქვენ გქონდეთ ურთიერთობა თქვენს უშუალოდ მაკოორდინებელ სამინისტროსთან, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. ეხლა რაც ბრძანეთ ამ ფაქტებთან დაკავშირებით აცნობეთ თუ არა ვინმეს საგარეო საქმეთა სამინისტროში და ვინ, თუ აცნობეთ ვის?

ე.კიწმარიშვილი. რომელ ფაქტებთან დაკავშირებით, ქალბატონო ხათუნა?

ბ.გოგორიშვილი. ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების მცდელობაზე, რაზეც ვერ დაუკავშირდით, ბიზნესგარეშოს გარკვეული გაუმჯობესების სურვილით კონკრეტული ადამიანების მხრიდან, რომელსაც, ალბათ, ასევე გვეტყვით ვინ იყო.

ე.კიწმარიშვილი. მე მქონდა უშუალოდ ამ მიმართულების კურატორთან ყოველდღიური ურთიერთობა და გარდა ამისა, მე უბრალოდ, ვთვლიდი, რომ იყო თემები, რომელ თემასთან დაკავშირებითაც შესაძლებელი იყო პირდაპირი ურთიერთობა მინისტრებთან. მე მგონი, ფორმალიზაცია ამ ურთიერთობის იმ სიტუაციაში, რაც მე აღგიწერეთ, ქალბატონო ხათუნა, აპრილის ბოლოს, როცა ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც არის მოლოდინი დიდი კატასტროფის, მე მგონი, ფორმალიზაცია ამ ურთიერთობების მიმოწერასთან დაკავშირებით, არ არის, ასე ვთქვათ, მთავარი პრობლემა ამ დისკუსიის.

ბ.გოგორიშვილი. არა, ვერ დაგეთანხმებით.

ე.კიწმარიშვილი. მეც ვერ დაგეთანხმებით. მე ჩემი აზრი მაქვს.

ბ.გოგორიშვილი. უკაცრავად, თქვენ ზუსტად ამ პერიოდში კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ფორმალიზებას ახერხებთ და უგზავნით შესაბამის განმარტებით ბარათებს სამინისტროს და თუ იგივე კონკრეტული რაღაც საქართველოს დღეების და სხვადასხვა კონცერტების ჩატარება და ძიუდოს ჩემპიონატი არის პრიორიტეტული და ფორმალიზება ხდება საელჩოსგან...

ე.კიწმარიშვილი. ბოდიშს გიხდით, თემები, რომლებიც ამასთან დაკავშირებულია...

ბ.გოგორიშვილი. უკაცრავად, დავასრულებ შეკითხვას. რატომ არ ხდება ფორმალიზება ქვეყნისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებისა, როგორც არის ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობა რუსეთთან?

ე.კიწმარიშვილი. დიდი მადლობა კითხვისთვის კიდევ ერთხელ. აი, თემები, რომლებიც იყო დროში გაჭიმული, ანუ თემატიკა, რომელიც ეხებოდა ზოგადად სტრატეგიულ ურთიერთობებს, მათ შორის, კულტუროლოგიურ თუ სპორტულ ასპექტებში, მათ შორის, რომელზეც იყო საუბარი. არ ვიცი ეხლა თქვენ რა ციტატა გააკეთეთ, რა ძიუდოსთან დაკავშირებით, მაგრამ თუ მექნება საშუალება, ბოდიშს ვიხდი მე...

ბ.გოგორიშვილი. თქვენი ხელმოწერილი დოკუმენტია.

ე.კიწმარიშვილი. არ ვიცი რა დოკუმენტზეა საუბარი, ქალბატონო ხათუნა. როცა მექნება საშუალება მოგახსენებთ ჩემს აზრს ამ დოკუმენტთან დაკავშირებით. ...

გ.გაბაშვილი. ძიუდოს ტურნირის მნიშვნელობის დაკნინებას მე ვერ დავეთანხმები ვერანაირად.

ე.კიწმარიშვილი. მე ვფიქრობ, რომ, როდინდელია ქალბატონო ხათუნა, მაშინ რადგანაც ინტერესის საგანი გახდა.

ბ.გოგორიშვილი. არა, არა, გააგრძელებთ.

ე.კიწმარიშვილი. არა, არა ბრძანეთ, იქნებ ბრძანოთ.

ბ.გოგორიშვილი. მე ვიღებ გადაწყვეტილებას როდის რა შეგეკითხოთ. თქვენ გააგრძელებთ და მე მოგახსენებთ ...

ე.კიწმარიშვილი. შეიძლება გავაგრძელო ბატონო პაატა? გმადლობთ.

გ.გაბაშვილი. თუ შეიძლება, ჩემს შეკითხვასაც ნუ დატოვებთ უყურადღებოდ, იმიტომ რომ ჩვენ 18 წელია ამ მეორე რუსეთს ვეძებთ და თუ სახელებით და გვარებით იცით ეს მეორე რუსეთი, ეგება გვითხრათ ვინ არიან ისინი პოლიტიკურ სპექტრში.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, მე ტერმინი მეორე რუსეთი არ მიხსენებია, ეს თქვენი ტერმინია, არ ვიცი თქვენ რას ეძებთ მეორე რუსეთთან დაკავშირებით. მე გიყვებით კონკრეტულ ადამიანებზე

გ.გაბაშვილი. განვიმარტავთ, თქვენ თქვით, რომ იყო ადამიანები, რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, ვინც არ ემხრობოდა ამ პოზიციას, იგივე ოჩამჩირეში დამატებითი ძალების შეყვანას,

სარკინიგზო და უნდოდა საქართველოსთან ურთიერთობის დარეგულირება, უმაღლესი ხელმძღვანელებიდან მათი სახელები და გავრები გვითხარით, რომ ჩვენც ვიცოდეთ.

ე.კიწმარიშვილი. კი ბატონო. შეიძლება გავაგრძელო. ამ კითხვაზეც გაცემთ ბატონო გოგა პასუხს. რაც შეეხება საუბარს იმის თაობაზე თუ რა ტიპის პერსექტივები არსებობდა ამ ურთიერთობებში და რას წარმოადგენდა რამდენიმე მაგალითს მოვიყვანო მხოლოდ, სულ რამდენიმე მაგალითს და მე მგონი გაცემა ამით პასუხი ბატონი გოგას კითხვასაც. პირველი, რაც შეეხება ეგრეთოდებულ პირველ შეხვედრას, რომელიც, შეხვედრას, რომელიც სხვათა შორის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახსენა აქ რომ თურმე მე რაღაც ენჯეობის შეხვედრა მომითხოვია და მას თანხმობა მოუცია, ეს ენჯეობის შეხვედრა იყო საკმაოდ მაღალი ფორმატის შეხვედრა, ოღონდ მას თანხმობა არ მოუცია, წერილობით მან უარი გამოგზავნა ამ შეხვედრაზე. ეს შეხვედრა იყო ორგანიზებული ჩვენი მხრიდან, საელჩოს მხრიდან და მეორე მხარეს წარმოადგენდა საკმაოდ ისეთი, ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის სამეთვალყურეო საბჭოში არის რუსეთის მოქმედი პრეზიდენტი მედვედევი. ამას ჰქვია „ИНСТИТУТ СОВРЕМЕННОГО РАЗВИТИЯ“. ეს შეხვედრა გაიმართა 2008 წლის ივნისის 19-ში და ამ შეხვედრაში საქართველოს მხრიდან მონაწილეობდნენ ბატონი თემურ იაკობაშვილი, ბატონი ზურაბ აბაშიძე, ბატონი დავით აფრასიძე, ასევე ჩემი მხრიდან იყო შეთავაზება და მონაწილეობდა თორნიკე გორდაძე. რუსეთის მხრიდან ამ შეხვედრაში მონაწილეობდა ამ ორგანიზაციის, ანუ, ხაზს ვუსვამ, რუსეთის პრეზიდენტი არის ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოში და მისი პატრონაჟით არის ეს ორგანიზაცია, „ИНСТИТУТ СОВРЕМЕННОГО РАЗВИТИЯ“, რომელსაც ჰქონდა დავალებული, რომელიც დღესაც აგრძელებს მუშაობას, ჰქონდა აღებული ვალდებულება შეექმნა რუსეთის განვითარების, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ახალი მოდელი. ამ ჯგუფის მხრიდან, ანუ ჩვენი შეხვედრა შედგა ამ ჯგუფის ხელმძღვანელთან იურგენსთან, იგორ იურგენსი, არის ასეთი ადამიანი ამ „თენქ თანქს“, ამ ფონდის, ამ ორგანიზაციის, ინსტიტუტის ხელმძღვანელი და ამ შეხვედრის შემდეგ ჩემს თხოვნაზე, რომ მოხერხდეს, რამე ფორმით არასამთავრობო სექტორში მაინც დავიწყოთ აქტიური დიალოგი და დავიწყოთ, ასე ვთქვათ, ურთიერთმისაღები პოზიციების დაზუსტება, ნუ, სად იკვეთება ჩვენი პოზიციები და სად შესაძლებელია, რომ ჩვენი პოზიციები იყოს დამუშავებული ისე, რომ დაემთხვას ერთმანეთს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს ყველა ერთმანეთისგან განსხვავებული პოზიცია. ამ მიზნით ძალიან, ესე, სწრაფ რეჟიმში, იქიდან გამომდინარე, რომ უკვე რადგანაც მომიწია გადახტომა თემატიკის და ქალბატონო ხათუნა, ზოდის გიხდით, ასე ვთქვათ, პრეზიდენტების შეხვედრის და მათის ბოლოს და ივნისის დასაწყისის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ გაჩენილი გარკვეული ენერგეტიკა, რომ განვითარებული ყოფილიყო.

ამ შეხვედრას დაესწრო რუსეთის მხრიდან რუსეთის ზედა პალატის ფედერაციის საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ მარგელოვი. ამ შეხვედრას დაესწრო ძალიან ბევრი მაღალი რანგის პოლიტოლოგი, მათ შორის ე.წ. „მეიმო“-ს რექტორი და ამ შეხვედრის დამთავრების შემდეგ, ბატონი ტორკუნოვი, ამ შეხვედრის დროს, ეს იყო ნახევარდღიანი შეხვედრა, ამ შეხვედრის მნიშვნელობას მე ხაზს ვუსვამ ერთი მიზეზით. პირველ რიგში, ეს შეხვედრა განხორციელდა და შემდგომ იქნა უარყოფილი ამ შეხვედრის დაფინანსების ფორმატი საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან და არა თანხმობა. ამ შეხვედრის მნიშვნელობა მდგომარეობდა შემდეგში, რომ ამ შეხვედრაზე, ფაქტიურად, რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მოვიდა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების თანხმობით იმიტომ, რომ სხვა შემთხვევაში ის უარს აცხადებდა და ეს ინფორმაცია მე მქონდა რამდენიმე წყაროზე დაყრდნობით და ეს წყაროები სრულიად, ასე ვთქვათ, . . .

ამის გარდა, ამ შეხვედრის შემდეგ ჩვენ შევიმუშავეთ გარკვეული ურთიერთობის სქემა, რომლითაც უნდა განვითარებულიყო ქართულ-რუსული ურთიერთობის აი ეს ნაწილი, არასამთავრობო ნაწილი და გაჩნდა ძალიან კარგი შესაძლებლობა იმისა, რომ დაგვეწყო ღია, პირდაპირი დიალოგი არასამთავრობო სექტორსა ან პოლიტოლოგების რეჟიმში და ეს რეჟიმი ყოფილიყო მაქსიმალურად, სხვათა შორის, ხაზს ვუსვამ, რომ რუსეთის მხრიდან იყვნენ შერჩეული ადამიანები, ხაზგასმულად იქნა ეს შერჩევა გაკეთებული, რომლებიც, და ჩვენი მხრიდანაც შევეცადეთ, რომ მაქსიმალურად, ასე ვთქვათ, რბილი შერჩევა იყო იმ თვალსაზრისით, რომ არ მომხდარიყო ძალიან ხისტი დაჯახება იმიტომ, რომ ეს იყო მოკლე შეხვედრა, მას არ ჰქონდა ხანგრძლივი ხასიათი, იყო სწრაფად მომზადებული და იმისათვის, რომ ეს კარის გაჯახუნებით არ დამთავრებულიყო, ბუნებრივია, რომ შეირჩნენ ადამიანები, რომელთა იმიჯი, ასე ვთქვათ, ძალიან მკვეთრად რადიკალური არ იქნებოდა.

მეორე მნიშვნელოვანი, რითაც მე მინდოდა, ასე ვთქვათ, დამთავრება, რადგანაც ბატონ გოგას აინტერესებს, მე შემიძლია გითხრათ, რომ 2008 წლის დასაწყისში, ივლისის დასაწყისში, ივლისის დასაწყისში, ხაზს ვუსვამ, აი ქალბატონ ხათუნას აინტერესებს, რას ვაკეთებდი მე 3-4-ში, როცა სანაკოვეზე განხორციელდა თავდასხმა, ამის ნაწილია, მე მომცეს ინფორმაცია და მე ეს ინფორმაცია სასწრაფოდ გადმოვეცი თბილისში, რომ 17,18, 19 ივლისს საქართველოში ვიზიტი რუსულ-ქართული კულტურის დღეების ფარგლებში ჰქონდა დაგეგმილი და სურვილი ჰქონდა ამ ვიზიტის განხორციელების რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ბატონ ნარიშკინს. ეს ინფორმაცია მე გადმოვეცი სასწრაფო ვითარებაში, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ხაზს ვუსვამ, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რუსული, ასე ვთქვათ, პოლიტიკური თუ სახელისუფლებო იერარქიის პირობებში არის ძალიან გავლენიანი ადამიანი. მისი გავლენისა და შესაძლებლობების მასშტაბები, ასე ვთქვათ, განისაზღვრება იმით, რომ ეს სტატუსი...

თავმჯდომარე. დავაზუსტებ. თქვენ სიტყვიერად გადაეცით თუ დოკუმენტის სახით?

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთელ ხაზს ვუსვამ, მე გადმოვეცი ეს ინფორმაცია იმის გამო, რომ ეს იყო ძალიან ოპერატიული ინფორმაცია. პირველად გადმოვეცი დახურული ფორმატით, სატელეფონო საუბრით გრიგოლ ვაშაძეს. ამის გარდა, მე ვესაუბრე, უკვე მოგვიანებით, ზურაბ ადეიშვილს, რომელიც მისი კოლეგაა იმ მომენტში და ეს ვიზიტი, ხაზს ვუსვამ, ელცინის 91 წელს ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრის შემდეგ ასეთი მაღალი რანგის, თუ არ ჩავთვლით, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, საგარეო საქმეთა მინისტრს, თუმცა, რეალურად ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფრო მაღალი რანგის არის, ითვლებოდა პირველ ძალიან სერიოზულ მესიჯად იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ გვქონდა ძალიან კარგი შედეგი იმ ორ თვეზე, რომლის, ასე ვთქვათ, თხრობის ნაწილში, მე დიდი, ესე ვთქვათ, ნახტომი გავაკეთე. მისი ჩამოსვლის მიზანი იყო, პირველი, ფორმალური მიზანი იყო რუსულ – ქართულ კულტურის დღეებში მონაწილეობის მიღება, რომელიც, სხვათა შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში მაშინ.

მთავარი მიზანი იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტს ოფიციალურად დაეპატიჟა, საქართველოში რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი. ანუ, საუბარი იყო იმაზე, რომ ჩამოდის პრეზიდენტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იმ მიზნით, რომ მან ფორმალურად და უკვე რეალიზებულად წაიღოს ოფიციალური მოწვევა რუსეთის პრეზიდენტისთვის. საორიენტაციო ვადები, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს პრეზიდენტს ჩემი თანდასწრებით რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს, შემდგომ რამდენიმე, ესე ვთქვათ, მაღალი რანგის შეხვედრის დროს, ასევე ჩემი თანდასწრებით პრეზიდენტთან 2008 წლის ივნისში ჰქონდათ დაბეჯითებული თხოვნა ორმხრივი შეხვედრის ორგანიზებისა. ეს იყო უზარმაზარი, იმ მომენტისათვის, წარმატება და ამ წარმატების ნაწილი იყო, ეს წარმატება წარმოიქმნა არა მარტო იმიდან, რომ იქიდან, რომ, ვთქვათ, ეს ყველაფერი თავისით გაჩნდა, არამედ იქიდან, რომ მთელი 2008 წლის მას – ივნისში, ჩვენ, რუსეთის დეპარტამენტი, რუსეთის მიმართულების პასუხისმგებელი მინისტრის მოადგილე და რუსეთის საელჩო, რუსეთში საქართველოს საელჩო, ვახორციელებდით ძალიან მაღალი ინტენსივობის აქტივობას, რომლის შედეგადაც, მათ შორის, ქალბატონი ხათუნა ბრძანებდა, მიუდღოს თუ ფეხბურთის მიმართულებითაც და ამ მესიჯებმა შექმნა განწყობა იმისა, რომ იყო შესაძლებელი ამ მოქმედების განხორციელება. ეს არის, რაც შეეხება იმ მოლოდინებს, რაც ჩვენ გვქონდა. ეხლა, რაც შეეხება კიდევ ერთ მოლოდინს, ბატონო გოკა, დავამთავრებ

გ.გაბაშვილი. დავაზუსტებ თუ შეიძლება. მაინტერესებს. ანუ, ბატონი ნარიშკინის სავარაუდო თანხმობა იმაზე, რომ ის მონაწილეობას მიიღებდა კულტურის დღეებში საქართველოში თქვენ ჩათვალეთ, რომ ეს არის კარდინალური შემობრუნება რუსული პოლიტიკისა საქართველოსკენ ამ რანგში ...

ე.კიწმარიშვილი. ძალიან ესეთი შეფასებაა, ბატონო გოკა, ესე ვთქვათ, ცალსახად შეფასებაა. მე არ მითქვამს ესე, მე ჩავთვალე, რომ ბატონი ნარიშკინის სურვილი ჩამოსულიყო საქართველოში და შეხვედროდა საქართველოს პრეზიდენტს და მიეღო საქართველოს პრეზიდენტისაგან მოწვევა იმ თემაზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან რამდენჯერმე იყო გახმოვანებული ბატონ მედვედევთან ვიზიტზე, და თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულ – რუსულ ურთიერთობაში, მათ შორის, საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული სულ რამდენიმე ვიზიტი იყო ესეთი, ესე ვთქვათ, თანამდებობის პირი საქართველოში, ეს შეიძლება ჩაითვალოს, იყო კარგი მესიჯი და კარგი დადასტურება იმისა, რომ ჩვენმა ორთვიანმა აქტივობამ, მორატორიუმმა აგრესიულ რიტორიკაზე და სხვა ტიპის შესაძლებლობებმა გააჩინა ფონი იმისა, რუსეთის უმაღლესი ხელისუფალი, უბრალოდ, არ დამიმთავრების აზრი, თუ დამამთავრებინებთ, იმიტომ, რომ სხვა ნაწილით მინდა დავამთავრო ეს აზრი, ეს ყველაფერი იძლეოდა იმედს იმისას, რომ ჩვენ გვქონდა საშუალება დაგვეწყო ახალი ურთიერთობა, რაც ბატონმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის საინაუგურაციო სიტყვაში ბრძანა 2008 წლის იანვარში, ხელი გაუწოდა რუსეთს სამეგობროდ.

ამის შემდეგ, უფრო სწორად, ამის პარალელურად იმის თაობაზე თუ რამდენად სერიოზული იყო, ასე ვთქვათ, ეს ჩვენი მოლოდინები, მე მქონდა ძალიან ბევრი დადასტურებული ინფორმაცია, აი, ამ ტიპის ადამიანებისაგან, ვიზუელ გესაუბრეთ უკვე, სხვა ძალიან ბევრი ადამიანისაგან, რომელიც წარმოადგენდა ლიბერალურ პრესას, სხვა ძალიან ბევრი გავლენიანი ადამიანისაგან, მათ შორის, შემოდის ჩამოგიტვალთ ის ადამიანები, რომელთა პოზიციაც, სხვათა შორის, ძალიან აგრესიული იყო საქართველოსთან მიმართებაში 2008 წლის მასამდე და ბევრ შემთხვევაში მათი პოზიცია სრულად ემთხვეოდა გაბატონებულ, ასე ვთქვათ, მანამდე გაბატონებულ პოზიციას. ყველა ამ ტიპის ადამიანთან მე მქონდა დიალოგი და მქონდა მცდელობა, რომ ეს ადამიანები, ასე ვთქვათ, ჩაგვერთო ამ პროცესში პოზიტიური ნიშნით. მაგალითად, ნიკიტა მიხალკოვი. მაგალითად, ევგენი პრიმაკოვი. სხვათა შორის, რომელმაც ძალიან კარგი როლი ითამაშა 2004 წლის, დიახ, ევგენი პრიმაკოვი გახლდათ ფსბ-ს ხელმძღვანელი, ბატონო გივი, ნამდვილად ზუსტი ინფორმაციაა. ეს საინტერესო ადამიანი იყო ის ადამიანი, რომელსაც შეხვდა საქართველოს პრეზიდენტი 2004 წლის თებერვალში, პირველად სანამ წავიდოდა შეხვედრაზე პრეზიდენტ პუტინთან, აი, იმ წარმატებულ შეხვედრაზე, რაზეც მე გესაუბრებით, და თუ თქვენ წარმატების ხარისხი გაინტერესებთ, არსებობს ამ საუბრების ჩანაწერები, ვთქვათ, ამ შეხვედრის ჩანაწერები და შეგიძლიათ მოითხოვოთ, ასე ვთქვათ, გასაცნობად. და, ეს ადამიანი იყო ევგენი პრიმაკოვი, რომელიც ითვლებოდა საქართველოს არსებული ხელისუფლების, მანამდე არსებული ხელისუფლების პერსონალურ, ასე ვთქვათ, მტრად და ამ ადამიანმა შეასრულა ძალიან პოზიტიური როლი, იმის გამო, რომ, ასე

ვთქვათ, პუტინსა და მას ჰქონდათ კარგი ურთიერთობა იმ პერიოდში და ეს იყო გავლენიანი ადამიანი, მან კარგი როლი ითამაშა იმაში, რომ მიხეილ სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრა ჩატარებულიყო ძალიან კარგად, და მისი რეკომენდაციით, მისი რჩევებით, მისი აზრის გათვალისწინებით დაიწყო კარგი ურთიერთობა.

რაც შეეხება სხვა ტიპის ადამიანებს, ეხლა ბატონ გივის ვინც მოეწონება, ასეთი ადამიანი ძალიან ბევრი იყო, მაგრამ, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ეს საერთო ფონის მაჩვენებელი იყო. არა იმისა, რომ, ვთქვათ, ყველაფერი კარგად არის. პირიქით, ეს იყო უმძიმესი სიტუაცია, როცა ჩვენ მთლიანად აი, ამ ხალხს, ვინც ჩამოგითვალეთ, როგორც დეპარტამენტს, ისე მიმართულების ხელმძღვანელს და ისე მთლიანად დიპლომატიურ ჯგუფს, რომელიც მუშაობდა მოსკოვში, გვიხდებოდა ძალიან მაღალი ინტესივობის სამუშაოს განხორციელება.

გ. გაბაშვილი. ბატონო ეროსი, დამაზუსტებელი შეკითხვით, თუ შეიძლება ისეც რა. ბატონო ეროსი, მე არაფრით არ მინდა დავაკნინო თქვენი მუშაობა იმ თვე-ნახევრის განმავლობაში, როცა თქვენ იყავით საქართველოს ელჩი რუსეთში და, ბუნებრივია, თქვენ „ენ-ჯე-ო“-ს შეხვედრებსაც მართავდით და მედიასთანაც მუშაობდით, რომ საქართველოში ჩამოსულიყო და გარკვეულ კონტაქტებს აგებდით, დაწყებული პრიმაკოვით, დამთავრებული ნარიშკინით. ჩემი შეკითხვა სხვა რამეში მდგომარეობს. ზუსტად ამ პერიოდში მარტის თვიდან მოყოლებული და დასრულებული აგვისტოს პირველი რიცხვებით, ხდება ღია სამხედრო აგრესიისკენ რუსეთის მხრიდან სიტუაციის თანდათანობითი წარმართვა, რაც შეეხება „მილიტარი ბილდ აპ“-ს ანუ სამხედრო ძალების გაძლიერებას, უკვე პირდაპირ ნაბიჯებს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის, ვთქვათ, საჰაერო სივრცის დარღვევის გზით და პირდაპირი განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთთან და ოსეთთან რუსეთი ამყარებს ცალკე ურთიერთობას თბილისის გვერდის ავლით. აი ამ რიტორიკის, ამ პოლიტიკის და ამ მიმართულების საწინააღმდეგო მიმართულების გადაწყვეტილების მიმღებთა სახელები და გვარები თუ იცით რუსეთში, მნიშვნელოვანი „ლიდერშიპის“, თქვენ როგორც ბრძანებთ, იმ ადამიანების, რომლებსაც ჰქონდათ განსხვავებული სტრატეგია, მე მაინტერესებს იყო ეს, ვთქვათ, პრემიერ – მინისტრი, პრეზიდენტი, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი, თავდაცვის მინისტრი, რომელიმე გავლენიანი დუმის დეპუტატი, ვინ იყო ის ადამიანი, ვისთანაც ურთიერთობაში თქვენ დაგრჩათ შთაბეჭდილება, არა ის, რომ მიხალკოვი სასიამოვნო ადამიანია, ეჭვი არ მეპარება, პოლიტიკურ მოღვაწეებში, ვისთანაც თქვენ გქონდათ შეხვედრა, ვისთან, მათ შორის, საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი დონის „სტაფიდან“ ვისგან გქონდათ განსხვავებული სიგნალი? ეს არის ჩემი შეკითხვა.

ხ. გაგორიშვილი. უკაცრავად, ჩაიწერეთ, მეც მაქვს შეკითხვები, თუ შეიძლება, და ერთად გაცივით პასუხი. პირველი. ე.ი. მინდა ისევე გავიმეორო, რომ ჩვენ ცოტა ისეთ იმაში გადავედით ახლა, კონკრეტულად, ალბათ, განვმეორდები და ვიტყვი იგივეს, რაც გოკამ თქვა, ჩვენ იმას, რასაც თქვენ საუბრობთ, მიხალკოვებთან და პრიმაკოვებთან შეხვედრას, ალბათ...

ე. კიწმარიშვილი. მე არ მითქვამს მიხალკოვებთან და პრიმაკოვებთან შეხვედრა, მე ვთქვი, რომ ის ადამიანები, ვისი მხრიდანაც ხდებოდა,

ხ. გაგორიშვილი. უკაცრავად, მაშინ მიხალკოვებზე და პრიმაკოვებზე ფიქრი.

ე. კიწმარიშვილი. მათ შორის, შეიძლება იყო ესეთი ადამიანები, რომელთა პოზიცია ყოველთვის არ ემთხვეოდა-თქო...

ხ. გაგორიშვილი. მე მეგონა, შეხვედრები მაინც იყო ანუ ეს იყო ფიქრი მიხალკოვზე და პრიმაკოვზე. გასაგებია. ეს ხდება იმ დროს ...

ე. კიწმარიშვილი. ქალბატონო ხათუნა, რას არკვევთ ახლა? თქვენ დასკვნებს რას აკეთებთ?

ხ. გაგორიშვილი. უკაცრავად, ახლა გაიგებთ. შეკითხვა მაქვს, რა, და მომისმინეთ. ე.ი. ეს არის ის პერიოდი, როდესაც, მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ეს არის 31 მაისი, სარკინიგზო ჯარების შეყვანა, ეს არის მთელი რიგი პროვოკაციები, ცხინვალის რეგიონში, კოდორის ხეობაში, მე მაინც ვერ მივხდები, ე.ი... ეს

ე. კიწმარიშვილი. 31 მაისს, თუ გაინტერესებთ, 31 მაისს, მე ვარ, გაგცემთ პასუხს...

ხ. გაგორიშვილი. უკაცრავად, დავასრულებ, დავასრულებ შეკითხვას.

ე. კიწმარიშვილი. 31 მაისს და რატომღაც ძალიან გაინტერესებთ. 31 მაისს, მე ვარ თბილისში რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ზუბაკოვთან ერთად ჩამოსული და ხდება შეხვედრები საგარეო საქმეთა სამინისტროში და ხდება მომზადება...

ხ. გაგორიშვილი. უკაცრავად...

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ გეუბნებით, 31 მაისთან დაკავშირებით გპასუხობთ, ხდება მომზადება საქართველოს. . .

თავმჯდომარე. კითხვას მოუსმინეთ, ბატონო ეროსი. ერთი წუთით, გოკა, გოკა, ერთი წუთით. ბატონო გოკა,

გ.გაბაშვილი. . . . ინფორმაციის მიხედვით, ბატონი ზუბაკოვის მხრიდან არანაირ მნიშვნელოვან ძვრებს ადგილი არ ჰქონია. მისი ჩამოტანილი მესიჯების მიხედვით.

თავმჯდომარე. ძალიან გთხოვთ, ქალბატონ ხათუნას დავამთავრებინოთ კითხვა.

ხ.გოგორიშვილი. ეხლა, რაც შეეხება, კონკრეტულად, მე,რაც, ბატონო პაატა, მე მინდა გაცნობოთ თქვენ და კომისიის წევრებსაც, რომ მე გამოვითხოვე, კომისიამ გამოითხოვა და მე მაქვს აქ თან ყველა მოხსენებითი ბარათი, რომელიც იყო თქვენი ელჩობის განმავლობაში მომზადებული. ძირითადი ადრესატები არის მინისტრის მოადგილე. მხოლოდ ორი წერილი არის მინისტრის სახელზე და ამ მოხსენებით ბარათებს შორის არის ორი, ალბათ, სხვებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი, რა თვალსაზრისით, ეხლავე მოგახსენებთ.

ეს გახლავთ 3 ივნისი და 1 ივლისი, თქვენი ხელმოწერა ორივე დოკუმენტზე, ბატონო ეროსი. თქვენ საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობთ მთლიანად თვის განმავლობაში თქვენი და თქვენი საელჩოს მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ, ანუ ეს ყველა ინფორმაცია არის ცალ-ცალკე მოხსენებით ბარათებში, მაგრამ შემდეგ არის ერთად შეკრებილი. არის როგორც მაისის აქტივობები, ასევე ივლისის აქტივობები. მე შემიძლია გითხრათ, რომ აი, რასაც ეხლა თქვენ საუბრობდით და რასაც გვიყვებოდით, როგორ აქტიურად იყავით ჩართული და დაკავებული სხვადასხვა შეხვედრებით და სხვადასხვა მიმართულებებზე მუშაობით, არაფერი, მათ შორის, ის, ძალიან მნიშვნელოვანი, თქვენ რატომღაც არ გაცვით ამაზე პასუხი, არ ვიცი რატომ. ის ეკონომიკური, ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მინდა გითხრათ, ის შესაძლო ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ, რომელზეც ემბედით ეკონომიკის მინისტრს და ვერ დაუკავშირდით, არაფერი ამის შესახებ არ არის, არა მარტო ამ ეკონომიკური, კონკრეტულად, საკითხებთან დაკავშირებით, არამედ აი, რასაც თქვენ ეხლა ყვებოდით, არაფერი ამ დოკუმენტებში არ არის ასახული. მე არ ვიცი, შეიძლება თქვენ გაქვთ ესეთი მუშაობის სტილი, რომ ის, რაც მნიშვნელოვანია, მხოლოდ პირად საუბრებში გააცნოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას, ყოველ შემთხვევაში, არც ერთ დოკუმენტში არაფერი იმ აქტივობის შესახებ, რაზეც თქვენ საუბრობდით, ნამდვილად არ არის.

და ერთი რამე, რახან თქვენ, ე. ი. მე რატომ, შემთხვევით არ დამისვამს შეკითხვა, კონკრეტულად, თქვენი აქტივობის შესახებ. ჩემთვის ცოტა უცნაურია, როდესაც იმ მოვლენების ფონზე, რაც ხდებოდა საქართველოში ივნის-ივლისის განმავლობაში, როგორია თქვენი დამოკიდებულება და თქვენი დამოკიდებულება კონკრეტული ფაქტების მიმართ, რომლის შესახებ ინფორმაცია, მე პირადად, მხოლოდ და მხოლოდ პრესის საშუალებით მაქვს, სხვა არანაირი წყარო, ინფორმაცია მიმელო თქვენი საქმიანობის შესახებ, ნამდვილად არ გამაჩნია. ერთის მხრივ, მინდა გითხრათ, რომ თქვენ მოგვიყვებით ეხლა, როგორი....

ე.კიწმარიშვილი. თუ მომცემთ საშუალებას, მოგიყვებით. ჯერ არ მომიყოლია.

ხ.გოგორიშვილი. არა, უკაცრავად, უკაცრავად. თქვენ მოგიყვებით ე.ი. რომ როგორი ინფორმაცია გაქვთ და როგორი განცდა გაქვთ ჩვენი ხელისუფლების „ლიდერშიპის“ მიმართ, რომელიც მაინც ვერ გავიგე, კონკრეტულად, ვინ არიან ეს ადამიანები, რომ ხდება სამხედრო აქტივობა საქართველოს მხრიდან და ამისკენ მზადება. თუმცა, იმავდროულად საჯარო გამოსვლებში თქვენ, იგივე, პრესკონფერენციებზე სავსებით საწინააღმდეგოს ამბობთ და მე შემიძლია მოგიყვანოთ კონკრეტული თქვენი გამოსვლები, როდესაც სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით ძალიან კატეგორიულ და რადიკალურ კომენტარებს აკეთებთ.

აქ მაქვს მე თქვენი ინტერვიუ, ეხლავე მოგახსენებთ. აგერ, აქ იდო და ფურცლებში, იმედია, არ დამეკარგებოდა. აი, დიახ, 20 მაისს თქვენ მოსკოვში პრესკონფერენციაზე სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც თქვენ ეხლა მოგახსენეთ, როგორი განცდა გქონდათ, რომ ვეშაბოდით ომისთვის, თქვენ ამბობთ, რომ არ იცით, როგორ დაარწმუნოთ საზოგადოება, რუსული საზოგადოება იმაში, რომ საქართველო არანაირად არ აპირებს საომარი მოქმედებების დაწყებას და ეს არის თქვენი ფრაზა და სათაურშიც არის გამოტანილი, „МАМОЙ КЛЯНУСЬ, ЧТО НЕ СОБИРАЕМСЯ“, ეს არის თქვენი ინტერვიუ. ეს ერთი, რაც მინდოდა მეკითხა.

მეორე, ასევე ამ კონტექსტში, რატომ ვამბობდი მე კონკრეტულად 10 ივლისის, 9 ივლისის ფაქტს, როდესაც ოთხი საჰაერო, 4 თვითმფრინავი შემოფრინდა და ეს იყო პირველი, ხაზს ვუსვამ, პირველი ფაქტი, როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა, რომ, დიახ, ეს იყო რუსული თვითმფრინავები, დიახ, ჩვენ შევიჭერით და დავარღვიეთ საქართველოს საჰაერო სივრცე. ამის შემდეგ თქვენი კომენტარი, ასევე პრესის საშუალებით, თუ ამის აუცილებლობა იქნება, ალბათ, შესაძლებელია არქივიდან ამოღება, სატელევიზიო კომენტარი არის თქვენი, რომელზეც ამბობთ, რომ, სამწუხაროდ, ქართულმა მხარემ ვერ შეძლო, აი, კონკრეტულ ამ ფაქტთან დაკავშირებით, თვითმფრინავებთან დაკავშირებით, თვითმფრინავის ფაქტთან დაკავშირებით თქვენი კომენტარი, რუსეთში საქართველოს ელჩის კომენტარი ამ ფაქტთან დაკავშირებით არის, რომ,

სამწუხაროდ, ქართულმა მხარემ ვერ შეძლო დაერწმუნებინა გულწრფელობაში რუსული მხარე. არანაირი დაგმობა, არანაირი რადიკალური დამოკიდებულება თქვენი, მე, ყოველ შემთხვევაში, არ მომისმენია პრესით.

და კიდევ ერთი, უკვე შემდეგ, იგივე ფაქტთან დაკავშირებით „კვირის პალიტრაში“ მიცემულ ინტერვიუში, თქვენ ბრძანებთ, რომ 10 ივლისს, მას შემდეგ, რაც საჭაერო სივრცის დარღვევა მოხდა, მოგესხენებათ ყველას და თქვენთვისაც ცნობილია, რომ თქვენ გამოახებული იყავით თბილისში კონსულტაციების მიზნით საგარეო საქმეთა სამინისტროში და ამ ფაქტს, ანუ საჭაერო სივრცის დარღვევის შემდეგ ელჩის გამოახებას კონსულტაციებისათვის, ელჩი უწოდებს აგრესიულ დემარშს რუსეთის მიმართ. ეს არის თქვენი სიტყვები, ეს არის თქვენი ფაქტები. მე მინდა, რომ ყველაფერ ამასთან დაკავშირებით გამცეთ პასუხი, რა იყო ეს? ბოლოს და ბოლოს თუ თქვენ იცოდით, რომ ომისთვის ვემზადებოდით, რატომ იფიცებოდით, რომ არაფერი მსგავსი არ ხდება და როგორ შეიძლება, მე ამ შემთხვევაში მიჭირს კიდევაც ამისი თქმა, ქართველ ადამიანს და, მით უმეტეს, ელჩს, ჰქონდეს 10 ივლისს ასეთი რეაქცია, რომ ეს არის, რომ რუსები, საწყალი რუსები ვერ დავარწმუნეთ, რომ ჩვენ ვართ კარგი და გულწრფელები და მერე მოვუწყვეთ საშინელი აგრესიული დემარში.

ე.კიწმარიშვილი. მოდით, დავაზუსტოთ, თქვენ კი სამივე, ასე ვთქვათ, თემასთან დაკავშირებით.

გ.თარგამაძე. უფრო ადვილია, ერთ იმაში გასცემთ პასუხს, რა, მეც იგივე კონტექსტში. რახან ინტერვიუებზეც გადავედით, მე ასევე მინდა გავიხსენო თქვენი ინტერვიუ გაზეთ „ლე მონდთან“, სადაც თქვენ ამბობთ, რომ, თურმე, ქართულ მხარეს ჰქონდა ეს, თქვენ, აი, წყნად რაც თქვით, უფრო გაღრმავებული ვერსია არის ამისი, რომ, თურმე, ქართულ მხარეს ჰქონდა გადაწყვეტილი ბოლო მომენტში ესე, რომ დაერთყა სამხრეთ ოსეთისთვის და „ატ შუმოკ“, როგორც არის ნათქვამი, ანუ აი, ამ ხმაურის ფონზე განეხორციელებინა ორმხრივი შეტევა აფხაზეთზე და აელო აფხაზეთი. ნუ, ახლა, არ ვიცი, შეიძლება თქვენ გადაწყვიტეთ, რომ დასავლური საზოგადოების, ვთქვათ, ესე გაბაიბურებაც შეიძლება, მაგრამ საქართველოს საზოგადოების წინაშე ამას როგორ ახსნით, მან მინტერესებს. იმიტომ, რომ საქართველოში, მე მგონი, პატარა ბავშვიდან დაწყებული, ყველამ იცის, რომ, ვთქვათ, თუ ფონზე შეიძლება ლაპარაკი, აფხაზეთის ფონზე შეიძლება რაღაც სამხრეთ ოსეთზე რაღაცა ყოფილიყო, მაგრამ სამხრეთ ოსეთში ოპერაციის ფონზე აფხაზეთის აღება, ეს უკვე რაღაც, მართლაც ფანტასმაგორიაში გადავდივართ, მე მგონი. ეს ერთი.

და მეორე. იგივე კონტექსტში თქვენ მან ხშირად ახსენებდით, რომ ჩვენ რაღაც უნდა დაგვეცადა, ასე ვთქვათ, გაძლიერებისთვის დღევანდელი რუსეთის პრეზიდენტის, რომელიც არის ლიბერალური. ეს, რამეში შეამჩნიეთ თუ არა მას როდესმე ეს ლიბერალობა და რა იმედებს ამყარებდით აი მის ლიბერალიზმზე, როცა, უბრალოდ, მინდა საზოგადოებას გავახსენო, რომ, ნუ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ რაც გვინახავს, ყველაზე დემოკრატიული რეჟიმის დროს რუსეთში, როცა მართლა სიტყვის თავისუფლება იყო და ა.შ. ბევრი დემოკრატიული ნიშანი, მაშინ მოხდა საქართველოში ყველაზე დიდი და დაუნდობელი ეთნოწმენდა, უდანაშაულო ადამიანების ამოყვლა და ტერიტორიების მიტაცება. და ეს ყველაფერი ხდება, მინდა გავიხსენოთ კიდევ, ძალიან მოკლე დროის მონაკვეთში, როცა ჩვენ ყველანი ცაიტნოტში ვართ და როცა ეს არა პროვოკაციები, არამედ პირდაპირი და ღია მზადება საქართველოზე თავდასხმისთვის ხორციელდება ყოველდღიურად, პრაქტიკულად. და ამ პერიოდში ლაპარაკი იმაზე, რომ მიხალკოვს შეეცვალა აზრი და პრიმაკოვს, მე ვფიქრობ, ეს, უბრალოდ, შეუფერებელია ამ პერიოდში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელისთვის რუსეთში. აი ეს.

გ.გაბაშვილი. დავუმატებ, ამ თემას ძალიან, ასე ვთქვათ, ებმის და მე ციტატა მინდა მოვიყვანო, თქვენი სიტყვები ჯონათან ლიტელთან „ლე მონდში“, რომელიც ბატონმა გივიმ ახსენა, ნუ, თქვენი რწმენა, რა ხდებოდა ამ პერიოდში, რომ „საქართველოს თანამდებობის ოფიციალურ პირებს იმედი ჰქონდათ პატარა ხმაურის საფარქვეშ დაიპყრობდნენ აფხაზეთსაც. ისინი გეგმავდნენ 24, 36 საათში გაუმკლავდებოდნენ ოსებს და შემდეგ ორმხრივ შეტევას განახორციელებდნენ აფხაზეთზე, სენაკის ბაზისა და კოდორის ხეობის მხრიდან“. ამას ამბობს საქართველოს ელჩი რუსეთში, იმ პერიოდის, თუ თქვენ ასეთი აბსურდული გეგმის შესახებ გქონდათ, ბატონო ეროსი, ინფორმაცია, ...

გ.თარგამაძე. მართლა ასეთი რამე რომ გამეგო რუსეთის ელჩისგან საქართველოში, არ გამიკვირდებოდა ნამდვილად, მაგრამ, აი ზუსტად...

თავმჯდომარე. კომენტარებისაგან, ბატონო გივი, ძალიან გთხოვთ. რომ კომენტარებისგან შევიკავოთ თავი.

გ.გაბაშვილი. შევითხვა კონკრეტულია, თუ თქვენ ასეთი აბსურდული გეგმის შესახებ გქონდათ ინფორმაცია, რატომ გააკეთეთ ამის შესახებ პირველი განცხადება 12 სექტემბერს, 12 სექტემბრის მერე მას შემდეგ, რაც თქვენ მოგხსნეს თანამდებობიდან არაკომპეტენტურობის მოტივაციით.

ე.კიწმარიშვილი. კარგით. დიდი მადლობა. საკმაოდ ასეთი ნამუშევარია. კარგად გიფიქრიათ, ქალბატონო ხათუნა, მან დიდი მადლობა იმისთვის, რომ მომეცით საშუალება აი ამ თემებზე, რომელიც, სხვათა შორის, განხილული იყო ქალბატონ ტყემელაშვილის მოსმენის დროსაც, იყო საუბარი. პირველი. რაც შეეხება

„რია–ნოვოსტი“-ში ჩემს პრესკონფერენციას. მე ვთქვი სიტყვა-სიტყვით, რომ „Мамой клинусь, что грузины, мы не хотим войны,“ в данном случае იქ საუბარი, უფრო სწორად, იყო იმაზე, ასეა სიტყვასიტყვით „Мамой клинусь, что мы не хотим войны“. მე ვთვლიდი, და ამაზე მე მქონდა საუბარი კიდევ სხვა..... (ხმა ადგილიდან) „не собираемся, კი, ბატონო. მე მქონდა საუბარი იმაზე, რომ მე ვსაუბრობდი ქართველი ხალხის სახელით. თუ, ასე ვთქვათ, მე არ მალაატობს მეხსიერება, სიგელში რწმუნებათა, წერია, რომ ეს ადამიანი წარმოადგენს საქართველოს და საუბრობს საქართველოს სახელით. მე დღესაც ვთვლი და მაშინაც ვთვლიდი, რომ საქართველოს არანაირი სურვილი არ ჰქონდა ომისა. ეხლა რაც შეეხება მეორეს....

ბ.გოგორიშვილი. უკაცრავად, უკაცრავად.

ე.კიწმარიშვილი. მე ჩემი პოზიცია იყო, რა „უკაცრავად“, ქალბატონო ხათუნა...

ბ.გოგორიშვილი. უკაცრავად, იგივე ინტერვიუდან. არა, ნამდვილად, ეხლა თქვენ ინტერვიუში სხვა რამე თქვით, ეხლა სხვა რამეს ამბობთ, ბატონო ეროსი, ...

ე.კიწმარიშვილი. მე იქ ახსნა-განმარტება არ დამიწყია, ეს ინტერვიუ არ იყო, ეს იყო პრესკონფერენცია.

ბ.გოგორიშვილი. გაგრძელება არის, თუ... უკაცრავად, თქვენ ასეთ რამეს ამბობთ, ეხლა, აქ არანაირი ქართველი ხალხის ნებაზე არ არის ლაპარაკი, აქ არის საქართველოს ხელისუფლების ...

ე.კიწმარიშვილი. მე აქ საირონიზირებოს ვერაფერს ვერ ვხედავ.

ბ.გოგორიშვილი. უკაცრავად...უკაცრავად!

ე.კიწმარიშვილი. ქართველ ხალხში საირონიზირებოს ვერაფერს ვერ ვხედავ.ნუ ყვირით.

ბ.გოგორიშვილი. უკაცრავად, თქვენ აკეთებთ ეხლა უტრირებას იმისა, რაც ბრძანეთ...

ე.კიწმარიშვილი. თქვენ აკეთებთ უტრირებას, ქალბატონო ხათუნა, ნუ ყვირით.

ბ.გოგორიშვილი. იმიტომ, რომ შემდეგი გაგრძელება, თქვენი ფიცის შემდეგ გაგრძელება არის, რომ თუ რუსეთი გააგრძელებს ასეთ ქმედებებს, მე ეხლა მთლიანად არ წავიკითხავ და შემდეგ არის ასე, ასე მთავრდება თქვენი: при другом раскладе Грузия воспринимает действия России, как ползучую анексию. თქვენ კონკრეტულად ლაპარაკობდით რუსეთის ხელისუფლებისა და საქართველოს ხელისუფლების პოზიციაზე...

ე.კიწმარიშვილი. და რა აღმოაჩინეთ მანდ...

ბ.გოგორიშვილი. არაფერი არ აღმოვაჩინე...

ე.კიწმარიშვილი. რაც ეწინააღმდეგება ერთი მეორეს, ქალბატონო ხათუნა, ვერ მივხვდი.

ბ.გოგორიშვილი. ერთი, რომ ეს ეწინააღმდეგება ის, რასაც ბრძანებთ ახლა თქვენ აქ, რომ არ ლაპარაკობდით საქართველოს ხელისუფლების სახელით და ის, რაც არის სინამდვილეში ინტერვიუში. თუ არ გახსოვთ, შემოდია გადმოგცეთ და წაიკითხოთ...

ე.კიწმარიშვილი. არა, არა, კიდევ ერთხელ.

ბ.გოგორიშვილი. თქვენ აქ, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, აძლევთ ინტერვიუს.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ, მე ვაძლევ, როგორც ელჩი, ინტერვიუს და ელჩს უწერია ის, რაც უწერია და კიდევ ერთხელ წავიკითხავთ, თუ გნებავთ, ის სიგელი შეგიძლიათ ნახოთ.

ახლა რაც შეეხება მეორე შეკითხვას დაკავშირებულს 9 ივლისთან, 10 ივლისთან, 11 ივლისის ჩემს გამოწვევასთან. 9 ივლისთან დაკავშირებით. უბრალოდ, ჩვენ ახლა ვცდილობთ, რომ, ისევ მოვლენებს ვუსწრებთ, მაგრამ 9 ივლისის შემდეგ, იქედან გამომდინარე, რომ 10-ში მოხდა ამ ინფორმაციის გავრცელება, რაზეც თქვენ საუბრობთ იმის თაობაზე, 10-ში გაავრცელა ეს ინფორმაცია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საღამოს. ამ განცხადებას მოჰყვა უკვე ბუნებრივად მსჯელობა იმაზე, გამოეწვიათ თუ არ გამოეწვიათ. პირველი, რაც შეეხება აგრესიულობას, მე ვთქვი ამ ინტერვიუში, თუ ინტერვიუს თემა გაინტერესებთ, მე ვთქვი, რომ შესაძლებელი იყო და არსებობდა არსენალში, დიპლომატიურ არსენალში სხვა ნაკლებად აგრესიული დემარშის ფორმა, მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროში მისვლა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მისვლა და ახსნა-განმარტების მოთხოვნა. იქვე, ამ ინტერვიუში მე ვამბობ, რომ ამ თემაზე ამ ინფორმაციის გავრცელებიდან რამდენიმე წუთში მე

დამირეკეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ რუსეთის ფედერაციაში, კონკრეტულად, ადამიანმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო, იმ მომენტში ასრულებდა ელჩის მოვალეობას და დააზუსტა, იქნა მათი მხრიდან მცდელობა დაზუსტების, ისინი ცდილობდნენ დაეზუსტებინათ, რატომ არ ვახორციელებდით ამ ნაბიჯს და რატომ ვიღებდით უფრო აგრესიულ დემარშს იმ პირობებში, როცა ჩვენ გვქონდა მართლაც საინტერესო შესაძლებლობა აქტიური დიალოგის გაღრმავებისა.

ახლა, იმისათვის, რომ ქალბატონო ხათუნა, ეს კონტექსტიდან ამოგლეჯილი არ იყოს, დიალოგის გაღრმავებაზე, - და ირონიზირება ბატონი გივის მხრიდან, ასე ვთქვათ, სიგარეტის მოწვევის შესვენებებს შორის იმ თემაზე, პრიმაკოვს ველაპარაკებოდი მე თუ ნარიშკინს, არ იყოს, მე შემძლია გითხრათ შემდეგი, რომ იმ პირობებში, როცა ჩვენ ვსაუბრობთ ურთიერთობის ნორმალიზაციაზე და ვიცით უკვე, რომ ჩვენ გვაქვს პერსპექტივა ნარიშკინის ჩამოსვლის და შემდგომ ამ განვითარების, ბუნებრივია, რომ საუბარი, ასე ვთქვათ, ჩვენი მხრიდან და დასავლეთის მხრიდან, იყო, შეეხებოდა, - ახლა მე აზრი დამეკარგა, ბოდიშს ვიხდი, შეეხებოდა მედვედევის თემას, ბატონ გოკას მინდა ვუპასუხო, ასე ვთქვათ, ამ ნაწილშიც, რომ 2008 წლის ივლისში ხანტი-მანსისკის შეხვედრის შემდეგ და ეს მოხსენებითი ბარათი დევს თქვენთანაც, გექნებათ ამის საშუალება, რაც მნიშვნელოვანია ასევე. ხანტი-მანსისკის შეხვედრის შემდეგ, და ასევე ამას ადასტურებს ქალბატონი მაია ფანჯიკიძის გამოგზავნილი 15-ში, მე შემთხვევითა მაქვს ეს, ასე ვთქვათ, ეხებოდა ამ დისკუსიას 15 ივლისს, ივნისს გამოგზავნილი, მისი შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრთან ჰოლანდიის და ა. შ. და ჩემი პირადი შეხვედრები ადასტურებდა იმას, რომ იმ მომენტისათვის დასავლეთ ევროპის, ევროკავშირის ქვეყნებმა ხანტი-მანსისკის შეხვედრა შეაფასეს, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა და შეაფასეს, როგორც დამოუკიდებელი, სრულიად ჩამოყალიბებული და საკმაოდ ენერგიული და საკმაოდ პერსპექტიული ლიბერალური მიმართულებებით და მოლოდინის მატარებელი პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი.

მე ვსაუბრობ, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ჩვენ თუ ვილაპარაკებთ კონტექსტიდან ამოგლეჯილად, ყველა თემა შეიძლება მოგვეჩვენოს ან აგრესიულად ან აბსურდულად და თითოეული თემა შეიძლება დაიკარგოს. მე გეუბნებით, რომ ჩვენ ვსაუბრობთ პერიოდზე, როცა, ეს არის მაისი-ივნისი 2008 წლის, როცა ბარელი ნავთობის ფასი თითქმის 150 დოლარზეა ასული, რუსეთმა გაიმარჯვა ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატში, მოიპოვა ევროთასებზე კალათურთში ევროლიგაში ჩემპიონობა, მოიპოვა რაღაც ევროვიზიაზე დიდი გამარჯვება - დიმა ბილანმა აიღო რაღაცა, „ხენიტი“ გახდა უფასო ჩემპიონი. ამავე დროს დაკავშირებულია ეს ყველაფერი ევროპის ჩემპიონატთან, იმ სიტუაციაში...

ხ.გოგორიშვილი. უკაცრავად...

ე.კიწმარიშვილი. ბოდიშს ვიხდი, დამამთავრებინეთ.

ხ.გოგორიშვილი. იმიტომ, რომ რუსეთში არის

ე.კიწმარიშვილი. როცა რუსეთში არის მაღალი მოლოდინი იმისა, ეს არის ძალიან აგრესიულ რეჟიმში წასული ქვეყანა, რომელშიც არის ძალიან სერიოზული... ეს არის ქვეყანა, რომელსაც აქვს აი, ამდენი წარმატება, ითვლება, რომ ეს ქვეყანა ძალიან დინამიურად ვითარდება და არა დღევანდელი გადასახედიდან, როცა ჩვენ საქმე გვაქვს რეცესიასთან და ღრმა ეკონომიკურ კრიზისთან. იმ მომენტისათვის ძალიან რთულია ლაპარაკი რუსეთთან იმ მოცემულობაში, რასაც ჰქვია აი, წარმატების თავბრუსდახვევა. აი, ამ პირობებში ჩვენი მოქმედება იყო აწყობილი იმაზე, რომ კონკრეტულ ადამიანზე ან ადამიანის ჯგუფებთან ურთიერთობაზე, მიგველო მაქსიმალურად ეფექტური ჩვენთვის დისპოზიცია. რა არის ამაში გაუგებარი, მე არ მესმის.

გ.თარგამაძე. და რამე მივიღეთ? მე მაგას გეკითხებით და რომელიმე მომენტში რამე მივიღეთ? თქვენ საუბრობდით, ვთქვათ, ნარიშკინთან თუ ვილაცასთან და ამ დროს შემოჰყავდათ დამატებითი ძალები აფხაზეთში. ამ დროს მიდიოდნენ პირდაპირ დიპლომატიურ ცნობაზე ამ რეგიონების და ა.შ. აი, ანუ თქვენი ის აქტივობები სხვა სიტუაციაში, თუ არ იქნებოდა ესეთი პირდაპირი ღია აგრესია, შეიძლება რაღაცის მომცემი დროში ყოფილიყო. ამ კონკრეტულ სიტუაციაში რა სარგებლობის მომტანი იყო თქვენი აი, ესეთი მოქმედებები, ეს არ მესმის, უბრალოდ.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ გეუბნებით...

ხ.გოგორიშვილი. უკაცრავად, კიდევ ერთი დაზუსტებითი შეკითხვა. ე.ი., მე თუ სწორად გავიგე, რადგან დიმა ბილანმა ევროვიზია მოიგო და რუსმა ჰოკეისტებმა კიდევ რაღაცა მოიგეს, ამატომ თვითმფრინავები რომ შემოფრინდება, ელჩი უნდა გამოვიდეს და ამბობდეს, რომ ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი რამე მოხდაო...

ე.კიწმარიშვილი. ქალბატონო ხათუნა, ძალიან გთხოვთ, ირონიზირებიდან გადახვიდეთ სერიოზულ ...

ხ.გოგორიშვილი. არა, იმიტომ, რომ თქვენ არ გამეცით...

ე.კიწმარიშვილი. მე გაგეცით პასუხი იმ თემაზე და დამამთავრებინეთ აზრი...

ბ.გოგორიშვილი. უკაცრავად, უკაცრავად

ე.კიწმარიშვილი. გამაწყვეტინა ბატონმა გვიომ, გამაგრძელებინეთ, რას ნიშნავს, „უკაცრავად,“ ქალბატონო ხათუნა, ... (ხმაური დარბაზში)

თავმჯდომარე. ძალიან გთხოვთ, ერთი წუთით, ერთი წუთით, ...

გ.გაბაშვილი. ...დღეს დაგისვით, ვერ დაგისვამდით, იმიტომ, რომ არათუ არც ერთ ქართველ ელჩს და ქართველ პოლიტიკოსს, არც ერთ ქართველს ასე ზედმიწევნით არ გაუმეორებია რუსეთის გენშტაბის ვერსია აგვისტოს ომისა. თქვენ ბრძანეთ, რომ ომი დაიწყო იმ საბაბით რომ „под этот шумок“ ქართველებს 24–36 საათში აეღოთ ოსეთი და „под этот шумок“ განეხორციელებინათ ორმხრივი შეტევა აფხაზეთზე, გალისა და კოდორის მიმართულებით. ეს თქვენ ბრძანეთ დასავლურ პრესაში ჟურნალ „ლე მონდთან“ თქვენი საუბრის დროს. ესეთი ზედმიწევნითი გამოვლინება რუსული ვერსიის, მე სხვა არ მსმენია. მე მაინტერესებს, კონკრეტულად თქვენ ეს ვერსია გაიგეთ მას შემდეგ, რაც ელჩი ადარა ხართ თუ მაშინაც იცოდით ეს ვერსია ქართული მოქმედებებისა, როცა იყავით საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში. ამაზე კონკრეტულად და ამაზე სერიოზულად ველარ გკითხავთ უკვე.

თავმჯდომარე. ერთი წუთით, ერთი წუთით, ...

ბ. გოგორიშვილი. შეკითხვა, რომელზეც არ გაგვცა პასუხი...

ე.კიწმარიშვილი. და მიტომ მე, ქალბატონ ხათუნას ცნობისმოყვარეობას რომ დავაკმაყოფილებ, გადავალ ბატონ გოკას ... (ხმაური დარბაზში)

თავმჯდომარე. ერთი წუთით რა,

გ.გაბაშვილი. ჩვენი ცნობისმოყვარეობა, ეს არის საზოგადოების ცნობისმოყვარეობა და ირონიზირებას ცნობისმოყვარეობასთან დაკავშირებით, ეს კომისია იმისთვის არის შექმნილი, არა იმისთვის, რომ გაარკვიოს თქვენი წარმატებული ან წარუმატებელი დიპლომატიური კარიერის ბედი, არამედ გაარკვიოს, როგორი იყო საქართველოს მოქმედებები, რამდენად ადეკვატური იყო და როგორ მოქმედებდა ეს ქვეყანა და იყო თუ არა ეს ჩვენი თავდაცვითი ომი, თუ იყო ეს ჩვენი გეგმა 24 საათში მიგვეჭმუჭნა, როგორც თქვენ ბრძანებთ, ოსეთი და შეიძლება გადავსულიყავით აფხაზეთზე ორმხრივად.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ...

გ.გაბაშვილი. თქვენ ამას გეკითხებით კონკრეტულად და მინდა კონკრეტული პასუხი.

ე.კიწმარიშვილი. ბატონო თავმჯდომარე, თუ შეიძლება, განახორციელეთ თქვენი უფლებამოსილება და გადაწყვეტეთ, რას ვუპასუხო მე, ბოლოდან ვუპასუხო ბატონ გოკას თუ ქალბატონ ხათუნას კითხვაზე პასუხი გავცე.

თავმჯდომარე. ბატონო ეროსი, დასმულია შეკითხვები და თქვენ შეგიძლიათ დაიწყოთ ქალბატონი ხათუნასაგან...

ე.კიწმარიშვილი. რაც შეეხება ქალბატონი ხათუნას ინტერესს 9 ივლისთან დაკავშირებით, 9–10–11 ივლისთან დაკავშირებით.

9–10–11 ივლისს, როცა მე საქართველოში ჩამოვედი, პირველ რიგში, განცხადება გაკეთდა რუსეთისათვის. პირველი განცხადება, რომელიც შეეხებოდა ჩვენი საქმიანობის, ასე ვთქვათ, გადაწყვეტილებას, თუ რატომ იყო გაწყვეტილი, მე უბრალოდ აზრი გამიწყდა, რომ იყო ევროკავშირის ელჩის ვიზიტი საელჩოში, რომელმაც ასევე, დიდი გაცემა გამოხატა იმის გამო, რომ აი, ასეთი ტიპის რეაქცია განახორციელა ქართულმა მხარემ ზუსტად იმ თემაზე, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით. ანუ საუბარი იყო იმაზე, პასუხად ისევ ჟურნალისტთან დაკავშირებულ კომენტარზე, რომ ეს იყო დემარშის აგრესიულობის ხარისხი და არა ზოგადად აგრესიული ქმედება. დემარშის აგრესიულობა ორივე, ასე ვთქვათ, ჩვენთვის მნიშვნელოვანმა და ჩვენმა პარტნიორმა ქვეყნების თუ მიმართულებების დიპლომატებმა შეაფასეს, როგორც ოდნავ ზემოთ აწეული თამასა, ვიდრე შეიძლება ყოფილიყო იმ პირობებში...

გ.თარგამაძე. და ეს თქვენ, როგორც ელჩს, გაძლევდათ უფლებას იმისა, რომ გაგვეკეთებინათ ასეთი განცხადება?

ე.კიწმარიშვილი. გავაგრძელებ, ბატონო გივი. (ხმა მიკროფონის გარეშე)

თავმჯდომარე. ბატონო გივი, ბატონო გივი, ძალიან გთხოვთ, რა, კომენტარებისაგან თავი შევიკავოთ, მივცეთ....

გ.თარგამაძე. ეს არ არის კომენტარი, ეს არის დამაზუსტებელი შეკითხვა. ის ბრძანებს, რომ აღიქვა, ვთქვათ, ეუთოს ელჩის რუსეთში პოზიცია იმად, რომ მიეცა უფლება, ასეთი განცხადება გაეკეთებინა საქართველოს ელჩს. ეს გაუგებარია, უბრალოდ.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ ვამბობ, მე არ მითქვამს ის, რაც თქვენ თქვით, ბატონო გივი. მე ვთქვი, რომ მე ინფორმაციულად გაზეთ, რომელიც ქალბატონმა ხათუნამ ახსენა, იმ გაზეთში მიცემულ ინტერვიოში ვთქვი ის, რაც ვთქვი და ახსენი ის. თუ გაინტერესებთ 9,10,11 ივლისის თემა, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ და კიდევ ერთხელ, ასე ვთქვათ, დარწმუნებით გეუბნებით ამის შესახებ, რომ იმ პირობებში, როცა ჩვენ გვქონდა სერიოზული, ასე ვთქვათ, დიპლომატიური და სამართლებრივი თუ ურთიერთობრივი გარღვევის პეერსპექტივა და როცა მე შევატყობინე ამის შესახებ პრეზიდენტ სააკაშვილს, მან დამირეკა, უფრო სწორად, შევატყობინე ჯერ გრიგოლ ვაშაძეს, შემდეგ დავურეკე ზურაბ ადეიშვილს და როცა ამ თემაზე წავიდა უკვე სერიოზული საუბარი და როცა ეს თემა უკვე გახდა, ასე ვთქვათ, განხილვის საგანი, ზურა ადეიშვილის მხრიდან, მე დავამთავრებ აზრს, რომ ზურა ადეიშვილის მხრიდან იყო, ასე ვთქვათ, როგორ დავარქვა ამას, რბილი თუ არარბილი, ასე ვთქვათ, ზოგადად დაუინტერესებლობა, მისი რეაქცია იყო, რომ – იცი, რა, მე ახლა შევებულე ვაპირებ წასვლას და ძან კარგი იქნება, თუ ჩამოვა ეგ ან 20-ში, ან 19-ში ან 21-ში იმიტომ, რომ 23-ში მე შევებულე უნდა წავიდე და ჯობია, რომ მერე ან ასე ქნას, ან ისე ქნას, რაღაცა ახლა, იქნებ, რაღაც პასუხი მომცეთ. ნუ, ეს იყო მისი რეაქცია. ამის შემდეგ მე მირეკავს სააკაშვილი ღია ტელეფონით. ხაზს ვუსვამ, მე ვიყავი შეხვედრაზე ამ დროს და ღია ტელეფონით მეუბნება...ძალიან ხმამაღალია, მე მგონი, ხმა. მეუბნება ღია ტელეფონით, ხაზს ვუსვამ, იმ პირობებში, როგორც ბატონი გივი ბრძანებს, ასე ვთქვათ, ჩვენს მიმართ ასე აგრესიულად განწყობილი და ვეთანხმები, ქვეყნის პირობებში, რომ – მართლა ჩამოდის ეს ის, ვიღაცა, ნარიშკინი? მე ვეუბნები - კი, ჩამოდის ნარიშკინი, აპირებს, უნდა ჩამოსვლა სადღაც 17,18,19-ში რუსული კულტურის დღეებთან დაკავშირებით, – ჰო, კაი, ჩამოვიდეს, მაგრამ, ნუ, უთხარი, რომ ჩვენ აი ახლა კონდოლიჩა რაისს შეხვდით და ყველაფერი, ძან მაგრები ვართ და ძან კარგადა ვართ. აი ეს არის მისი სიტყვა-სიტყვით საუბარი, შეგიძლიათ მისი სატელეფონო საუბარი გამოითხოვოთ, ასევე, განხორციელებული 10-ში ჩემთან საღამოს 4 სთ-ზე..

ბ.გოგორიშვილი. საიდან? თქვენ იწერდით?

ე.კიწმარიშვილი. თქვენ შეგიძლიათ გამოითხოვოთ-თქო, პრეზიდენტის ღია ტელეფონიდან იყო გაკეთებული ზარი. მე არაფერს არ ვიწერდი, ქალბატონო ხათუნა. ამის შემდეგ, გავაგრძელებ, ამის შემდეგ, ამის შემდეგ, როცა მისი მხრიდან იყო ასეთი საუბარი ჩემთან განხორციელებული, აი ზუსტად ამ მომენტიდან, 2 საათის შემდეგ იკიდება რუსულ, მიდის ვებგვერდზე ის განცხადება, რომელიც თქვენ ნახეთ. ამის შემდეგ მე მივიღივარ საელჩოში, ველოდები გადაწყვეტილებას, რომელსაც იღებენ, ხაზს ვუსვამ, ეს გადაწყვეტილება, თვითმფრინავების შემოფრენის რეაქცია, პირველი დღე, 9-ში თვითმფრინავების ფრენა, საღამოს, 45 წუთის თუ 55 წუთის განმავლობაში რამდენიმე რუსული გამანადგურებელი დაფრინავდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, საქართველოს ტერიტორიაზე, თითქმის ერთი საათის განმავლობაში. ამაზე რეაქცია ჩვენი მხრიდან ჩნდება კონდოლიჩა რაისთან შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის პრესკონფერენციის დროს. ამ შეხვედრიდან 2 საათის შემდეგ თუ 3 საათის შემდეგ, მე მირეკავს პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელმაც იცის, რომ უნდა ჩამოვიდეს ნარიშკინი, რომელმაც იცის ნარიშკინის ჩამოსვლის მიზეზი და მეუბნება, იმას, რაც გითხარით. ამის შემდეგ 2 საათში ჩნდება რუსულ ვებგვერდზე აი ამ ტიპის განცხადება, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე ეს განცხადება. ამის შემდეგ მე მივიღივარ საელჩოში და ველოდები იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც მე მეუბნებიან ჩემი თანამშრომლები, რომ საქართველოს უშიშროების საბჭოში მიდის ეხლა დისკუსია, გადაწყვეტილების მიღება ელჩის გამოწვევასთან დაკავშირებით. იმ მომენტიდან მოყოლებული 9 აგვისტოს ჩათვლით და ეხლა გადავალ, ასე ვთქვათ, ბატონ გოკას კითხვასთანაც, ასე, 9 აგვისტოს ჩათვლით... (ხმა ადგილიდან). არა, ზუსტად თქვენი კითხვის ნაწილია, ქალბატონო ხათუნა, 9 აგვისტოს ჩათვლით, მე ვიცი, რომ, ჩვენ ხაზს ვუსვამ, მე ვიცი, რომ ჩვენ უკვე ვეღარ გავდივართ საბრძოლო პერსპექტივიებიდან. ამის შემდეგ...

ბ.გოგორიშვილი. ბატონო...

ე.კიწმარიშვილი. დამამთავრებინეთ, გპასუხობთ, ქალბატონო ხათუნა, თქვენ გპასუხობთ. ამის შემდეგ 10-ში, 11-ში გამოფრენის წინ, მე ვაკეთებ იმ განცხადებას, რომელიც არის ოფიციალური განცხადება და შეგიძლიათ ნახოთ ეს, მათ შორის, ქართულ წყაროებზე, ქართული ტელევიზიის ჩანაწერებში, სადაც მე ვამბობ, რომ ჩვენ

ვგმობთ იმ აქტს, რომელიც განხორციელდა და ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი ქართული ხელისუფლებისათვის, ანუ ვასრულებ იმ ფუნქციებს, ჩამოვდივარ თბილისში და აეროპორტში ვამბობ შემდეგს, სიტყვასიტყვით, რომ მე ბოდიშს ვუხდის ქართველ ხალხს, რუსეთის ყველა კეთილი ნების ადამიანს იმისათვის, რომ ვერ მოვახერხე თვე –ნახევარში დამერწმუნებინა რუსეთის მხარე ჩვენი განზრახვების გულწრფელობაში. „ჩვენში“ ვგულისხმობდი ისევ ქართველ ხალხს. თუ გაინტერესებთ ეს კონკრეტულად. ასევე შეგიძლიათ დაკითხოთ ჩემი საელჩოს იმ მომენტისათვის თანამშრომლები, საქართველოს საელჩოს თანამშრომლები რუსეთის ფედერაციაში და გაიგებთ, რომ იმ საღამოს და მეორე დილით, როცა მე მქონდა საუბარი იმის თაობაზე...

————— დავაზუსტებ, დავაზუსტებ...

ე.კიწმარიშვილი. როცა მე მქონდა საუბარი იმის თაობაზე, რომ ეს ომი ფაქტიურად გარდაუვალია იმის გამო, რომ ჩვენი ყველა მცდელობა ეჯახება ყრუ კედელს და ვიღებთ დამოკიდებულებას, როცა ჩვენი გარღვევის რეჟიმიც კი შეფასებულია იმად, რომ შემდგომი აქტივიზაცია წავიდეს ამ ყველაფერზე. მე ვთვლიდი, რომ იყო ძალიან დიდი საფრთხის მატარებელი. რა თქმა უნდა, ეს ვიზიტი ჩაიშალა. რა თქმა უნდა, ამ ვიზიტს შედეგი არ ექნებოდა და ვერ ექნებოდა იმიტომ, რომ მზადყოფნა, დავინახე, რომ საქართველოს მხრიდანაც არ იყო. რა თქმა უნდა, ამ ვიზიტის შემდეგ, დავამთავრებ ამ აზრსაც, ნარიშკინის მხრიდან და რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან გამოგზავნილი იქნა ადამიანი, რომელსაც დაევალა გაეგრძელებინა ის დაწყებული გზა, მიუხედავად ამ გართულებული სიტუაციისა. კიდევ ერთხელ მოგახსენებთ, რომ არსებობს ომის რეჟიმი, არსებობს ვირტუალური ომის რეჟიმიც და არსებობს კიდევ რიტორიკაც და არსებობს კიდევ რეალური მუშაობაც. დიპლომატია ომის რეჟიმის დროსაც ახორციელებს კონტაქტებს. მე დასაწყისში ვთქვი, რომ ირაკლი ოქრუაშვილი როცა ხვდებოდა კოკოითს, ამაში დასაძრახი არაფერი არ იყო და არაფერი კრიმინალური ამაში არ იყო იმიტომ, რომ შეიძლება ერთ მხარეს იყოს გააფთრებული წინააღმდეგობა და ეს არის, ასე ვთქვათ, ვიზუალური მხარე კონფლიქტის და შეიძლება იყოს კულუარული მოლაპარაკებები. ამიტომ ამის შემდეგ. . .

თავმჯდომარე. აქ კრიმინალურზე არაა საუბარი, ბატონო ეროსი,

ე.კიწმარიშვილი. . . . ამის შემდეგ, გავაგრძელებ. . .

თავმჯდომარე. აქ მორალურ მხარეზეა საუბარი იმიტომ, რომ აქ არ არის საუბარი კრიმინალზე, აქ საუბარი არის იმაზე, რომ სეპარატისტული ხელისუფლების ლიდერი, რომელმაც ჩაატარა ეთნოწმენდა, მასთან ხდება ნადირობის ფაქტზე წასვლა. მე აქ არ შემიფასებია ეს კრიმინალად. აქ არის მორალური, ჩემი აზრით, და იმიტომ ვსაუბრობ ამაზე, მე არ ვსაუბრობ სხვისი აზრით. (ხმაური დარბაზში)

ე.კიწმარიშვილი. დამამთავრებინეთ, თუ შეიძლება, რა!

თავმჯდომარე. ბატონო გოკა, გთხოვთ, ბატონო გოკა, ბატონო გოკა.

ე.კიწმარიშვილი. ბატონო გოკა, დამამთავრებინეთ, საკმარისია...

ხ. გოგორიშვილი. . . . პროვოკაციებს აწყობთ .

თავმჯდომარე. არა, მე, ძალიან გთხოვთ, ერთი წუთით, ქალბატონო ხათუნა, ძალიან გთხოვთ, ერთი წუთით. (ხმაური დარბაზში) . . . იქნებ, იქონიოთ პატივისცემა კომისიის . . .

ე.კიწმარიშვილი. მე ვაწყობ პროვოკაციას? . . . გავაგრძელებ, მათ შორის, ბატონ გოკას კითხვას ვუპასუხებ. . .

თავმჯდომარე. გავაგრძელებთ, ბატონო გოკა, ძალიან გთხოვთ ეხლა, ძალიან გთხოვთ კომისიის წევრებს, ბატონო ეროსი, თქვენც ძალიან გთხოვთ, რომ ნუ აყენებთ შეურაცხყოფას კომისიას. ოთხი საათი... აქ არ არის პროვოკაცია, ეს ერთი და გთხოვთ, რომ მოექცეთ პატივისცემით კომისიას. ეს არის საპარლამენტო კომისია და თქვენი შეხედულებები ცოტა სხვაგან გამოთქვით.

ე.კიწმარიშვილი. კიდევ ერთხელ გეტყვით, მე აქ ვსაუბრობ თემაზე, რომელიც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ჩემი აზრით, ვიდრე კონკრეტულად ჩემი ემოცია ამ წუთში. მე აქ ვსაუბრობ იმ გაუბედურებული ხალხის თემაზე, რომელსაც სჭირდება ელემენტარულად ჰუმანიტარული დადგენა იმის თაობაზე, თუ რა მოხდა აგვისტოში. ამიტომ, თუ საშუალებას მომცემთ, დავამთავრებ. თუ საშუალებას არ მომცემთ, იმედია, რომ არსებობს ის საშუალებები, რომელ საშუალებებზეც ბატონი გივი და ბატონი გოკა ბრძანებენ და იმ საშუალებებს გამოვიყენებ, არ არის აქ პრობლემა. მე მოვედი პარლამენტში იმიტომ, რომ თქვენ ხართ ლეგიტიმურად ხალხის

მიერ არჩეული და ხალხის წარმომადგენლები და მელაპარაკებით ხალხის სახელით. თუ ხალხის სახელით მელაპარაკებით, მომცით საშუალება . . .(ერთვებიან ადგილიდან).

გ.გაბაშვილი. ბატონო ეროსი, ახლა ლექციას ნუ გვიკითხავთ...

თავმჯდომარე. . . . ბატონო გოკა, ძალიან გთხოვთ. (ხმა ადგილიდან). არა, ძალიან გთხოვთ, ბატონო გოკა. ბატონო გოკა, ძალიან გთხოვთ. ბატონო ეროსი, დაწყნარდით, ძალიან გთხოვთ, დაწყნარდით. (ხმები ადგილიდან). ერთი წუთით, ბატონო გოკა. ბატონო ეროსი, ერთი წუთით, დაწყნარდით, დაწყნარდით. ერთი წუთით, პროცედურასთან დაკავშირებით. (ხმა ადგილიდან). გასაგებია, ერთი წუთით დაწყნარდით. ერთი წუთით, კითხვები დავსვამთ მერე. ეხლა ძალიან გთხოვთ ყველა კომისიის წევრს, დაამთავროს ბატონმა ეროსიმ ის ინფორმაცია, რა ინფორმაციასაც ის ფლობს. ძალიან გთხოვთ, ყველამ შეიკავთ თავი და აქ არის საუბარი კითხვებზე, რომლებიც იქნება შემდგომ დასმული. კომენტარები, კომისიის წევრებს ვისაც აქვს, ძალიან გთხოვთ, რომ დაიტოვოთ თქვენ და ეს იქნება კომისიაზე მსჯელობის საკითხი და ვთხოვ ბატონ ეროსის გააგრძელოს და ერთი თხოვნა არის, ძალიან კონკრეტულად რომ გასცეთ პასუხები. (ხმა ადგილიდან). მე შემიძლია თქვენ გითხრათ, რაც თქვენ ისაუბრეთ, ბატონო ეროსი, მე ვაპირებდი ამის ბოლოს თქმას, მაგრამ ეხლა მინდა ხაზი ერთ რაღაცას გავუსვა, რაც ქალბატონმა ხათუნამ აღნიშნა, ყველა დოკუმენტი, თქვენს მიერ ხელმოწერილი, მე შემიძლია ყველა დოკუმენტი ცალსახად გავიარო თქვენი ელჩობის პერიოდში. თქვენ, როგორც ელჩი, ვალდებული იყავით იმას, რასაც ყველამ ეს ასახული ყოფილიყო დოკუმენტებში მოხსენებითი ბარათების სახით. ეს ასახული იყო, ის გაფრთხილებები, რომელიც თქვენ, როგორც ელჩმა ნახეთ და ეს აუცილებელი იყო, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს, თქვენ ცალსახად აღნიშნეთ, გაუსვით ხაზი, რომ პირად საუბრებში გქონდათ ყველაფერი ეს. ეს მიაჩნებოდა, რომ პირადი საუბრების დროს სამართლებრივი ფორმა არის დოკუმენტი. ყველა დოკუმენტში, რომელიც თქვენი ხელმოწერით არის გამოგზავნილი არის ყველგან ხაზგასმული, იგივე, მედვედევის როლი და მისი მეუღლის როლი და აგრეთვე საუბარია იმაზე, ვთქვამთ, რომელ ელჩებს ხვდებოდით თქვენ დაწყებული თურქმენეთის საგანგებო დავალებათა ელჩიდან,

ხ.გაგორიშვილი. სიერა- ლეონეს.

თავმჯდომარე. სიერა- ლეონეს და რაღაც...(ხმები ადგილიდან).

ე.კიწმარიშვილი. ბოდიშს ვიხდი, ეს საირონიზაციო არ არის.ეს არის ... ქალბატონი ხათუნა აგისხნით. ეს არის...(ხმაური) სიერა-ლეონეს ელჩთან შეხვედრა სავალდებულო. მე არ მესმის, რა შუაშია... ეს არის რიტუალის ნაწილი...

თავმჯდომარე. . . . დავამთავრებ, დავამთავრებ. თქვენ თქვით . . .(ხმები ადგილიდან). დავამთავრებ, ბატონო ეროსი. ბატონო ეროსი, არაფერს არ ვლაპარაკობ (ხმა ადგილიდან). არა, დამამთავრებინეთ, ბატონო ეროსი, დამამთავრებინეთ, ერთი წუთით და მერე გააგრძელებთ თქვენ. (ხმა ადგილიდან). ბატონო ეროსი, გასაგებია. გასაგებია, ბატონო ეროსი. (ხმა ადგილიდან).ბატონო ეროსი, ძალიან გთხოვთ, თქვენი საუბარი არ იწერება, გათიშულია. (ხმა ადგილიდან). არა. ქალბატონო ხათუნა, თქვენ,(ხმა ადგილიდან) არაფერი...-მეთქი. დაწყნარდით, დაწყნარდით! (ხმა ადგილიდან) გისვამთ კითხვას, მომისმინეთ ბოლომდე ერთ წუთს! თქვენი ქმედებები, თქვენი ქმედებები, ხაზი მინდა გავუსვა ამას, თქვენი ქმედებები, როგორც საქართველოს ელჩის რუსეთის ფედერაციაში, ის თქვენი საუბარი, რაც თქვენ საუბრობთ, არ არის ასახული არც ერთ მოხსენებით ბარათში, მე ცალსახად მინდა ხაზი გავუსვა, არც ერთ მოხსენებით ბარათში. ის, რასაც თქვენ ყველამ, ჩვენ ვგებულობთ ახლა. მე ცალსახად ვაძლევ ამას კვალიფიკაციას და როგორც კომისიის თავმჯდომარე, აუცილებლად დავაყენებ საკითხს თქვენი სამსახურებრივი გულგრილობისათვის, როგორც თანამდებობის პირის, რომელმაც, საუბრობთ დღეს აქ და არც ერთ დოკუმენტში, როცა ხდება ესკალაცია, როცა ხდება დამაბულობა, თქვენ ამას არ ასახავთ. ეს არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაული, მინდა პირდაპირ გითხრათ. მე, როგორც კომისიის თავმჯდომარე, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ თქვენ (ხმა ადგილიდან) თუ არა... გეთანხმებით, გეთანხმებით. თუ არ აღძრა პროკურატურამ, ეს იქნება მაგის ისა, მე ცალსახად მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ თქვენი მხრიდან ეს არის გულგრილობა, სამსახურებრივი გულგრილობა იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც თქვენ განახორციელებთ. ეს რომ იცოდეთ. ეს არის ცალსახად პოზიცია ჩემი, როგორც თავმჯდომარის და არა კომისიის, ამას ვუსვამ ხაზს.

ე.კიწმარიშვილი. შეიძლება ჩამირთოთ ახლა მიკროფონი? ეს არის თქვენი აზრი. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ბრძანდებით კომისიის თავმჯდომარე და ხართ პარლამენტის წევრი, თქვენ კვალიფიკაციის უფლება არა გაქვთ.

თავმჯდომარე. მე გეთანხმებით, ჩემი აზრი არის.

ე.კიწმარიშვილი. კი, შეინახეთ თქვენი აზრი თქვენთვის.

თავმჯდომარე. მე, როგორც კომისიის თავმჯდომარე, დავაყენებ ამ აზრს და ეს არის, დღეს ჩვენ და გუშინ დავაყენეთ გარკვეული თანამდებობის პირების საკითხი და მე მინდა კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი: თქვენი ქმედებები იმ დოკუმენტაციით, რაც მე მაქვს, თქვენ თუ გაქვთ სხვა დოკუმენტაცია, ძალიან კარგი არის. თქვენ შეგიძლიათ წარადგინოთ ეს დოკუმენტაცია, არანაირი პრობლემა არ არის. ეს სცილდება კომპეტენციას კომისიის. აქედან გამომდინარე მე დავაყენებ შუამდგომლობას, რომ თქვენი ქმედებები, კიდევ ერთხელ ვამბობ, არის სამსახურებრივი გულგრილობა და მოვითხოვ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ამ ფაქტთან დაკავშირებით. უკვე.. და საუბარი არის იმაზე, რომ ის ქმედებები, რაც თქვენ აღნიშნეთ იმ მიმართულებით, რაც შეეხება იმას, რომ რაღაც „ლიდერშიპის“ საკითხს, რომელსაც თქვენ არ ადასტურებთ და არ საუბრობთ, ეს სცილდება კომპეტენციას კომისიის და აქედან გამომდინარე, ეს არის გამოძიების საგანი. მე დავაყენებ საკითხს იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებში ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციიდან გამომდინარე, არსებობს ვიღაც პიროვნება, რომელზე დაყრდნობით ხდება ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღება და მე მოვითხოვ გენერალური პროკურატურისაგან, ამ პიროვნების გაგებას, მოვითხოვ საქმის აღძვრას და, აქედან გამომდინარე, თქვენ, რა თქმა უნდა, კომისიასთან შეგიძლიათ ეს არ თქვათ, მაგრამ გამოძიების წინაშე თქვენ მოგიწევთ პასუხის გაცემა, თუ ვინ არის ეს პიროვნება, რომელიც თქვენ იცით.

ე.კიწმარიშვილი. შეიძლება გავაგრძელო? გმადლობთ.

ლ. ვეფხვაძე. ბატონო ეროსი, ერთი წუთი, თუ შეიძლება, განცხადებას გავაკეთებ იმიტომ, რომ ცოტა გაურკვეველ სიტუაციაში ვართ აღმოჩენილები იმიტომ, რომ ის ფორმა ურთიერთობის ადამიანთან, რომელიც მოსულია, დაემსგავსა პოლიტიკურ დებატებს, რაც კომისიის ფორმატს, ასე ვთქვათ,

თავმჯდომარე. სცილდება.

ლ. ვეფხვაძე. სცილდება და არა მგონია, რომ ეს ნორმალური იყოს. ჩვენი მიზანი, ბატონო პაატა, მეც შეგედავებით ამ შემთხვევაში, არ არის კონკრეტული, ამ შემთხვევაში, მოსული ადამიანის პასუხისმგებლობის დაყენება. ... ცხადია, საბოლოო ჯამში პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს კონკრეტული ინფორმაციები, რომელიც მოგვაწოდა, ამ ინფორმაციებს სჭირდება გადამოწმება, პირველ რიგში, და შეიძლება წრე ადამიანების, რომლებიც მოსაწვევი იყოს გაიზარდოს თუნდაც, ბატონი ირაკლი ჩუბინიშვილის, თუნდაც ბატონი ირაკლი ალასანიას და ბატონი ზურაბ ადეიშვილის სახით. ამიტომ, მე მგონი, რომ პოლიტიკურ დებატებს და ცხელ გულზე ლაპარაკს ჯობია დავმშვიდდეთ, დავწყნარდეთ და მივიღოთ ეს ფაქტები და ეს ფაქტები გადავამოწმოთ.

ხ.გაგორიშვილი. გამორთულია მიკროფონი.

თავმჯდომარე. ინფორმაცია, რაც მოგვაწოდა ბატონმა ეროსიმ, რა თქმა უნდა, მოითხოვს დაზუსტებას, მაგრამ მე კვალიფიკაციის საკითხის უფლება, როგორც თავმჯდომარეს გამაჩნია, გამაჩნია იმ თვალსაზრისით, რომ მე ვხელომდვანელობ მხოლოდ და მხოლოდ იმ დოკუმენტებით, რომელიც გამაჩნია. ის ინფორმაცია, რაც ჩვენ მოვისმინეთ, არ იყო ასახული დოკუმენტებში. ამიტომ გავუსვი ამას ხაზი. რა თქმა უნდა, კომისიის მსჯელობის საკითხზე მე ამას დავაყენებ, როგორც დავაყენე ეკონომიკის მინისტრის საკითხი, რომელიც გუშინდელ ჩვენებებთან დაკავშირებით, თქვენ არ ესწრებოდით, ბატონო ლევან.

ეხლა რაც შეეხება, ამიტომ ეს სცილდება კვალიფიკაციებს კომისიის. აქედან გამომდინარე, ვსვამ მე ამ საკითხებს და არა იმის გამო, რომ არ გვინდა მივიღოთ ინფორმაცია ბატონი ეროსისაგან. დღესდღეობით ეს, რომ ჩვენ ინფორმაციას ვდებულობთ, კიდევ ხაზს ვუსვამ, იმიტომ ვითხოვთ კონკრეტიზაციას ამ მიმართულებით, რომ არ იყოს შემდგომ შეკითხვები ამ მიმართულებით. რაც შეეხება პოლიტიკური საკითხის დაყენებას და პოლიტიკურ დისკუსიაში გადასვლას, არანაირი ინტერესი, მე ცალსახად მინდა ხაზი გავუსვა, რომ კომისიას, იგივე კომისიის თავმჯდომარეს არანაირი პოლიტიკური ინტერესი არა აქვს, მით უმეტეს, ბატონი ეროსი კიწმარიშვილის მიმართ, რომ გადავიდეს პოლიტიკურ დისკუსიაში, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც კომისიის, მე ხაზი მინდა ამას გავუსვა, როდესაც კომისიაზე მოსვლამდე მან არაერთხელ გამოხატა თავისი აზრი კომისიის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. ნუ ჩათვლით, ბატონო ეროსი, ან თქვენ ან ვინმე ან სხვა, რომ აქ არის რაღაც სხვა მიმართულებით საუბარი. აქ არის საუბარი მხოლოდ და მხოლოდ იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც გააჩნია კომისიას და მხოლოდ და მხოლოდ თქვენგან ვითხოვთ იმ ინფორმაციას, რა ინფორმაციასაც თქვენ გადმოგვემთ. მაგრამ მინდა ცალსახად ხაზი გავუსვა, თქვენ კომისიის დასმულ კითხვებზე შედიხართ პოლემიკაში, ამიტომ მე იძულებული ვიყავი დამეფიქსირებინა ჩემი პოზიცია. დამეფიქსირებინა იმის გამო, რომ დოკუმენტების საკითხი, ის დოკუმენტები, რაც მე გამაჩნდა, მაგაზე გამეკეთებინა რეაგირება. ეხლა ძალიან გთხოვთ, ყველა კომისიის წევრებს, დიახ, ერთ წუთას, ყველა კომისიის წევრს, რომ კონკრეტულად, კონკრეტულად, თუ ჩვენ გვსურს სხდომის გაგრძელება, დავსვათ კითხვები ამ მიმართულებით, რა მიმართულებითაც ვაპირებთ დასმას, რადგანაც ბატონი ეროსი გარკვეულ საკითხებთან....

_____ მე ბატონო პაატა.

თავმჯდომარე. ვიცი, ვიცი, ერთ წუთას. კი, რადგან ბატონი, თქვენ დაგამთავრებინეთ ბატონო... დაგამთავრებინებთ, კი. მე მუშაობის ფორმატთან დაკავშირებით ვსაუბრობ, დავსვით რამოდენიმე შეკითხვა, დავსვით იმ თვალსაზრისით, არ შევარყვეტინოთ ბატონ ეროსის საუბარი და ახლა უცებ გასცემს პასუხებს, დიახ. ამიტომ ის კითხვები, ბატონო ეროსი, ეს იყოს მუშაობის სტილი. ეს ერთი, მეორე საკითხი მინდა ვთქვა, ბატონმა ლევანმა დააყენა, ჩვენ უკვე დავუკავშირდით საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო საქმეთა მინისტრი, როგორც გახდა ცნობილი, არ იმყოფება საქართველოში. ამიტომ პირველი მოადგილე, ბატონი გიგა ბოკერია აქ არის და ამიტომ ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას, რაც შეეხება იმ გეგმებთან დაკავშირებით, იგივე ჩუბინიშვილთან დაკავშირებით და მივიღებთ პასუხებს. ახლა ძალიან გთხოვთ, ბატონმა ეროსიმ დაამთავროს თავისი გამოსვლა, შემდგომ, მხოლოდ და მხოლოდ შემდგომ დაისვას ის კითხვები, რა კითხვებიც არის.

ე.კიწმარიშვილი. გამალობთ. რაც შეეხება ბატონ გოკას შეკითხვას, პირველი.

ხ.გოგორიშვილი. უკაცრავად, ჩემს შეკითხვაზე დაამთავრეთ პასუხი?

ე.კიწმარიშვილი. რომელ შეკითხვაზე, ქალბატონო ხათუნა, იმიტომ რომ ბევრი შეკითხვა გქონდათ და რაზე ვერ მიიღეთ ბოლოს პასუხი? (ხმები ადგილიდან).

რაც შეეხება ჩემს პოზიციას, რომელიც მე გამოვხატე და იმ ინფორმაციას, რომელიც მე გამოვხატე უკვე, როგორც კერძო პირმა, „მონდისთვის“ მიცემულ, ჩემს ხელთ არსებულ ინფორმაციაში. ეს იყო არა ელჩის პოზიცია, არამედ იყო უკვე კერძო პირის პოზიცია, რომელიც მანამდე იყო დაახლოებული, ასევე აღწერილობითი ნაწილი. რაც შეეხება იმის თაობაზე, თუ როგორი შესაძლებლობები გქონდა და რამდენ ხანში დამთავრდებოდა ოსური, ასე ვთქვათ, ჩვენი აქცია. ამის შესახებ მე მოსმენილი მაქვს, მათ შორის, ივნისის 19-ში ბატონი თემურ იაკობაშვილისაგან, რომელიც, აი, ამ პატიოსანი ადამიანების თანდასწრებით, როგორც არის ბატონი დავით აფრასიძე, ბატონი თორნიკე გორდამე, როგორც არის ბატონი ზურაბ აბაშიძე, აცხადებდა, რომ ჩვენ სამ დღეში, სამ საათში დავიკავებთ ცხინვალს და, საერთოდ, არანაირი ხელშეშლა მანდ არ გვექნება. და ჩემს პრეტენზიაზე იმის თაობაზე, რომ ყველა ასეთი აქტი იქნება რუსეთის მხრიდან, და ჩვენ გვაქვს ამის ინფორმაცია, იქნება რუსეთის მხრიდან საპასუხო მოქმედებით განხორციელებული, ამ პატიოსანი საზოგადოების თანდასწრებით ბატონი იაკობაშვილი აცხადებს, რომ რუსები თითოეულ არ გაანძრევენ. ამის გარდა, როცა მე ვსაუბრობდი იმაზე, რომ დაიბომბება გორი, დაიბომბება თბილისის აეროპორტები და როცა ვეუბნებოდი, რომ ისინი ყველა შემთხვევაში ემზადებიან ამისთვის და ეს იქნება პროვოკაცია ჩვენი მხრიდან. იყო ძალიან ისეთი, აგრესიული ღრმად დამაჯერებელი პოზიცია იმის თაობაზე, რომ ჩვენ გვაქვს საშუალება სამ საათში გავიღოთ კონტროლი ცხინვალზე.

რაც შეეხება ისტორიას, ასევე მეორე ადამიანს, რომელთანაც ამ თემაზე მე მქონდა ბოლო დისკუსია, ბოლო, ხაზს, ვუსვამ იმიტომ, რომ მას შემდეგ მე შეხება არავისთან არ მქონია, ეს არის გრიგოლ ვაშაძე, რომელიც, ჩემდა გასაოცრად, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში, იანვრიდან მოყოლებული ივლისის მეორე ნახევრის ჩათვლით, იდგა ე. წ. მშვიდობის დაცვის პოზიციაზე, ივლისის ბოლოს ჩემთან პირდაპირ აცხადებს უკვე, რომ ჩვენ გვაქვს საშუალება რამდენიმე საათში, რამდენიმე დღეში, 28 საათი, 48 საათი.

თავმჯდომარე. ლაშა, რომელი?

ე.კიწმარიშვილი. გრიგოლ ვაშაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ ეს განვახორციელოთ.

რაც შეეხება მესამე ასპექტს, რაც არ დამიმთავრებია მე, და ქალბატონ ხათუნას, შეიძლება რამე გამომრჩეს. ამის შემდეგ ხდება შემდეგი ისტორია, რომ საქართველოში ჩამოდის რუსეთის მხრიდან ასევე პრეზიდენტის გამოუზავნილი ადამიანი, რომელიც ითხოვს შეხვედრას, რომელიც მონაწილეობს ამ ღონისძიებებში, ოღონდ არა ნარიშკინი, რომელიც ითხოვს შეხვედრას საქართველოს პრეზიდენტთან და მე ამ შეხვედრის ორგანიზებას ვახდენ ივლისის 21-ში ბათუმში. ამ შეხვედრას მე არ დავსწრებივარ, თუმცა, წინასწარ, ასე ვთქვათ, შეხვედრებს, სადილს ერთობლივს და ასე შემდეგ მე დავესწარი. ანუ, მე იმის დადასტურება მინდა, რომ რუსეთის მხრიდან იყო გარკვეული მესიჯები. ეს შეგიძლიათ შემდეგ ჰკითხოთ სააკაშვილს. ამ შეხვედრების, ამ სადილის დროს ბატონმა სააკაშვილმა გამოთქვა სურვილი ამ ადამიანის წინადადებით, რომ ერთი კვირით წაბრძანებულიყო, ე. წ. წონის დაკლების SPA-ში, ჩრდილო იტალიაში, ქალაქ მერანოში. არის ეგეთი სამხრეთ ტიროლიაში, ჩრდილო იტალია, სამხრეთ ტიროლიაში, არის ესეთი SPA ჰქვია მერანოს შენო, ჰენრი შენოს SPA. რატომ არის ეს მნიშვნელოვანი ჩემთვის, რომ შოკირებული დარჩა ის ადამიანი, რომელიც ესაუბრებოდა მათ, როცა პრეზიდენტმა გამოუცხადა მას, საუბარი დგება, ხაზს ვუსვამ, 21-ში, პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ის მზად არის, ორშაბათსვე გაემგზავროს ამ SPA-ში. ნუ, ამ ადამიანმა შესთავაზა თავისი სერვისი, რომ განეხორციელებინა ეს ყველაფერი. რატომ ვამბობ, ისევ ხაზს ვუსვამ, ამას, რომ მთელი ივლისის პერიოდი კონფლიქტის დაწყებამდე 5 აგვისტოს ჩათვლით, 7 აგვისტოს სატელეფონო საუბარი სააკაშვილთან ჩემი, მისი ზარი განხორციელდა 4 საათზე ჩემთან სადამოს, შეეხებოდა ერთ რამეს, მუდმივ თხოვნას ჩემი მხრიდან, რომ დამაბრუნეთ რუსეთში, გავაგრძელო ჩემი უფლებამოსილების შესრულება. და მე ვიღებდი თავიდან პასუხს გრიგოლ ვაშაძისაგან, რომ უნდა

განხორციელდეს რაიმე ნაბიჯი რუსეთის მხრიდან, რაც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ იყოს მესიჯი და რუსეთმა პირველივე კვირის ბოლოს განახორციელა განცხადება. მათ პირდაპირ მოგვარდეს ეს ინფორმაცია, რომ ისინი მზად იყვნენ, გაეხსნათ ლარსის გამშვები პუნქტი, რომელზეც მანამდე ყველა დისკუსიაში საუბარი იყო, რომ უნდა გახსნილიყო, სადღაც, სავარაუდოდ, წლის ბოლოს გადავწყვეტთ, როდის იქნება, რა იქნება. მივდიოდი იმ თხოვნით, რომ აი ეს ხომ არის მესიჯი იმისა, რომ დაიწყოს ურთიერთობის ნორმალიზაცია.

იყო ძალიან ბევრი მცდელობა ჩემი მხრიდან, ფაქტიურად, თითქმის ყოველდღე და ბოლოს საუბარი შედგა ასეთი, აი, გრიგოლ ვაშაძესთან იმის თაობაზე, როცა რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტი დოღზე დაპატიჟა უკვე პიატიგორსკში, სექტემბრის დასაწყისში, რომ მე მითხრეს, რომ იცი, რა, მოდი, კარგი იქნება, რომ შენ შვებულებაში წახვიდე. მთელი ამ დროის განმავლობაში მე არ მასვენებდა განცდა იმისა, რომ შესაძლებელი იყო, რომ ჩვენ გადავჩეხილიყავით კონფლიქტში და ეს განცდა იმისა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი 26 ივლისს წაბრძანდა ერთი კვირით დასასვენებლად თუ წონაში დასაკლებად იტალიაში ჩემთვის იყო ისეთი მესიჯი, რომლის შემდეგ ჩავთვალე, რომ ჩვენ, ფაქტიურად, ასე ვთქვათ, გავდივართ ამ კრიზისის ზონიდან იმიტომ, რომ შემდეგ იწყება აგვისტოს პერიოდი, როცა რუსეთის ხელისუფლებაც მიდის შვებულებებში. პრეზიდენტი სააკაშვილი, ვიცი, რომ მიემგზავრება ოლიმპიურ თამაშებზე, ასევე შემდეგ, შემდგომ დღეს ჩამოსვლიდან და მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვემზადებოდი იმისათვის, რომ აგვისტოს პერიოდი, ასე ვთქვათ, ჩემი აქტივობა იმ კუთხით, რომ რადანაირად ამ სიტუაციაში გამოსავალი მეპოვნა, შემეჩერებინა იმიტომ, რომ არც რუსეთში არავინ აღარ იქნებოდა და არც აქ.

უკანა გზაზე ჩვენ ვხვდებოდით, ეს არის 21 ივლისი, ჩვენ ვხვდებოდით უამრავ სამხედრო მანქანას, რომელიც მოძრაობდა სენაკის მიმართულებიდან, უფრო სწორად, დასავლეთის მიმართულებიდან გორისა და ცხინვალის, ასე ვთქვათ, პირობით, ვთქვათ, აღმოსავლეთის მიმართულებით, რომ მერე, ვთქვათ, რამე დისკუსიის საგანი არ გახდეს ეს ყველაფერი. ვხედავდით უზარმაზარ მოძრაობას. კიდევ ერთ, ძან ისეთ, პიკანტურ დეტალს გეტყვით. ქალბატონი ეკა შარაშიძე, რომელიც ამ პერიოდში, და ძალიან ბევრი ქართული ელიტის წარმომადგენელი, “ლიდერშიპი”, ბრძანდებოდა ახლად გახსნილ სასტუმროში ქობულეთში, ერთ-ერთ საღამოს, 15-ში, ჩემი ჩამოსვლიდან 15 არის მე-3 დღე თუ მე-4 დღე, აცხადებს, რომ ჩვენ, იცით რა, ძალიან დიდხანს აღარ დავგჭირდება ელჩი რუსეთის ფედერაციაში. 15 ივლისს აი ასეთი მესიჯები მე მაძლევდა, და ძალიან ბევრი ასეთი მესიჯი, მე მაძლევდა განცდას იმისა, რომ ჩვენ ვიყავით ომის წინაშე და ეს ომი შესაძლებელი იყო, რომ ყოფილიყო ალტერნატივა იმისა, რაზეც საუბრობდა სააკაშვილი აფხაზეთის მიმართულებით. ისევე როგორც, ახლა მე კიდევ ერთხელ გეუბნებით, ახლა, ძალიან ბევრი მცდელობა იყო იმისა, რომ ვთქვათ, აზრის მიმართულება ვერ დამელაგებინა, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის მხრიდან იყო სრული ინფორმირებულობა იმის თაობაზე, რომ ეს უნდა დაწყებულიყო და სრული მზადყოფნა იმის თაობაზე, რომ ეს უნდა დაწყებულიყო. მათ ჰყავდათ გაგზავნილი ყველა ტოპჟურნალისტი ცხინვალის რეგიონში და ცხინვალში იყო ყველა საუკეთესო ჟურნალისტიური ჯგუფი უკვე ჩასული რამდენიმე დღით ადრე ამ ისტორიის დაწყებამდე. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რაც შეეხება ჩემს გათავისუფლებას 12 სექტემბერს, 12 სექტემბრამდე 2 დღით ადრე, უფრო სწორად, 7 სექტემბერს ვიტყვი, 5 სექტემბერს მე დავუკავშირდი სააკაშვილს, მქონდა მცდელობა, ასე ვთქვათ, მასთან საუბრის. ის დავპატიჟე ჩემს დაბადების დღეზე. დამირეკა მან საღამოს და მითხრა, რომ ვერ მოახერხებდა, მაგრამ შევთანხმდით, რომ ამ საუბრის დროს მე მას ვთხოვე, რომ „მიმა, თუ შეიძლება, მოახერხე, დამაბრუნე აუცილებლად მე მოსკოვში იმიტომ, რომ დრო გადის და ვკარგავთ დროს.“ მისი პასუხი იყო, რომ „რითი დაგაბრუნო, იმით, არბალეტით დაგაბრუნო? ვაი, არბალეტით დაგაბრუნებ.“ ამის შემდეგ 7-ში 4 საათზე მან დამირეკა და როცა მკითხა, რას ვაკეთებდი, ვუთხარი, რომ „ვუცქერი იმ რუსულ ტელევიზიებს, რომელებიც საშინელებებს გადმოსცემენ ცხინვალის რეგიონიდან“, რაზეც მან განმიცხადა, რომ „აბა, შენ რა გგონია, ახლა ეს ყველაფერი და ომი იწყება“ და ა.შ. მე ახლა დეტალურად არ მინდა ამ საუბრის აღდგენა, თუ საჭიროება იქნება, შეგიძლიათ ამოიღოთ ეს საუბარიც იმიტომ, რომ ციფრული ჩაწერა ხდება, ეს არ არის მოსმენის მიზეზით, არამედ ჩაწერის სხვა ფორმატიდან გამომდინარე, ტექნოლოგიურად და ნახოთ. ამის შემდეგ მე 8-დან მოყოლებული ხმა არ ამომიღია, ვიყავი საშინელ მდგომარეობაში იმიტომ, რომ მე ვერ მოვახერხე იმის განხორციელება, რისთვისაც წავედი რუსეთში. და, 11 სექტემბერს, ბოდიშს ვიხდი, 10 სექტემბერს პირველად ყველაფერი, როცა, ასე ვთქვათ, ცხელი ნაწილი მორჩა, შევატყობინე სააკაშვილს, რომ მქონდა სურვილი მასთან შეხვედრის და დალაპარაკების იმისათვის, რომ აი ეს ყველაფერი, რაც მოხდა, ამაზე ჩემი პოზიცია მისთვის მეთქვა, მეთქვა, ძალიან, ასე ვთქვათ, მიღებული ფორმით, როგორც უნდა ხდებოდეს ელჩსა და მის პრეზიდენტს შორის და დამეფიქსირებინა ჩემი პოზიცია. მე მანამდე ჩემი პოზიცია არსად არ დამიფიქსირებია. ხაზს ვუსვამ, არც ერთი ინტერვიუ, არც ერთი კომენტარი მე არავისთვის არ მიმიცია და ვერ ნახავთ თქვენ ვერც ერთ კომენტარს. სხვათა შორის, სააკაშვილი 7-ში მეპატიჟებოდა, რომ მივსულიყავი კანცელარიაში თუ მასთან და, შესაბამისად, გაგრძელებულიყო, ასე ვთქვათ, თანამონაწილეობა ამ პროცესების. მე ძალიან განვიცდი ამ ყველაფერს და ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, სხვათა შორის, სააკაშვილის გარემოცვაში, გვარების დასახელებისაგან, – ეს უკვე ემოციური ნაწილია, – რომლებიც ძალიან განიცდიან იმას, რაც მოხდა. მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ თანამონაწილენი იმ პროცესებისა, რომელშიც ჩათრეულნი ვიქნით რუსების ხელით. ჩათრეული ვიყავით და ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც მათ უნდოდათ. ჩვენ . . . გადავდგით ეს ნაბიჯი. ახლა დავამთავრებ მხოლოდ ერთი ინფორმაციით. მე 10-ში გავუგზავნე შეტყობინება სააკაშვილს. მან გამოაგზავნა ჩემთან, ასე ვთქვათ, დაარეკინა ჩემთან გიგა ბოკერიას. სხვათა შორის, ხაზს ვავუსვამ გიგა ბოკერიასთან დაკავშირებით, ეს იყო ჩვენი შეთანხმების ნაწილი სააკაშვილთან, როცა მე მივდიოდი ელჩად რუსეთის ფედერაციაში და ჩვენ უკვე ვიცოდით, და ბევრმა იცოდა, მათ შორის, ბატონ გოკას ეცოდინებოდა, რომ

უკვე, ასე ვთქვათ, რომ ბოკერია აღარ მოხვდებოდა პარლამენტში ბევრი მიზეზის გამო, გასაგები მიზეზების გამო, რომ მისი, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ სახედ ყოფნა ძალიან სახიფათო შეიძლება ყოფილიყო თვითონ „ნაციონალური მოძრაობისათვის“ და ის ინიშნებოდა პირველ მოადგილედ საგარეო საქმეთა სამინისტროში. ეს ინფორმაცია მე მქონდა, მე ხაზგასმით ვუთხარი, რომ თუ ბოკერია ჩაერევა რუსეთის მიმართულელებაში ჩვენ პერსპექტივა არა გვაქვს და მე, საერთოდ, ამ მიმართულებით მუშაობას არ ვაპირებ, და ეს იყო მისი პირობა, რომ ბოკერია ამ მიმართულებით არ ჩაერევა და მისი მხრიდან იმუშავებს მხოლოდ ერთი ადამიანი, გრიგოლ ვაშაძე, რომელთანაც მე მქონდა ფანტასტიური სინქრონიზირებული ურთიერთობა და ვთვლი, რომ ეს არის ძალიან მაღალი კლასის დიპლომატი.

რაც შეეხება 10-ში ჩემს გაგზავნილ წერილზე მის პასუხს, მესიჯზე, შეტყობინებაზე მის პასუხს, მისი პასუხი იყო ბოკერიას ზარი ჩემთან ზუსტად ნახევარ საათში, რასაც მე არ ვუპასუხე და მეორედ გავუგზავნე მესიჯი უკვე 11-ში, რომ მე ბოკერიასთან არ მინდა საუბარი, მე მინდა თქვეთან საუბარი და მე მქონდა ამის, როგორც პიროვნული მასთან ურთიერთობიდან გამომდინარე, უფლება, ისე სტატუსური უფლება. და შემდგომ ამის შემდეგ მე მირეკავს მიხილ მაჭავარიანი, რომელიც მოდის, ვხვდებით აქ, აი ამ ჩასახვევთან, პირველ სკოლასთან, ჯდება ჩემს მანქანაში, საათ-ნახევრის განმავლობაში დავდივართ თბილისის ქუჩებში და არის საუბარი იმის თაობაზე, ეს არის 12 სექტემბერი, ხაზს ვუსვამ, როცა მას ვეუბნები რომ, მიშა, ის, რაც მოხდა ეს იყო კატასტროფა, ის, რაც თქვენ გააკეთეთ, ამ შემთხვევაში სააკაშვილმა გააკეთა და რაც იქნა განხორციელებული, ეს არის კატასტროფა. მე ყველაფერი ჩავდე იმისათვის, რომ ეს არ მომხდარიყო და მე ვერ დავრჩები ამ ადამიანის გვერდით და მე უნდა გავიდე. სააკაშვილის ამ თემაზე მიშა მაჭავარიანი მეუბნება, რომ მათ იცინან, ასე ვთქვათ, ჩემი განწყობა და, მოდი, იქნებ, შეხვდე სააკაშვილს. რაზეც ვეუბნები, ზუსტად ეს მინდოდა და იმიტომ გავუგზავნე შეტყობინება და ვთვლი, რომ სააკაშვილი და მე დავილაპარაკებთ და მე ჩემს პოზიციას მას ვეტყვი. შემდეგ რას გავაკეთებ, უკვე ჩემი საქმეა. მისი მხრიდან იყო საუბარი იმაზე, რომ, ბუნებრივია, რომ ეს კონფლიქტი ასე არ უნდა განვითარდეს და იყო რაღაც გარკვეული შემოთავაზებები, რომლებსაც ასევე სხვადასხვა ფორმატით მე ვიღებდი და მოსმენილი მაქვს, არ გავალრმავებ ამ შეთავაზებებს, თორემ სხვა შემთხვევაში მე ვიჯდებოდი და ახლა ჩემს ციტირებას გააკეთებდა უკვე სხვა კონტექსტში ბატონი გოკა, ვიჯდებოდი ამ ხელისუფლების ნაწილად. 12-ში სადამოს, 10 საათზე მე მიხილ მაჭავარიანი თავის დაცვასთან ერთად დავტოვე პრეზიდენტის კანცელარიის კართან. 12-ის რიცხვით თარიღდება ის განკარგულება, რომელსაც ხელი მოეწერა ჩემი არაკომპეტენტურობის გამო გათავისუფლებაზე. აი ეს არის ჩემი პასუხი, ეს არის ის თემები, რომელზეც მინდოდა მე მესაუბრა. მაქვს უამრავი გვერდითი თემა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვეუბნებით, რაც შეეხება ომის თემებს, რაც შეეხება პასუხისმგებლობის თემებს, მე ამ თემებიდან არასოდეს გასვლას არ ვაპირებ, და პირიქით, ვფიქრობ, რომ ეს საუბარი, ჩემი, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება იმისათვის, თუნდაც, დისკუსია დაიწყოს საზოგადოებაში იმაზე, თუ რეალურად რა მოხდა, რამ უბიძგა და როგორ მივიდა პუტინი-საკაშვილის დაპირისპირება აი ამ მდგომარეობამდე, რაშიც დღეს ჩვენ ვართ. ამას მე ხაზს ვუსვამ, ხაზს ვუსვამ, ამასვე ფიქრობს ძალიან ბევრი დასავლელიც, აღმოსავლელიც, სამხრეთელიც და ჩრდილოელი ექსპერტიც და პოლიტიკური მოღვაწეც.

თავმჯდომარე. ბატონო ეროსი, თქვენ დაასრულეთ, ხომ? მაშინ ორი შეკითხვა არის, ძალიან მოკლედ, კომენტარების გარეშე ოღონდ, ძალიან გთხოვთ.

გ.გაბაშვილი. უბრალოდ, ჩვენ გვაქვს აქამდე მიღებული ათობით ჩვენება, რომ 6-ში დამე, 7-ში დილას, ჯერ როცა ჩვენ არ გვქონდა სამხედრო მოქმედებები დაწყებული, საქართველოში მოხდა რუსული კოლონის მასობრივი შემოჭრა როკის გვირაბში და ამავე დროს ხდებოდა მასობრივი არტილერიის ცეცხლით დაბომბვა ჩვენი სოფლების – ავნევის, ნულის, კეხვის, თამარაშენის და ასე შემდეგ. და გვაქვს ათობით ჩვენება, რომ ომი დაიწყო სწორედ ასე, 20 საათით ადრე მოხდა ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრა რუსული კოლონის ზემო ზარამაგიდან როკის მიმართულებით და ამავე დროს მიმდინარეობდა ჩვენი სოფლების მასობრივი დაბომბვა, რაზედაც ჩვენ მერე უკვე 7-ში, 7-დან 8 გამთენიანზე გავციეთ უკვე სამხედრო პასუხი.

თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს გააკეთა სააკაშვილმა, ეს ომი დაიწყო საქართველომ, ამ ომის დაწყების ინიციატორი არის საქართველო და ეს ომი დაიწყო იმისათვის, რომ „პადშუმოკ“ დაწყებულიყო მეორე ომი აფხაზეთში ანუ ერთი-ერთზე იმეორებთ რუსული გენშტაბის ვერსიას. რა ინფორმაცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით? ვინ გითხრათ, რომ 6-ში არ შემოსულა რუსული ჯარები ან საიდან გაქვთ ეს დარწმუნება, რომ როკის გვირაბში არ შემოჭრილან რუსული შეიარაღებული ფორმირებები და რომ იქ არ იყო ქართული სოფლების დაბომბვა და ჩვენ 7-ში დამე, 12-ის ნახევარზე, 7-დან 8 დამეზე, 12-ის ნახევარზე დავიწყეთ არაპროვოცირებული, რუსებისგან არაპროვოცირებული ომი რუსეთის წინააღმდეგ იმისათვის, რომ „პადშუმოკ“ დაგვეყრო აფხაზეთი ორმხრივი შეტევით. საიდან გაქვთ ეს შინაგანი რწმენა ან საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია, ან რა წყაროებს ეყრდნობით მაშინ, როცა ამას ამტკიცებთ საერთაშორისო პრესაში და დღეს უკვე აი, ამ კომისიის წინაშე? აი, ეს მაინტერესებს, ბატონო ეროსი და მე მგონი, ძალიან ლოგიკური შეკითხვაა.

თავმჯდომარე. ბატონო აკაკი, ჯერ გასცეს პასუხი, ძალიან გთხოვთ, და მერე. ჯერ გასცეს პასუხი.

ე.კიწმარიშვილი. მაღლობა. ე.ი. პასუხი არის ძალიან მარტივი. მთელი საერთაშორისო პრესა, მათ შორის, ჩვენი მეგობრული ქვეყნები, საერთაშორისო ვგულისხმობ, მეგობარი ქვეყნების პრესა, მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი დასავლეთის, პირდაპირ აცხადებს, მაგალითად, საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი, ბრიუსელში განთავსებული, ძალიან სერიოზული, მისი ბოლო, 22 აგვისტოს ცნობილი მოხსენება, რომელიც მოგეხსენებათ, ალბათ. სადაც არის საუბარი იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ახორციელებდა სამხედრო რიტორიკას და ბევრი ნაბიჯის გადადგმის თვალსაზრისით მიდიოდა კონფრონტაციისაკენ, რაც ხელს არ უწყობდა ურთიერთობის ნორმალიზაციას და უცხოელ დასავლეთის დიპლომატებს, ძალიან მაღალი რანგის, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და დასავლეთის ევროპის ბევრი ქვეყნიდან უხდებოდა მათთან შეხვედრა, დარწმუნება საქართველოს ხელისუფლების და ეს მუშაობდა ორი კვირის განმავლობაში. შემდგომ ისევ იწყებოდა ხელახალი რიტორიკა. ეს, რაც შეეხება პირველ ასპექტს, რაზე დაყრდნობით ვაცხადებ ამას. იმიტომ, რომ 6-ის და 7-ის შემდეგ მე მხოლოდ ვეყრდნობი

გ.გაბაშვილი. კონკრეტულად აგვისტოს ომზეა ლაპარაკი?

ე.კიწმარიშვილი. კონკრეტულად აგვისტოს ომზე, კონკრეტულად აგვისტოს ომზე. რაც შეეხება იმას, რომ ეს დაიწყო საქართველომ. მე ვამბობ, რომ ეს დაიწყო 2 ქვეყნის ხელისუფლებამ. მე ვამბობ, რომ ეს იყო საქართველოს მხრიდან აბსოლუტურად გაუაზრებელი მოქმედება იმისათვის, რომ განხორციელებულიყო

გ.გაბაშვილი ბატონო ეროსი, 6 აგვისტოს რუსული კოლონის შემოჭრას უარყოფთ, ანუ თქვენ დადასტურებით შეგიძლიათ გვითხრათ ... (ხმები ადგილიდან).

თავმჯდომარე. ძან გთხოვთ რა.

ე.კიწმარიშვილი. 6 აგვისტოს რუსული კოლონის დადასტურებული ფაქტი იმ წყაროებში, რომელთაგანაც მე შეხება მაქვს. თუ თქვენ გაქვთ ეს დადასტურებული ფაქტი და ეს საერთაშორისოდ იქნება აღიარებული და ეს თქვენი პრობლემაა და ჩვენი პრობლემაა, ასევე, კიდევ. იმიტომ, რომ მე რეაქციების მიხედვით შემიძლია ვიმსჯელო. ამიტომ, მე ნუ გამაკეთებინებთ ისეთ განცხადებებს, რომელიც ინფორმაციასთან არ არის დაკავშირებული. მე არ მქონია 6-ის შემდეგ არანაირი ინფორმაცია. დავამთავრებ, ბატონო გივი, მე ვამბობ, ..

გ.თარგამაძე. იგივეზე გვკითხებით, უბრალოდ, წელან თქვით, რომ მთელი საერთაშორისო პრესაო და მთელი არასამთავრობო სექტორიო და შემდეგ ეს ... ჯგუფი, ახსენეთ და, ვთქვათ,

ე.კიწმარიშვილი. არა, უკაცრავად, ეუთოს დასკვნა ...

გ.თარგამაძე. „ჰუმან რაით ვოტჩი“-ს დასკვნას არ იცნობთ ...

ე.კიწმარიშვილი. „ჰუმან რაით ვოტჩი“-ს დასკვნაში ...

თავმჯდომარე. მე იძულებული ვარ შევაწყვეტინო ბატონო გივის. ძალიან გთხოვთ. (ხმა ადგილიდან). არა. ძალიან გთხოვთ. უპასუხოს მერე და მერე დაუსვას კითხვა, რომ არ იყოს, რა ქვია ამას. (ხმა ადგილიდან). დიახ.

ე.კიწმარიშვილი. (მიკროფონის გარეშე, არ ისმის) ... ეხლა ეს ნაწილი. ის, რაც ბრძანა ბატონმა გოკამ, სანამ გაბრძანდებოდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, იქნა პროვოცირებული თუ არ იქნა პროვოცირებული, რა თქმა უნდა, სამხედრო მოქმედებები განახორციელა პირველმა 8-ში, 7-ში. რაც შეეხება იმას თუ როგორ იყო მზად რუსეთი. მე ხაზგასმით ვთქვი, რომ რუსეთი მზად იყო ყველანაირად იმისათვის, რომ განეხორციელებინათ ის, რაც განახორციელეს. ეს იყო მათი სერიოზული გეგმის ნაწილი და ბევრჯერ მაქვს მე ეს თემა მოსმენილი და არგუმენტაციას ამ თემაზე აღარ დავიწყებ. და ძალიან ბევრისთვისა მაქვს ეს ნათქვამი და ძალიან ბევრისაგანაც არის ეს, თუ გაინტერესებთ და თუ ეხლა ვინმეს უნდა, რომ დაამტკიცოს, რომ მე ვამბობ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ყველაფერი და რუსეთი მამა აბრამის ბატკანია, ძალიან გთხოვთ, რა მნელად გამოგივათ, ბატონო გივი, შპიონომაჟია, ქსენოფობია და ესეთი თემები. მე ხაზს ვუსვამ, რომ ამ მიმართულებით ...

გ.თარგამაძე. ... საზოგადოება გააკეთებს თვითონ ...

ე.კიწმარიშვილი. საზოგადოების სახელით ...

გ.თარგამაძე. პირიქით მაგას ვამბობ, რომ საზოგადოება აკეთებს დასკვნას, სულ არ არის საჭირო არანაირი შპიონომანია. . . .

ე.კიწმარიშვილი. . . .გაცვდა შპიონომანია, გაცვდა

გ.თარგამაძე. ქართველი ადამიანი ზიხართ აქ და მაგას ლაპარაკობთ, მეტი რად უნდა მაგას . . .

ე.კიწმარიშვილი. ქართველი ადამიანი რომ ვზივარ, იმიტომ ვლაპარაკობ ამას. . . .(ხმები ადგილიდან მიკროფონის გარეშე).

თავმჯდომარე. ძალიან, გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, მე გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, ძალიან, გივი, ძალიან გთხოვთ, გივი დაწყნარდი მანდატურს ვთხოვ ძალიან გთხოვთ, ძალიან გთხოვთ. ბატონო ეროსი, ბატონო ეროსი, ძალიან გთხოვთ, შეიკავეთ თავი. მე ვწყვიტავ კომისიის მუშაობას. არა, არა, ვწყვიტავ კომისიის მუშაობას ერთი წუთით, ერთი წუთით, დროებით, ერთი წუთით. (ხმები ადგილიდან) დაწყნარდით, ბატონო ეროსი. ძალიან გთხოვთ, (ხმები ადგილიდან). ბატონო ეროსი, დაწყნარდით! ბატონო ეროსი, კომისიას არ დაუმთავრებია მუშაობა, ბატონო ეროსი, დაბრუნდით! კომისიას არ დაუმთავრებია მუშაობა, ხუთი, ბატონო ეროსი. ეს არის, მე მინდა ცალსახად ხაზი გავუსვა, რომ ეს არის კომისიის შეურაცხყოფა, ეს არის ის ქმედებები, რაც განხორციელებული იყო ყოფილი ელჩისაგან. მისი არაკვალიფიციური მუშაობა ცალსახად ჩანს იმ დოკუმენტებით, რა დოკუმენტებიც არის, რომ მან ერთი ინფორმაციაც არ მიაწოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ მუშაობასთან დაკავშირებით. ცალსახად ჩანს, რომ ყოფილი ელჩი ცდილობს მოაწყოს შოუ კომისიის მუშაობის დროს. ცალსახად ჩანს, რომ ის არის სუბიექტური, მისი ჩვენების პერიოდში გამოიკვეთა ორი სერიოზული საკითხი.

პირველი. გამოიკვეთა ის, რომ არსებობს ადამიანი, რომელიც ლაპარაკობს საერთაშორისო საზოგადოების სახელით და ამით მანიპულირებს და ბატონმა ეროსიმ არ დაასახელა ვინ არის ეს ადამიანი. აქედან გამომდინარე, მე კატეგორიულად, აუცილებლად დავაყენებ საკითხს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დაიწყოს გამოძიება. ეს ერთი.

მეორე. როგორც კომისიის თავმჯდომარე, მე ვაყენებ საკითხს იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ქმედებები, რომელიც არის ასახული, არის, პირდაპირ მინდა ხაზი გავუსვა, სამსახურებრივი გულგრილობა იმიტომ, რომ ის წერს ერთს, საუბრობს მეორეს და ახორციელებს ზეწოლას სახელმწიფოზე, რაც გაურკვეველია ყოვლად, რაღაც ჭორების და რაღაც ლაპარაკის საფუძველზე.

მესამე. რესპოდენტი, რომელიც იყო მოსული დღეს კომისიაზე გამოვიდა შეურაცხყოფით კომისიის წევრების მიმართ. მან არაერთხელ დააყენა საკითხი კომისიის მუშაობის დაწყებამდე და არაერთი შეურაცხმყოფელი განცხადება გააკეთა. ის წინასწარ კომისიაზე მოვიდა პოლიტიკურად ანაგაჟირებული. აქედან გამომდინარე, და შეეცადა დაეყენებინა, გადაექცია კომისიის მუშაობა ფარსად. ეს ცალსახად ჩანს, მისი სუბიექტური დამოკიდებულება და ეს არის მისი მორალური მხარე. მე არ მინდა ხაზი გავუსვა მის მორალურ მხარეს მუშაობის, აქ სამართლებრივი შეფასება არ ხდება, მაგრამ ორ ფაქტთან დაკავშირებით იქნება სამართლებრივი, რა თქმა უნდა, შეფასება.

ახლა მე მინდა ვთხოვო, ჩვენ, მე მინდოდა გამომეცხადებინა შესვენება, რომ დაწყნარებულიყო კომისიის წევრები და დაწყნარებულიყო ის ადამიანი, ვინც შეურაცხმყოფელად მოქმედებს კომისიის წინაშე და ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია არგუმენტი და არის სუსტი, ის ტოვებს სხდომას, და ბოლომდე და არ... სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თავის დროზე წარადგინა ეს ადამიანი, სამწუხაროა ეს და კომისიის უპატივცემულობაც, აგერ მახსენებენ, არის დასჯადი ქმედება. ახლა მინდა ვთხოვო ბატონ გიგა ბოკერიას, რომ როგორც მაცნობეს, ის იმყოფება საქართველოში და თბილისში, მოზრმანდეს და ელჩის მიერ გაკეთებული განცხადებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, ის გვაცნობებს. ბატონი გიგას მოსვლის შემდეგ, ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას. ეხლა მინდა ვთხოვო, ქალბატონ ხათუნას, რომელსაც დამატება უნდა საკითხის.

ხ.გაგორიშვილი. ჩართულია. ბატონო პაატა, მე უბრალოდ ერთადერთი რამე მინდა დავაფიქსირო, რომ ყველა ის შეკითხვები, რომლებიც ჩვენი მხრიდან ხდებოდა დასმა, უბრალოდ, როგორც ჩანს რესპოდენტს თუ მოწვეულს, ჰქონდა კონკრეტული გეგმა, თავისი, რა მიმართულებით უნდა წასულიყო და რა ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა კომისიისათვის და ყველა ის შეკითხვა, რომელსაც ჩვენ ვუსვამდით, რომელიც ამოვარდნილი იყო მის წინასწარ გამზადებული გეგმიდან, რჩებოდა უპასუხოდ. ეს, მე მგონი ყველა, ვინც თვალს ადევნებდა, იყო ცნობილი და ძალიან ბევრი შეკითხვები, რომელიც მეც მაქვს და დარწმუნებული ვარ, ჩემს კოლეგებსაც, რომელიც, მისთვის, შეიძლება, გარკვეულწილად, ძნელი ყოფილიყო. მე კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი ადამიანისათვის, 11 ივლისს გაკეთებული განცხადება ნებისმიერი ქართველის მიერ, მით უმეტეს საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლის მიერ, ისეთი სახის, რომ ეს არის, რუსეთს უნდა, ამ დღეს ჩვენ რუსებისთვის რამეზე ბოდიში უნდა მოგვცა და პირიქით, ჩვენთვის უნდა გადმოგვტრიალებინა რამე, ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი. სწორედ ასეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემა იყო მისთვის, ეტყობა, უხერხული, რბილად რომ ვთქვათ. და, ყველაფერი ის, რაც მოწყობილი იქნა, იყო იმ მიზნით, რომ უხერხულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა თავიდან ყოფილიყო მისი მხრიდან აცილებული.

გ.თარგამაძე. შეიძლება? მე მინდა ბოდიში მოვუხადო კომისიას გაცხარებისთვის. ნუ, მართლა მინდა გითხრათ, რომ ეხლა ესეთ სიტყვებს, უბრალოდ, ვერ ვაპატიებ ვერავის. სხვა მხრივ შეფასება, მე მგონი, ხათუნას ვეთანხმები მთლიანად.

გ.გაბაშვილი. ჩვენ დღეს მოვისმინეთ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ყოფილი ელჩისგან სრული გამეორება ვერსიისა, რომელსაც ჩვენ ყველაზე აგრესიული რუსული პროპაგანდა გვაბრალებს, რომ ამერიკელებისგან გვქონდა მწვანე შუქი ომის დაწყებაზე. ჩვენ შეიარაღებულ ჯარებს ამზადებდნენ უცხოელები, მათ შორის ისრაელის ექსპერტები და სპეციალისტები. ომი დავიწყეთ ჩვენ, რომ ”პოდ შუმოკ“ გაგვეგრძელებინა ეს ომი აფხაზეთში და შესაბამისად, ამითი ამართლებენ რუსები თავის არაპროვოცირებულ ინტერვენციას აფხაზეთში. ანუ ეს იყო სრული გამეორება რუსული ვერსიის და მე მინდა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობაც მოვა, დავსვა იგივე საკითხი, რაც დავით თქვენ, სწორი იყო მისი გათავისუფლება არაკომპეტენტურობის ნიშნით, მაგრამ აბსოლუტურად, ეტყობა, აუწონელი გადაწყვეტილება იყო მისი დანიშვნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად ასეთ მნიშვნელოვან ქვეყანაში, როგორც არის რუსეთი. შესაბამისად, ჩვენ ალბათ, საგარეოსთან ეს საკითხიც უნდა გავიაროთ. მე ვთვლი.

————— შეიძლება, ბატონო პაატა? მე, უბრალოდ, მინდა საზოგადოებას ინფორმაცია მივაწოდო. ბატონმა ერასტიმ ისაუბრა ბატონ ნარიშკინზე აღმატებულ ტონში. მე მინდა საზოგადოებას მივაწოდო ინფორმაცია, რა „ბექრაუნდი“ აქვს „ლიდერშიპს“. ნარიშკინი არის პუტინის უახლოესი გარემოცვიდან. იგი არის ლენინგრაძელი, იმ დროინდელი ლენინგრადიდან. ერთად სწავლობდნენ „კგბ“-ს სკოლაში პუტინი და ნარიშკინი. 80-იან წლებში ბატონი ნარიშკინი მუშაობდა ბელგიაში, იყო „კგბ“-ს აგენტი. ამავე დროს ბატონი პუტინი იყო გდრ-ში, ყოფილ გდრ-ში რეზიდენტი. შესაბამისად, მითი იმის შესახებ, რომ თითქოს იცვლებოდა მედვედევის გარემოცვა და უფრო ლიბერალური ხდებოდა, არის მითი და ეს მითი დაიმსხვრა. თავისთავად საეჭვოა ასეთი სიახლოვე ბატონ ნარიშკინთან ბატონი ერასტის, გამომდინარე იქიდან, რა გამოცდილება აქვს ბატონ ნარიშკინს სადაზვერვო საქმიანობის და სადაზვერვო სამსახურებში მუშაობის. ეს არის.

თავმჯდომარე. ბატონ ლევანს.

ლ.ვეფხვაძე. ე.ი. სამწუხაროა ის, რომ პოლიტიკურ კონიუნქტურას ვერ ავცდით და სამწუხაროა ის, რომ, როგორც ჩანს, თავის დროზე პოლიტიკური, ასე ვთქვათ, ერთი გუნდის წევრები, დღეს პოლიტიკური ოპონენტები, ასეთი ფორმით ურთიერთობენ ერთმანეთთან. სამწუხაროა ის, რომ ბოლომდე ვერ მოხერხდა სხდომის დასრულება და ასეთი ცუდი ფორმით შეწყდა ეს დღევანდელი სხდომა. თუმცა, ჩვენ ბატონი ეროსის ნალაპარაკებს უნდა მივუდგეთ არა იმით, რომ რაც მან თქვა ყველაფერი არასწორია, არამედ იმით, რომ ჩვენ თითოეული ეს ფაქტი უნდა გადავამოწმოთ და მე კიდევ ერთხელ ვაყენებ საკითხს, რომ კონკრეტული ადამიანები, და არა მარტო ბატონი გიგა ბოკერია, არამედ ის ადამიანები, ვინც მან ახსენა, ვინც ესწრებოდნენ ამ შეხვედრებს, ნაწილი მათგანი მოვა, ვიცით ჩვენ ვინც არიან ისინი, ხოლო ნაწილი მათგანი, როგორც არის, დავუშვათ, ირაკლი ალასანია, გრიგოლ ვაშაძე, ზურაბ ადგიშვილი, ირაკლი ჩუბინიშვილი – ეს ადამიანები აუცილებლად უნდა მოვიდნენ კომისიის სხდომაზე და კონკრეტული განმარტებები გააკეთონ იმასთან დაკავშირებით, რაც დღეს მოვისმინეთ.

თავმჯდომარე. მე მინდა ცალსახად ხაზი გავუსვა იმას, რომ საქართველოს პრეზიდენტი ჩვენ გავცემს პასუხს, თანაც მთავარი მოქმედი პირი არის ამ სიტუაციაში. აქ ერთადერთი, ეხლა ბატონ გრიგოლ ვაშაძესთან დაკავშირებით, ცალ-ცალკე მინისტრების მოადგილეების მოსმენას, მე მგონი არანაირი აზრი არა აქვს იმიტომ, რომ მინისტრს მოვუსმინოთ, ეხლა მოადგილე და ამ საკითხთან დაკავშირებით დააყენებს ამ საკითხს. ერთადერთი პიროვნება ვინც იკვეთება ამ სიტუაციაში არის ეხლანდელი იუსტიციის მინისტრი, გენერალური პროკურორი ბატონი ზურაბ ადგიშვილი, ვისაც უნდა მოვუსმინოთ. მე ვთხოვ საორგანიზაციო კომიტეტს, მაქსიმალურად დავაზუსტოთ სად იმყოფება ბატონი ჩუბინიშვილი. მე არ ვიცი ამ ადამიანის ადგილ-სამყოფელის შესახებ. თუ ეს ადამიანი იმყოფება საქართველოში, რაც შეიძლება მაქსიმალურად რომ მოვიდეს. არა, მე არ ვიცი და იმიტომ ვლაპარაკობ, დავადგინოთ ეს საკითხი.

რაც შეეხება ბატონ ზურაბ ადგიშვილს, მე ეხლავე ვაყენებ ამ საკითხს, ჩვენ ხვალ გვაქვს მოსმენები, ჩვენ შეგვიძლია ხვალ დავიწყოთ მისი მოსმენა ამ მიმართულებით, ბატონი გიგა ბოკერიას შემდეგ, დღეს. მაგრამ ცალსახად მინდა ხაზი გავუსვა, ეს არის კომისიის თავმჯდომარის მკვეთრი პოზიცია, კომისიის მუშაობის და კომისიის წევრების შეურაცხყოფა კომისიის მუშაობის პერიოდში არის დასჯადი ქმედება, ეს ერთი. საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მოხსენებითი ბარათები და ის ინფორმაცია, რაც მან დღეს თქვა, სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს არის სამსახურებრივი გულგრილობა და კომისია იშუამდგომლებს და მე ხვალ პირადად დავაყენებ ამ საკითხს, იუსტიციის მინისტრის, გენერალური პროკურორის წინაშე და მივმართავ პროკურატურას ამასთან დაკავშირებით, დაიწყოს გამოძიება ამ ფაქტთან.

და ცალსახად მინდა ხაზი გავუსვა. კომისიის მუშაობის ფარგლებს სცილდება ეს, თუ საქართველოს პრეზიდენტმა არ გავცვა პასუხი, თუ არსებობს ისეთი ადამიანი, ვინც ერევა ქვეყნის უსაფრთხოებაში და ამ ადამიანის საფუძველზე ხდება რაღაც გადაწყვეტილების მიღება და არ დაასახელა ბატონმა კინძარიშვილმა ეს ადამიანი. იმიტომ, აუცილებლად ვიშუამდგომლებთ, რომ დაიწყოს გამოძიება ქვეყნის უსაფრთხოებიდან

გამომდინარე ამ ფაქტთან დაკავშირებით და თუ ამ გამოძიების პროცესში არ იქნა დადგენილი, ის ადამიანი, ვინც არის და მე მგონი გამოძიებას ბატონი კიწმარიშვილი ვერ დაუმალავს, იმიტომ რომ ინფორმაციის დამალვა ამ შემთხვევაში არის დასჯადი ქმედება, სისხლის სამართლებრივი, მე ცალსახად მინდა ამას ხაზი გაუსვა და ამას ჩვენ ვიშუამდგომლებთ. ახლა შევწყვიტოთ კომენტარები და მუშაობა. შევწყვიტოთ ახლა ჩვენ მუშაობა და დაველოდოთ ბატონ გიგას.

ლ.ვეფხვაძე. ბატონო პაატა, როცა თქვენ თქვით, კომისია იშუამდგომლებს, თუ თქვენ პირადად იშუამდგომლებთ? კომისიამ რომ იშუამდგომლოს, ამისათვის ჯერ უნდა განვიხილოთ ეს საკითხი.

თავმჯდომარე. ბატონო ლევან, ეს არის კომისიის თავმჯდომარის პრეროგატივა და მე შემძლია ვიშუამდგომლო ამ საკითხთან დაკავშირებით. გმადლობთ. ჩვენ სადღაც საგარეო, ბატონო გივი, მოგცემთ ახლა. რაც შეეხება საგარეო საქმეთა სამინისტროდან მოსვლას, რვის ნახევარზე გაიმართება სხდომა და რვის ნახევარზე, იმიტომ რომ მასალების მომზადება ხდება საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან. ბატონ დიმიტრი ლორთქიფანიძეს ვთხოვ.

დ. ლორთქიფანიძე. მოცემული დოკუმენტის სრულყოფნის მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია აქვე გავაკეთო განცხადება, იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოდგენილ სამსახურეობრივ ბარათებში არ არის აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. ეს გახლავთ 2008 წლის თებერვალში განხორციელებული რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტის ჩრდილოეთ ოსეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დღევანდელი სეპარატისტული ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ერთობლივი საკონსტიტუციო სარჩელი ამ ორი სუბიექტის გაერთიანებასთან დაკავშირებით. საქართველოს ელჩი რუსეთში პირდაპირ მოვალე იყო რეაგირება გაეკეთებინა ამაზე და სამსახურეობრივ მოხსენებით ბარათში აესახა ამასთან დაკავშირებით.

აქვე მინდა განვმარტო, რომ გაზაფხულზე, 2008 წლის, ტელეკომპანია „ზევზდაში“ გავიდა პირდაპირი სიუჟეტი, რომელშიც ასახული იყო თუ როგორ გვირავის შემოვლითი გზით როგორ შენდებოდა გზა, ასახული იყო ჩრდილოეთ კორეის, სამხრეთ კორეის, უკაცრავად, მიერ გამოგზავნილი მობილური ქარხნის შესახებ, რომელსაც მაღალი წარმადობა ჰქონდა ასფალტის და ინერტული მასალების გადამუშავების და თუ როგორ შენდებოდა ეს გზა, აი, ეს იყო ასახული ამ ტელეკომპანიის მიერ წარმოებულ სიუჟეტში. არც ამის შესახებ არანაირი სამსახურეობრივი მოხსენებითი ბარათი რუსეთში საქართველოს ელჩს არ გაუკეთებია. ეს დამატებითი ინფორმაციისთვის დოკუმენტის

თავმჯდომარე. განხილული უნდა იყოს კომისიაზე. (ხმები ადგილიდან). კარგი. ეს მერე, კომისიაზე სამუშაო იმაში ვიმსჯელოთ. 8-ის ნახევარზე კომისია გააგრძელებს მუშაობას.